პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

ყაზბეგი

№090 (12 160)
19 აპრილი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# უნდა დარჩეს თუ არა ტოპმიოლერი?



3



2

## ვეტერანები ახალქალაქისკენ

წარდგენა და ერთი ხმა გარანტირებულია



## ხასაიას მძიმე ხვედრი

ანტიკური ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. დღეს ჩვენი კაცები იწყებენ

12



## რომამ ინტერს სკუდეტო ჩაუშალა

იტალია. სერია A. გამოტოვებული ტური

6



პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხალ ლისტკევიჩი და მისი უკრაინელი კოლეგა გრიგორი სურკისი გამარჯვების შემდეგ

## 2012 ევროფეხბურთი აღმოსავლეთისკენ დაიძრა

## პოლონეთი და უკრაინა გველიან

18 აპრილი. უელსი. უეფას აღმასკომი. კარდიფული ამბები

7

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ ახალკაცი

ფეხბურთის ფედერაცია. არჩევნები

# ახალკაცი ვეტერანებმა წარადგინეს

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ოფისში გუშინ შეხვედრა გაიმართა - ვეტერანები ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ნოდარ ახალკაცს** შეხვდნენ. მიზეზი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებია, რომელზედაც ახალკაცის კანდიდატურა სწორედ ვეტერანთა კავშირმა წამოაყენა.

*"სამშაბათს, 17 აპრილს, სხვადასხვა თაობის ვეტერანი ფეხბურთელები შევიკრიბეთ და ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ, 13 მაისს, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენმა, კავშირმა წარადგინოს ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა. ერთი სიტყვით, მას ჩვენგან სრული მხარდაჭერა აქვს და ექნება კიდეც"*, - გვითხრა **რამაზ შენგელიამ.**

თავად ნოდარ ახალკაცმა კი შემდეგი განაცხადა:

*"რაღა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი პატივია, როცა ჩვენი ფეხბურთის ღვაწლმოსილი ადამიანები ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემს კანდიდატურას აყენებენ. დანაპირები, რაც ორი წლის წინათ ვეტერანი ფეხბურთელების მისამართით იყო გაჟღერებული, ზედმიწევნით შევასრულეთ. მათი მხარდაჭერა ძალიან მახარებს, ეს ჩემთვის მართლაც უდიდესი პატივია. ერთსაც დავამატებდი, ვეტერან ფეხბურთელთა ფონდისა და სხვა მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურად ვიმუშავებთ. ეს ხალხი ახლაც ქართული ფეხბურთის სამსახურშია და მათი გამოცდილება დღესაც გვჭირდება"*.

**დავით ცაბაძე**

# კვარაცხელიამ, თვის ბოლოს ჩავერთვებიო



მამუკა კვარაცხელია

ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ჯერჯერობით მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტის **ნოდარ ახალკაცის** კანდიდატურაა წამოყენებული. **გიორგი ნემსაძესა** და **ვლადიმერ გუცაევს** კი სურთ არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. საარჩევნო ბატალიებში მოიაზრებს საკუთარ თავს **მამუკა კვარაცხელიაც**.

*"რაღა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას. თვის ბოლოსთვის საკუთარ კანდიდატურასაც წამოვაყენებ და გამარჯვების დიდი იმედიც მაქვს"*, - "ლელოსთან" სატელეფონო საუბარში აღნიშნა კვარაცხელიამ.

არადა ამბობენ, საეჭვოა, ფეხბურთის ფედერაციის 33 სუბიექტიდან რომელიმემ წარადგინოს მისი კანდიდატურაო. თავად კვარაცხელია ამას კატეგორიულად უარყოფს და საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

*"ფედერაციის ერთ-ერთ სუბიექტთან მოლაპარაკებული ვარ და აპრილის ბოლოს წარმადგენენ. გავრცელებული ხმა ჭორია და მეტი არაფერი. საკუთარი კანდიდატურის წარდგენის შესახებ ვისაც მივმართე, უარი არ მიმიღია"*.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# იაშვილის დიდი არჩევანი: ვოლფსბურგი, ბოხუმი, ალემანია...

## და კიდევ, ინგლისური კლუბი?

ეროვნული ნაკრებისა და "ფრაიბურგის" ფორვარდ **ალექსანდრე იაშვილს**, სეზონის ბოლოს კლუბის შეცვლა რომ აქვს გადაწყვეტილი "ლელოსთან" საუბარშიც აღნიშნა რამდენი ხნის წინათ, მაგრამ მსურველი კლუბების ვინაობა არ დაუსახელებია. ამაზე გერმანული პრესაც დუმილს ამჯობინებდა აქამდე. გუშინ კი ამასთან დაკავშირებით პირველი ცნობები გამოჩნდა.

*"ფრაიბურგის" ქართველ ფორვარდ ალექსანდრე იაშვილს, მიმდინარე სეზონის ბოლოს კლუბის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი. იაშვილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ფრაიბურგელთა წარმატებულ სერიაში დიდი წვლილი მიუძღვის. მისი მონაგარი მიმდინარე სეზონში 9 გოლი და 12 საგოლე პასია. ის ჯერჯერობით არ ასახელებს დაინტერესებული გუნდების ვინაობას, თუმცა აცხადებს, რომ "ფრაიბურგიდან" მისი წასვლა, გუნდის თავკაც ფოლკერ ფინკეს გუნდთან გამოთხოვებას სულაც არ უკავშირდება. სეზონის დასრულებასთან ერთად, ალექსანდრე იაშვილს, კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება. შესაბამისად, ქართველი თავდამსხმელი ახალ გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურებს.*

*მოძიებულ ცნობათა თანახმად, საქართველოს ნაკრების წევრის გადაბირება, "ვოლფსბურგს", ბოხუმსა" და "ალემანიას" სურთ. საერთოდ კი 29 წლის ფეხბურთელი "ფრაიბურგში" 1997 წლიდან ასპარეზობს და დღემდე 250 მატჩში 50 გოლი გაიტანა. მისი გადაბირება ბუნდესლიგის ხუთ კლუბს სურს, საუბრობენ ერთ ინგლისურზეც. ყველაზე ნაკლებად სავარაუდო მისი "ალემანიაში" გადასვლაა"*, - წერს "კიკერი". აღსანიშნავია ისიც, რომ გუშინვე თითქმის იმავე შინაარსის ცნობა "შპორტ1-მაც" გაავრცელა.

ამ საკითხზე დამატებით გარკვეული ცნობები მოვიძიეთ. ჩვენი ინფორმაციით, იაშვილისადმი ინტერესს იმ სამეულის გარდა "ჰანოვერი" და "მაინცი" იჩენენ. ხუთივე კლუბი ამჟამად ბუნდესლიგაშია. მათგან ყველაზე კარგი პოზიცია, "ვოლფსბურგსა" და "ჰანოვერის" აქვთ - გუნდები 35-35 ქულით, "ჰამბურგთან" ერთად მე-9 - მე-11 ადგილებს იყოფენ. ტრიოს 2 ქულით ჩამორჩებიან და მე-13 - მე-14-ადგილებზე არიან "ბოხუმი" და "ალემანია". "მაინცს" კი 30 ქულა აქვს და გასავარდნ ზონაშია.

გარდა ამისა, იაშვილის სახელს ფრანგულ "ოსერსაც" უკავშირებდნენ, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, ეს ვარიანტი თითქმის გამორიცხულია. შესაძლოა, დაინტერესებულ გუნდთა სიმრავლემ ზოგი დააეჭვოს კიდეც, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ სეზონის ბოლოს იაშვილი თავისუფალი აგენტი ხდება და მის მსურველ კლუბები, ქართველის სანაცვლოდ თანხას არ გადაიხდიან.

რაც შეეხება ინგლისურ კლუბს, ზოგიერთთა მტკიცებით, იაშვილის გადაბირება, **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნს" სურს. თუმცა ამ ცნობას ჯერჯერობით არავინ ადასტურებს.

*"თქვენ მიერ ნათქვამ და გერმანულ პრესაში გაჟღერებულ ცნობას, ჩემით დაინტერესებულ კლუბებზე, ნამდვილად ვერ უარვყოფ. ამ ხუთეულიდან რამდენიმეს შესახებ მეც მსმენია. რაც შეეხება ფრანგულ "ოსერს", მასზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ სხვა ფრანგული კლუბის ინტერესზე კი მსმენია... ინგლისური ვარიანტს რაც შეეხება, ეს "ბლექბერნი" ნამდვილად არაა, მაგრამ ნურაფერს გამორიცხავთ. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს დავაკონკრეტებ. მაისის შუა რიცხვებში ყველაფერი გაირკვევა"*, - გვითხრა გუშინ გერმანიაში დაკავშირებისას ალექსანდრე იაშვილმა.

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე იაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ნაკრების მოთამაშეთა ნაწილი ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელების მომხრეა

ეროვნული ნაკრები. მწვრთნელის თემაზე

# კონტრაქტის გაგრძელება? აუცილებელია!

ბოლო შესარჩევი მატჩების შემდეგ, ეროვნული ნაკრებისა და მის მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის მისამართით ბევრმა უკმაყოფილება გამოთქვა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ქართული საფეხბურთო სამყაროს დიდი ნაწილი მას კვლავაც ნდობას უცხადებს და სჯერა, რომ ნაკრების პროგრესი მალე შედეგებშიც ნათლად აისახება. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, სწორედ ამ აზრისანი არიან ნაკრების ფეხბურთელებიც.

ფეხბურთის ფედერაციის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს თემა კიდევ ერთხელ წამოიწია. აღმასკომის ბოლო ჩატარებული სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კითხვაც კი დაისვა, გაგრძელდება თუ არა ხელშეკრულება კლაუს ტოპმიოლერთან. ნოდარ ახალკაცმა შეგვახსენა, რომ თავის დროზე, ტოპმიოლერთან 2+2 სისტემით გაფორმდა კონტრაქტი. ჩვენც და კლაუსსაც თანამშრომლობის გაგრძელება გვსურსო, თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა.

საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ამ საკითხზე ჩვენი საფეხბურთო სპექტრი. საამისოდ ეროვნული გუნდის წამყვან ფეხბურთელებს შორის ერთგვარი გამოკითხვა მოვაწყვეთ. ყველას ერთი კითხვით მივმართეთ – უნდა გააგრძელოს თუ არა ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი კლაუს ტოპმიოლერთან? ბუნებრივია, რესპონდენტებს საკუთარი პოზიციის დასაბუთებაც ვთხოვეთ

### შოთა არველაძე:
ალკმაარი

- ჩემი აზრით, ტოპმიოლერთან კონტრაქტი უნდა გაგრძელდეს. საამისოდ არაერთი არგუმენტის დასახელება შეიძლება. ჯერ ერთი, ნაკრები მის ხელში გაცილებით უკეთ ათამაშდა. აშკარაა, რომ ჩვენი გუნდი თანდათანობით უმატებს. რამდენიმე გუნდური, საფეხბურთო კომპონენტი დავხვეწეთ. ნელ-ნელა ძლიერ გუნდს ვემსგავსებით.

ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ერთი ხელის მოსმით არ ხდება. ამას ევროპის გრანდ-კლუბების მწვრთნელებიც ვერ ახერხებენ, რომელთაც თითქმის ნებისმიერი სასურველი ფეხბურთელის გადაბირება შეუძლიათ. მჯერა, პროგრესი შედეგებშიც მალე აისახება. თუ მომდევნო ციკლშიც კლაუს ტოპმიოლერი იქნება ჩვენი ნაკრების მწვრთნელი, ბევრად უკეთესი გუნდი გვეყოლება.

### ლევან ცქიტიშვილი:
პანიონიოსი

- მიუხედავად იმისა, რომ შესარჩევ ჯგუფში მეხუთე პოზიცია გვიკავია, ტოპმიოლერის მუშაობას დადებითად ვაფასებ. მისი ხელმძღვანელობით, ჩვენი გუნდი სწორი ფეხბურთის თამაშს სწავლობს. თითოეულ მატჩზე ბიჭები უდიდესი მონდომებით გადიან, გუნდი ერთსულოვანია.

მნიშვნელოვანი თამაშების მოგებასაც ვისწავლით. ტოპმიოლერს მუშაობის გაგძელების საშუალება უნდა მიეცეს, პროგრესი შედეგშიც მალე აისახება, ერთ წელიწადში ძიერი გუნდი არ ყალიბდება, მით უფრო, როცა საუბარი ნაკრებზეა.

დარწმუნებული ვარ, მომავალ ციკლში საქართველოს ნაკრები რეალურად იბრძოლებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად. ტოპმიოლერის მიერ ჩატარებული სამუშაო თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

### ალექსანდრე იაშვილი:
ფრაიბურგი

- ნაკრებს წინსვლა მართლაც ეტყობა. ჩვენი გუნდი ახლა ბევრად უკეთეს და დახვეწილ ფეხბურთს თამაშობს. შესაძლოა, ყოველივე ეს შედეგებში ჯერ კიდევ არ აისახება, მაგრამ ესეც მალე იქნება. კლაუს ტოპმიოლერმა ნაკრები სრული შემადგენლობით მხოლოდ გერმანია-ავსტრიის შეკრებაზე იხილა. რამდენიმე თვეში ძნელია ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. მით უმეტეს, როცა ლეგიონერები სხვადასხვა კლუბებში ვასპარეზობთ და რამდენიმე თვეში ერთხელ ვიკრიბებით ნაკრებში. სამწუხაროდ, მაშინაც რომელიმე გამორჩეული ფიგურა გვაკლია ხოლმე.

ასე ყოველ წელიწადს თუ ვცვალეთ ნაკრების მწვრთნელი, ამით არაფერი გამოვა. ასე რომ კლაუს ტოპმიოლერს კონტრაქტი უნდა გავუგრძელოთ.

**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**

ფიფას რეიტინგი

# ორი თვე ერთ პოზიციაზე

გუშინ ფიფამ აპრილის სანაკრებო რეიტინგი გამო გამოაქვეყნა. საქართველოს ნაკრები მეორე თვეა 85-ე ადგილზეა. პირველი ათეულში კი ცვლილებებია - რეიტინგში ჯგუფში ჩვენი მეტოქე, მსოფლიო ჩემპიონი იტალია დაწინაურდა.

| | | |
|---|---|---|
| 1 (2). | იტალია | 1604 |
| 2 (1). | არგენტინა | 1594 |
| 3 (2). | ბრაზილია | 1520 |
| 4 (4). | საფრანგეთი | 1496 |
| 5 (5). | გერმანია | 1393 |
| 6 (7). | ჰოლანდია | 1302 |
| 7 (8). | პორტუგალია | 1292 |
| 8 (6). | ინგლისი | 1278 |
| 9 10). | ესპანეთი | 1237 |
| 10 (9). | ჩეხეთი | 1169 |

**შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია წინა თვის მონაცემები**

ჩვენი ჯგუფის გუნდები შემდეგი თანამიმდევრობით განლაგდნენ:

| | |
|---|---|
| 1 (2). იტალია | 1604 |
| 4 (4). საფრანგეთი | 1496 |
| 11(11). უკრაინა | 1021 |
| 19 (16). შოტლანდია | 885 |
| 85 (86). საქართველო | 374 |
| 89 (76). ლიტვა | 356 |
| 179 (182). ფარერები | 32 |

**ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ქვეყნები:**

| | |
|---|---|
| 11(11). უკრაინა | 1021 |
| 16 (23) რუსეთი | 901 |
| 60 (53). უზბეკეთი | 511 |
| 63 (66). ბელარუსი | 475 |
| 85 (86). საქართველო | 374 |
| 89 (76). ლიტვა | 356 |
| 92 (94). მოლდოვა | 345 |
| 104 (98). ლატვია | 297 |
| 103 (123). აზერბაიჯანი | 298 |
| 110 (106). ესტონეთი | 247 |
| 116 (142). ყაზახეთი | 235 |
| 127 (135). სომხეთი | 184 |
| 145 (163). ტაჯიკეთი | 122 |
| 151 (157). ყირგიზეთი | 108 |
| 163 (168). თურქმენეთი | 76 |

როგორც ხედავთ, პოსტსაბჭოეთში საქართველო მეხუთე ადგილზეა. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში საქართველომ პირველად გაუსწრო ჯგუფის მეტოქე ლიტვას. ამასთანავე, ფარერების ნაკრებისთვის დიდი სამსახური გაგვიწევია - თბილისური გოლით კუნძულელი მოყვარულები მთელი სამი საფეხურით დაწინაურდნენ. არ გაგიკვირდეთ, მაჩანჩალებში ერთი გოლიც ბევრს წყვეტს.

ყველაზე დიდი წინსვლა ყაზახეთსა და აზერბაიჯანს აქვთ. პირველი სერბებთან მოგებით მთელი 27 ადგილით დაწინაურდა, აზერბაიჯანელები კი - 20 პოზიციით. ყველაზე დიდი რეგრესი ტაჯიკებმა (მინუს 18 ადგილი) და თურქმენებმა განიცადეს (მინუს 12).

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა. ინტერვიუ ოთარ სირაძესთან

# ორი პროგრამა: ეროვნული ნაკრები რაჭაში, რაჭა უმაღლესში

**სეზონის მეორე ნახევარს "რაჭა" მაღალ დონეზე ატარებს. პირველი წრის შემდეგ, გუნდი გამოკვეთილი აუტსაიდერი იყო, მაგრამ ბოლოდროინდელი პროგრესის წყალობით, პირველ ლიგაში დარჩენის რეალური შანსი აქვს. სამომავლოდ კი კლუბის ხელმძღვანელობას გაცილებით შორსმიმავალი მიზნები ჰქონია, რომელთა შესახებაც რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორი და კლუბის ერთ-ერთი მესვეური ოთარ სირაძე გვესაუბრა.**

- "რაჭა" 2005 წელს ალვადგინეთ. გუნდმა პირველი სეზონი წარმატებით ჩაატარა და პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. თავდაპირველად, საქმეები კარგად არ მიგვდიოდა და უიმედო აუტსაიდერები ვიყავით, მაგრამ მეორე წრეში რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ და სახიფათო ზონა დავტოვეთ. მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, პირველ ლიგაში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ, მომავალ სეზონში კი გაცილებით ამბიციური მიზნები გვექნება.

არსებობს იმის რეალური საფუძველი, რომ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლოთ. საამისოდ ყველაფერი გაკეთდება, მოვაწესრიგებთ ინფრასტრუქტურას, დავიმატებთ ძლიერ ფეხბურთელებს და გუნდის წევრებს ნორმალურ ხელფასებს დავუნიშნავთ.

**- კონკრეტულად, რა სახის სამუშაოების ჩატარებას აპირებთ?**

- უპირველეს ყოვლისა, ამბროლაურის სტადიონს რეკონსტრუქციას ჩავუტარებთ, რის შემდეგაც არენა სრულად დააკმაყოფილებს უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს. მომავალ სეზონში საშინაო მატჩებს ამბროლაურში გავმართავთ, მეტოქეებს ამჟამად ონში ვმასპინძლობთ.

**- დღესდღეობით, კლუბის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია?**

- პრობლემები მრავლად გვაქვს, ფონს ძირითადად მწვრთნელთა და ფეხბურთელთა ენთუზიაზმის წყალობით გავდივართ. ახალ სეზონში კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება, კლუბის დაფინანსება მკვეთრად გაიზრდება.

**- კლუბს ვინ აფინანსებს?**

- ადგილობრივი ბიუჯეტი და კომპანია "ლუკოილი", რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გოჩა ენუქიძე გუნდს ყველანაირად მხარში უდგას. სამომავლოდ გვსურს, "რაჭა" მთლიანად კერძო კომპანიებმა დააფინანსონ. "ლუკოილის" გარდა, ახლო კონტაქტები გვაქვს "იბერია ბიზნეს ჯგუფთან" და კომპანია დტს-სთან. კლუბის სპონსორებად ეს ორი კომპანიაც მოიაზრება.

**- აქცენტს სამომავლოდაც ადგილობრივ კადრებზე გააკეთებთ?**

- დიახ, გვსურს, გუნდის ღირსება ადგილობრივმა მოთამაშეებმა და წარმოშობით რაჭველებმა დაიცვან. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სხვებსაც დავიმატებთ.

**- ალბათ, საფეხბურთო მეურნეობის განვითარებასაც აპირებთ.**

- რა თქმა უნდა, სტადიონის რეკონსტრუქციასთან ერთად, ახალი სავარჯიშო მოედნების მშენებლობაც იგეგმება. რაჭაში ყველანაირი პირობა არსებობს საიმისოდ, რომ გუნდმა სრულყოფილი მზადება გაიაროს. გვაქვს ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი მოედნები. ზაფხულობით შეკრებაზე შორს წასვლა არ გვიწევს, შოვში შესანიშნავი საწვრთნელი პირობებია.

**- როგორც ვიცით, ფეხბურთის ფედერაციასთანაც აქტიურად თანამშრომლობთ.**

- ფედერაციასთან ხშირი კონტაქტი გვაქვს, დავისახეთ მნიშვნელოვანი ერთობლივი გეგმები. უახლოეს მომავალში სფფ ამბროლაურში შენობას შეიძენს, რომელიც კეთილმოეწყობა და ეროვნულ ნაკრებს დაეთმობა. მოგეხსენებათ, მაღალმთიან ტერიტორიაზე მომზადება ნებისმიერი გუნდისთვის დიდი პლუსია, ნაკრების განკარგულებაში ამ შენობასთან ერთად, მოედნები და დარბაზი იქნება. ერთი სიტყვით, სერიოზული პროექტის განხორციელება იგეგმება. სავარაუდოდ, ფედერაციას ამბროლაურში მდებარე შენობა შეღავათიან ფასად დაეთმობა, სანაცვლოდ კი ქართული ფეხბურთის მესვეურები ამბროლაურის სტადიონის მოწესრიგებაში დაგვეხმარებიან.

აქვე აღვნიშნავ, რომ საპრეზიდენტო და განათლების სამინისტროს პროგრამების ფარგლებში, აღვადგინეთ რამდენიმე მოედანი, ამბროლაურისა და ონის გარდა, მოედნები ხვანჭკარასა და ლაჯანურშიც მოეწყო.



ოთარ სირაძე

**- ბავშვთა ფეხბურთში როგორი ვითარებაა?**

- როგორც უკვე გითხარით, "რაჭაში" არაერთი ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობს. მომავალი თაობაც გვეზრდება, ჩვენი ბავშვთა გუნდები დასავლეთი საქართველოს ზონალურ ტურნირებში წარმატებით ასპარეზობენ. ბავშვთა ჯგუფებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ, ვცდილობთ, მათ ნორმალური სავარჯიშო პირობები შევუქმნათ. ფეხბურთთან ერთად, რაჭაში კალათბურთი, ჭიდაობა და ჭადრაკია პოპულარული. ამ სახეობებში გარკვეული წარმატებები გვაქვს.

**- მწვრთნელთა კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია?**

- "რაჭაშიც" და ბავშვთა გუნდებშიც საკმაოდ მცოდნე ადგილობრივი სპეციალისტები მუშაობენ, "რაჭის" მთავარი მწვრთნელი არმაზ ჯელაძე საქმეს მონდომებით უძღვება. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩვენს მწვრთნელებს მალე თბილისში მწვრთნელთა კურსებზე მივავლენთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**საქართველოს ჩემპიონატი**

პირველი ლიგა 27-ე ტური

| | |
|---|---|
| მეშახტე-გაგრა | 0:1 |
| ოლიმპი-სამტრედია | 0:0 |
| მეშაქრე-მალაროელი | 0:2 |
| გურია-დინამო 2 | 0:0 |
| მგლები-ნ. დინამო | 3:1 |
| ჩიხურა 2-ზესტაფონი 2 | 1:0 |
| ამერი 2-რაჭა | 1:1 |
| ვიტ ჯორჯია 2-მერცხალი | გადაიდო |
| სპარტაკი-მესხეთი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 26 | 20 | 2 | 4 | 46-15 | 62 |
| 2. მესხეთი | 25 | 17 | 4 | 4 | 46-14 | 55 |
| 3. ოლიმპი | 27 | 13 | 6 | 8 | 46-29 | 45 |
| 4. მეშაქრე | 27 | 12 | 8 | 7 | 31-24 | 44 |
| 5. მალაროელი | 27 | 12 | 7 | 8 | 39-29 | 43 |
| 6. ამერი 2 | 27 | 11 | 10 | 6 | 42-30 | 43 |
| 7. ვიტ ჯორჯ. 2 | 26 | 12 | 6 | 8 | 41-22 | 42 |
| 8. გაგრა | 27 | 12 | 5 | 10 | 36-31 | 41 |
| 9. სამტრედია | 27 | 10 | 8 | 9 | 26-33 | 38 |
| 10. ნ. დინამო | 26 | 11 | 4 | 11 | 38-38 | 37 |
| 11. მეშახტე | 26 | 10 | 5 | 11 | 37-33 | 36 |
| 12. დინამო 2 | 27 | 9 | 8 | 10 | 45-28 | 35 |
| 13. ზესტაფ. 2 | 26 | 7 | 10 | 9 | 24-26 | 31 |
| 14. ჩიხურა 2 | 27 | 8 | 4 | 15 | 25-48 | 28 |
| 15. რაჭა | 26 | 6 | 9 | 11 | 25-39 | 27 |
| 16. სპარტაკი | 26 | 7 | 3 | 15 | 17-38 | 24 |
| 17. გურია | 27 | 5 | 6 | 16 | 23-56 | 21 |
| 18. მერცხალი | 25 | 2 | 4 | 19 | 16-67 | 10 |

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კესანი (23) დინამოსთან მატჩის დროს

ინტერვიუ პოლ კესანთან

# ზესტაფონელი გაბონიჩა ქართულსაც სწავლობს

„ზესტაფონში“ ახლახანს 22 წლის, გაბონელი ნახევარმცველი პოლ ულრიკ კესანი გამოჩნდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, აფრიკელი გაბონის ნაკრების სტაჟიანი წევრია. თავის ეროვნულ გუნდში უკვე 39 მატჩის ჩატარება მოასწრო და 4 გოლიც გაიტანა. კესანი „ზესტაფონში“ გია გურულის რეკომენდაციით აღმოჩნდა. საკმაოდ კარგი ფეხბურთელი ჩანს, იმერული გუნდის შემადგენლობაში ჯერ მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა უკვე მოასწრო ზესტაფონელი გულშემატკივრების გულის მოგება. იმერელმა ფანებმა აფრიკელთან დაახლოვებაც მოასწრეს და მას ზედმეტსახელად გაბონიჩი შეარქვეს. კესანთან ინტერვიუ ბათუმთან მატჩის შემდეგ ჩავიწერეთ. საკმაოდ მხიარული და ენაწყლიანი პიროვნება აღმოჩნდა. სხვათა შორის, სათასო მატჩის წინ, 16 აპრილს პოლ კესანს 22 წელი შეუსრულდა. ჩვენც დაბადების დღის მილოცვით დავიწყეთ.

**- გილოცავთ დაბადების დღეს, როგორ აღნიშნეთ იუბილე?**

- თასის ნახევარფინალური თამაშისთვის ვემზადებოდით და დაბადების დღის აღსანიშნავად არ მეცალა. თანაგუნდელებმა მომილოცეს, ყურადღებამ ძალიან გამახარა.

**- საქართველო როგორ მოგწონთ?**

- ძალიან კარგი ქვეყანაა, თბილი ხალხია, 12 დღეა რაც ზესტაფონში ვარ და არაერთი მეგობარი გავიჩინე. მეტსახელიც დამარქვეს, „გაბონიჩას“ მეძახიან და ესეც ძალიან მომწონს. ხომ მაგარი სახელია? თქვენც შეგიძლიათ ასე მომმართოთ.

**- დაოჯახებული ხართ?**

- ჯერ არა, მაგრამ მეგობარი გოგონა და პატარა ქალიშვილი ემა მყავს. მინდა, ისინი მალე საქართველოშიც ჩამოვიყვანო.

**- ქართულად თუ შეგიძლიათ რამე მითხრათ?**

- როგორ არა! გამარჯობა, როგორა კარ, ხაჩაფური, ჰინკალი... ხომ ხედავთ ქართულის სწავლაც მოვასწარი. ქართული სამზარეულო მომწონს და სხვა კერძების სახელებსაც ვისწავლი.

**- პოლ, ახლა ის გვითხარი, „ზესტაფონამდე“ რომელ გუნდებში თამაშობდით?**

- პირველი კლუბი გაბონის „ევიზო“ იყო, 12 წლის ვიყავი როცა იქ დავიწყე თამაში, 1999 წელს გაბონის „უ.ს.მ.“ -ში გადავედი, შემდეგ „ფ105“ -ში ვთამაშობდი. 2006 წელს ევროპაში წავედი და ესპანეთის დაბალი დივიზიონის „რუბში“ გავაგრძელე კარიერა. იქ ერთი წელი დავყავი და მენეჯერების დახმარებით ახლახანს „ზესტაფონში“ აღმოვჩნდი.

**- როგორც ვიცით, გაბონის ნაკრების სტაჟიანი წევრი ხართ...**

- კი, ნაკრების შემადგენლობაში 39 შეხვედრა მაქვს ჩატარებული. იქაც ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობ და 4 გოლი მაქვს გატანილი. ივნისში ლიბრევილში აფრიკის თასის შესარჩევი მატჩი გვაქვს კოტდიუვართან, პირველი შეხვედრა 0:3 წავაგეთ და საკუთარ მოედანზე დროგბაზე და მის საძმოზე რევანში გვინდა ავიღოთ. შემდეგ, მადაგასკარში გვიწევს გასვლითი მატჩი. ნაკრების ძირითადის ფეხბურთელად ვითვლები და ალბათ, ივნისშიც გამომიძახებენ.

**- „ზესტაფონის“ შესახებ რას იტყვით, თქვენი აზრით, როგორი დონის კლუბია?**

- საკმაოდ კარგად დაკომპლექტებული გუნდია, ჰყავს კარგი მწვრთნელი და კარგი ფეხბურთელები. გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის. გარდა ამისა, მეგობრული გუნდია და მეც ძალიან კარგად მიმიღეს.

**- გუნდში ყველაზე მეტად ვისთან მეგობრობთ?**

- ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს, კარგი ბიჭები არიან, თუმცა განსაკუთრებით ბრაზილიელ ლეგიონერებს ჟონატასს, ვიეირას, ლენდროსა და დოს სანტოსს დავუახლოვდი. ალბათ, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მათ ფრანგული და ესპანური ესმით და უფრო ვაგებინებთ ერთმანეთს.

**- საქართველოს ჩემპიონატის შესახებ რა აზრის ხართ?**

- დიდი ხანი არ არის, რაც აქა ვარ, სამ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა და შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ საინტერესო პირველობაა. „დინამოს“ წინააღმდეგ თავადაც ვითამაშე, ვნახე „ოლიმპის“ მიერ ჩატარებული მატჩიც და ამ გუნდებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

**- თასის ნახევარფინალში „ბათუმი“ ძალიან იოლად დაამარცხეთ, ამ თამაშის შესახებ რას იტყვით?**

- „ზესტაფონისთვის“ ყველა შეხვედრა რთულია. ჩვენს წინააღმდეგ ნებისმიერი გუნდი მაქსიმალურად იბრძვის. თასის თამაში სპეციფიკურია. მისთვის მთელი მობილიზებით ვემზადებოდით. სწრაფმა გოლმა საქმე გაგვიადვილა. ერთი შეხედვით იოლად გავიმარჯვეთ, თუმცა ბათუმი საკმაოდ კარგად იბრძოდა. თასის ფინალში გასვლა, თითქმის გავინაღდეთ. როგორც მითხრეს ფინალში შესაძლოა „ამერი“ შეგვხვდეს, რომელთანაც „ზესტაფონს“ შარშან ფინალში წაუგია.

**- პირადად თქვენი ასპარეზობით თუ ხარ კმაყოფილი, როგორ შეეწყვე ახალ გუნდს?**

- გუნდს ნელ-ნელა ვეჩვევი. ვფიქრობ, ადაპტაციის პერიოდი უკან მოვიტოვე. თამაშიც გავაუმჯობესე. უკმაყოფილო ნამდვილად არა ვარ. „ზესტაფონისთვის“ სარგებლის მოტანა შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვრთნელის ნდობას ვერ მოვიპოვებდი.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ინტერვიუ გიორგი ჭელიძესთან

# ასეთი გოლი ჯერ არ გამიტანია

გიორგი ჭელიძეს უკრაინის ჩემპიონატთან ადაპტირებისთვის გარკვეული დრო დასჭირდა. უკვე ექვსი ტური ჩატარდა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა მხოლოდ ბოლო ტურში მოახერხა გოლის გატანა. თუმცა მნიშვნელოვან დროს კი გამოიჩინა თავი.

ლუგანსკელები შინ კრივოი როგის "კრივბასს" მასპინძლობდნენ. ბოლო წუთზე ანგარიში 1:1 იყო და "ზარიამ" მხოლოდ დამატებულ მეხუთე წუთზე მოახერხა გადამწყვეტი გოლის გატანა. თავი მოსკოვის "ლოკომოტივიდან" ლუგანსკურ გუნდში განათხოვრებულმა ქართველმა ფორვარდმა გამოიჩინა.

**- გიორგი, მოსკოვის "ლოკომოტივის" შემდეგ "ზარიაში" გადასვლა მორალურად ძნელი გადასატანი იქნებოდა. რუსული პრემიერლიგის გრანდიდან უკრაინის ჩემპიონატის აუტსაიდერში აღმოჩნდი და სხვა ტალღაზე გადაწყობა მოგიწევდა...**

- გეთანხმები, გრანდიდან წამოსვლა საწყენია, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს ჩემთვის უფრო მისაღები გუნდია. "ლოკომოტივში" ბოლო ხანს დუბლებში მათამაშებდნენ და ფაქტობრივად, ძირითადის კარი ჩამიკეტეს. სხვა რა გზა მრჩებოდა 20 წლის ბიჭს? სკამზე ვერ დავჯდებოდი, ამ ასაკში ჩემთვის სათამაშო პრაქტიკა ჰაერივით საჭიროა და "ზარიას" ვარიანტი რომ გამოჩნდა, ბევრი არც მიფიქრია.

**- გუნდი გასავარდნებში რომ არის?**

- გადაწყვეტილებას მაინც არ ვნანობ. მწვრთნელი მენდობა და მუდამ ძირითადში მაყენებს. "ზარია" ამ ეტაპზე აუტსაიდერია, მაგრამ უმაღლეს ლიგაში რომ დავრჩებით, ეჭვიც არ მეპარება.

**- უკრაინაში თავდამსხმელისთვის თამაში გაცილებით რთულია, ვიდრე რუსეთში. ყველა გუნდი დაცვიდან თამაშობს. ასეთ დროს გოლის გატანაც ძნელია.**

- ეს რუსეთისა და უკრაინის ფეხბურთს ძალიან განასხვავებს. რუსეთში რამდენიმე გუნდი ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს. უკრაინაში ასეთები მხოლოდ ლიდერები, "დინამო" და "შახტიორი" არიან.

ტყუილი გამომივა, რომ ვთქვა, მეტისმეტად რთული სათამაშო პირველობაა-მეთქი. ძნელია გოლის გატანა, მაგრამ შეჩვევაა საჭირო და მერე საქმე უფრო გაგიიოლდება. მდგომარეობას ის უფრო მირთულებს, "ზარია" მხოლოდ ერთი თავდამსხმელით რომ თამაშობს. სხვათა შორის, ეს ბევრ გუნდში დანერგილი ტაქტიკაა.

**- ამის ბრალია, ექვს ტურში ჯერ მხოლოდ ერთი ბურთი რომ გაიტანე, თუ გუნდთან ადაპტაცია გაგიჭირდა?**

- გუნდთან პრობლემა არ მქონია, ძალიან ნორმალურად მიმიღეს. უბრალოდ, ჩემთვის უცნობი ჩემპიონატია და გასაშინაურებლად დრო დამჭირდა.

გოლს რაც შეეხება, იმდენად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოგვიტანა, არა მარტო მე, ყველა ბედნიერი იყო. ეს იყო გადამწყვეტი თამაში. ფრეც არ გვაწყობდა, მხოლოდ მოგება გვჭირდებოდა, თორემ პირველ ლიგაში გავარდნა გარანტირებული გვქონდა. მოგებით კი დარჩენის იმედი შევინარჩუნეთ და მგონი, ასეც მოხდება.

სტადიონი გადაჭედილი იყო და თამაშის შემდეგ ჭელიძე-ჭელიძეს ყვიროდნენ. სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი. ასეთი გოლი კარიერაში მგონი არც გამიტანია.

**- რუსული ტოტალიზატორის, "მარათონის" წარმომადგენლებმა ირიბად მიანიშნეს, თითქოს ეს შეხვედრა ჩაწყობილი იყო და თამაშამდე ჯერ თქვენს მოგებაზე შეამცირეს კოეფიციენტი, შემდეგ კი ფსონების მიღება საერთოდ შეწყვიტეს.**

- სისულელეა! ერთამანეთი დავჭამეთ და რომელ ჩაწყობაზეა საუბარი.

**- ტოტალიზატორები ასეთ განცხადებას იშვიათად თუ აკეთებენ და რადგან გააკეთეს, საფუძველიც ექნებოდათ.**

- კინაღამ ძვალი მომტეხეს და ეს იყო გაკეთებული შეხვედრა? არ დაიჯეროთ!

**- სეზონის შემდეგ ლოკომოტივში ბრუნდები თუ უკრაინაში აპირებ დარჩენას?**

- ლუგანსკში მშვენივრად ვგრძნობ თავს და თუ გუნდი არ გავარდა, შეიძლება დავრჩე. თუმცა არ ვიცი, "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა რას გადაწყვეტს.

**- უკრაინელი ქართველებიდან რომელი მოგეწონა?**

- ქართველებიდან რამდენიმე ძალიან კარგად თამაშობს და გუნდის ლიდერიცაა. კვირკველია, გიგიაძე, ჯაკობია კაპიტნები არიან. ეს პატარა საქმე არაა. მე გული მარცვალაძეზე მწყდება, ტრავმის გამო სეზონი რომ ჩაუვარდა. თუმცა ოთარი დიდი პოტენციალის ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, კიევის "დინამოს" ძირითადში აუცილებლად ითამაშებს.



გიორგი ჭელიძე (მარცხნივ)

**- როგორც ვიცით, "ზარიაში" უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ქართველი მცველი ირაკლი ციკოლიაც ჩაირიცხა. ამ ბიჭს ჩვენთან არავინ იცნობს და გვითხარი, რა დონის მოთამაშეა?**

- ირაკლი დუბლებშია და მართლა პერსპექტიული ფეხბურთელია. სხვათა შორის, საქართველოშია გაზრდილი დამხოლოდ ბოლო ოთხი წელიწადია, უკრაინაში გადმოვიდა. ჯერ კიევის "დინამოს" აკადემიაში ვარჯიშობდა, მერე "დინამო3"-ში, კიევის ცსკა-ში, ზამთარში კი ლუგანსკელებმა აიყვანეს. ის მალე ძირითადში ითამაშებს.

**- ახალგაზრდულ ნაკრებს 5 ივნისს ესპანელებთან შეხვედრა ელის. შენი აზრით, თუნდაც ერთი ქულის მოპოვების რა შანსი გვაქვს?**

- შანსების რა გითხრა, მაგრამ ამ თამაშს რომ განსაკუთრებული ინტერესით ველი და ვემზადები, ეს ნაღდია. მძიმე შეხვედრა იქნება, მაგრამ ასეთ მეტოქესთან უნდა გამოიჩინო თავი. თამაშს ათასი სელექციონერი დაესწრება და თუკი მოედანზე გავალ, განსაკუთრებული მონდომებით უნდა გამოვირჩეოდე.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა




7000 ლარის მომგები შალვა დოლაძე მოგებული ბილეთით

პროფლიგის ლატარია

# 26 მაისს სუპერჯეკპოტი გათამაშდება

## გუშინ პირველი გამარჯვებული დაჯილდოვდა

პფლ-ის ლატარიის პირველ გამარჯვებულზე "ლელო" გუშინწინდელ ნომერში წერდა. საჩხერის "ჩიხურის" მეკარემ **შალვა დოლაძემ** ბილეთი პარასკევს, გორში, "ქართლის" სტადიონზე "მერანთან" გამართული მატჩის წინ იყიდა. *"ბედნიერი ვარ, რომ ასე გამიმართლა. საინტერესო ისაა, რომ "დინამო"-"ზესტაფონის" წყვილში "დინამოს" გამარჯვებას ვვარაუდობდი, მაგრამ ბილეთში შეცდომით ფრე ჩავწერე. იმედია, ჩემი მოგების შემდეგ, "ჩიხურის" წარმატებებითაც გავიხარებ"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა დოლაძემ.

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში წამახალისებელი ლატარიის გამარჯვებული, უფრო სწორად კი მისი მეგობარი **ავთანდილ ყაველაშვილი** დააჯილდოვეს. ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** მას შვიდიათასლარიანი საბანკო ჩეკი გადასცა.

*"მიხარია, რომ ჩვენმა სლოგანმა - "ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა" - გაამართლა. შემდეგი გათამაშება 1000 ლარიდან დაიწყება და იმედია, გამარჯვებულიც მალე გამოვლინდება. ლიგის წამოწყება სტადიონზე მაყურებლის მოზიდვას ემსახურება. იმედია, ახლა უფრო მეტი გულშემატკივარი დაინტერესდება ჩემპიონატით, რადგან დიდი თანხის მოგება რეალურია. ეს აქცია ჩვენი სპონსორების - "ყაზბეგის", "ჯეოსელის", "ფოლკსვაგენისა" და "აქსისის" დამსახურებაა. მათი სასპონსორო თანხით შესაძლებელი გახდა ლატარიის გათამაშება"* - განაცხადა რამიშვილმა.

ყაველაშვილის დაჯილდოება დოლაძის ნაცვლად ამ უკანასკნელის საბუთების მოუწესრიგებლობამ გამოიწვია. *"საბუთები არ მაქვს სრულ წესრიგში და ჩემი ძმაკაცი მივიდა ფულის ასაღებად. მასზე გაფორმდა მოგება, თორემ თანხა, რაღა თქმა უნდა, მე მეკუთვნის"*, - გვითხრა გუშინ დოლაძემ.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესატაშე **პაატა ბურჯალიანმაც** იგივე გვითხრა: *"მეგობრები არიან და ავთო მოვიდა ფულის ასაღებად"*.

ბურჯალიანმა იქვე აღნიშნა, რომ 26 მაისის გათამაშებაში მონაწილეობა აქამდე შეძენილი ყველა ბილეთის მფლობელს შეუძლია. თანხასთან ერთად, ლიტვა-საქართველოს მატჩზე დასასწრები საგზურიც გათამაშდება.


დაესწარი უმაღლესი ლიგის მატჩებს
მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში
ჯეკპოტი გახდა 1000 ლარი!!!
ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!
ბილეთის ფასი 2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი


21..04.2007 - 21-ე ტურის გათამაშების ცხრილი

- ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
- ოლიმპი-ჩიხურა
- მერანი-დინამო(ბთ)
- ლოკომოტივი-დინამო(თბ)
- ზესტაფონი-დილა
- კახეთი-ამერი
- სიონი-ტორპედო
- მესხეთი-მგლები
- სამტრედია-მეშახტე
- წალენჯიკი-ლოკომოტივი
- კრივბასი-მეტალისტი

ლეგიონერები

# რუსეთში მჟავანაძესაც არ უშვებენ

მახაჩყალის "ანჟი" წლეულს რუსეთის პრემიერლიგაში დაწინაურებას ისახავს მიზნად. ეს "რია-ნოვოსტის" დაღესტნურ ბიუროს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** განუცხადა და ისიც დაამატა, რომ ქართველი მცველი **კახა მჟავანაძე** დღემდე სავიზო პრობლემის გამო ვერ თამაშობს.

*"მხოლოდ პრემიერლიგაში გადასვლაზე ვფიქრობ. სხვა შედეგი არ დამაკმაყოფილებს. საამისოდ ყველა პირობა გაგვაჩნია. თუმცა გარკვეული პრობლემები მაინც გვაწუხებს. საქმე ისაა, რომ დღემდე დაღესტანში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ კებე და მჟავანაძე. კებეს ვიზა აქვს, მაგრამ მისი ჩამოუსვლელობის მიზეზი უცნობია. მჟავანაძეს კი დღემდე ვიზას არ აძლევენ მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ საჭირო ყველა დოკუმენტი გაამზადა"*.

მჟავანაძე მესამე ქართველია, რომელსაც ასეთი პრობლემა შეექმნა. თუკი **დათო მუჯირი** "კრილია სოვეტოვში" უკვე თამაშობს, ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასის" სპორტული დირექტორი **იური მამინაშვილი** დღემდე თბილისშია და სამუშაო ვიზას ელის.

როგორც შევიტყვეთ, მჟავანაძე და მამინაშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვას ელიან.

## ხოჯავას პასით

ამასობაში რუსეთის პირველ დივიზიონში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა, ბრიანსკის "დინამომ" თავისი მატჩი ადრე ჩაატარა და იმარჯვა კიდეც ("მეტალურგ-კუზბასთან" 3:1). **ლევან მიქაძის** "ბალტიკა" "ნოსტას" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. მიქაძეს ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია, ქართველი ლეგიონერი ტრავმირებულია. ასევე ჯერ არ მოურგია "ტორპედოს" ძირითადი გუნდის მაისურა **გედევან დარასელიას**, "ტორპედო" "სოდოვიკს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. პიატიგორსკში ჩვენთვის საინტერესო მატჩი გაიმართა, "მაშუკი" მახაჭყალის "ანჟიმ" 2:0 დაამარცხა. სტუმართა რიგებში ზემოთნახსენები მიზეზის გამო, მხოლოდ ორმა ქართველმა ითამაშა, **ზურაბ არზიანმა** 90 წუთი გაატარა მინდორზე, **გოჩა ხოჯავა** კი 31-ე წუთზე შეუშვა ომარ თეთრაძემ და გოჩამაც მწვრთნელს იმედი გაუმართლა, მატჩის ბოლო წუთზე **ბუდუნოვმა** ქართველი ნახევარმცველის პასით გაიტანა მეორე გოლი. "შინიკის" გამარჯვების შემდეგ (თავი გამოიჩინა ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილმა ფორვარდმა **ანდრეი პოროშინმა**) **პაატა ჯინჭარაძის** "დინამომ" ლიდერობა დაკარგა, ბრიანსკელები მესამე ადგილზე არიან 11 ქულით, "ანჟი" 10 ქულით მეხუთეა.



კახა მჟავანაძე

**მერაბ მამულაშვილი**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ნახევარფინალში ორი ქართველია



დავით მუჯირი

**პაატა ჯინჭარაძის** კლუბი ბრიანსკის "დინამო" რუსეთის თასის ნახევარფინალშია. 32 წლის ქართველ ლეგიონერს კარიერის საუკეთესო დროება უდგას, მისი კლუბი 2007 წელს დაუმარცხებელია, თავადაც "დინამოს" წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ბრიანსკის "დინამომ" სტუმრად 2:1 დაამარცხა პრემიერლიგის "როსტოვი" (ამ მატჩში ჯინჭარაძე საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს), გუშინ საპასუხო შეხვედრაში კი ნულოვანი ფრე დაფიქსირდა - 0:0. პაატამ 90 წუთი ითამაშა.

დავით მუჯირის "კრილია სოვეტოვმა" კი ვერ შეძლო თასის ნახევარფინალის საგზურის მოპოვება. პირველი მატჩი "მოსკვასთან" სამარელებმა სტუმრად 2:3 წააგეს და თითქოს შინ წარმატების მიღწევის უკეთესი შანსი ჰქონდათ, მაგრამ "მოსკვამ" სამარაშიც მოიგო - 2:0. მუჯირი 67-ე წუთზე შეცვალეს. ნახევარფინალში გავიდა ტრავმირებული **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივი".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აზერბაიჯანში საფეხბურთო პირველობის 22-ე ტურამდე თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. იმიშლიში "არაზი" და "ნეფთჩი" დაზავდნენ - 0:0. თავი არ გამოუჩენია "ნეფთჩის" ქართველ ნახევარმცველ **გიორგი ადამიას**. მეორე ნახევარფინალური მატჩი ბაქოში, ლენქორანის "ხაზარმა" ადგილობრივ "ინტერთან" 1:0 მოიგო და ფინალში გასვლის კარგი შანსი გაიჩინა. "ხაზარის" რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ვალერი აბრამიძემ**, რომელსაც ერთ მომენტში თავის გამოჩენის ბრწყინვალე შანსი მიეცა - აბრამიძემ მასპინძელთა მცველებს საჰაერო ბრძოლაში აჯობა, თუმცა ბურთი ხარიხას მოხვდა.

# აბრამიძე თითქმის ფინალშია, ადამია?

ჩემპიონატში მორიგი ტურიც დაიწყო, თუმცა ჯერ მხოლოდ ისეთმა კლუბებმა ითამაშეს სადაც ქართველი ლეგიონერები არ ირიცხებიან. "არაზმა" "გენჩლერბირლიი" გაანადგურა 5:1, "შაჰდალი"-"ოლიმპიკი" კი 0:0 დასრულდა. "არაზს" 37 ქულა გაუხდა და ლიდერ "ხაზარს" გაუტოლდა.

# უგოლო ქართული დაპირისპირება

ყაზახეთში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა. ქართველთა კლუბების დაპირისპირება შედგა ეკიბასტუზში, სადაც "ეკიბასტუზეცმა" ყარაღანდის "შახტიორს" უმასპინძლა. მატჩს 4,5 ათას მაყურებელი დაესწრო. მასპინძელთა დაცვას 90 წუთი ამაგრებდა ვეტერანი **ზურაბ არჩვაძე**. სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო **გიორგი გაბიდაური**, რომელიც 79-ე წუთზე **მიხაილ მიხოლაპმა** შეცვალა. **ლევან მელქაძე** 67-ე წუთზე ჩაერთო თამაშში ნახევარმცველ **ედერეხოს** ნაცვლად. სტუმართა კარი მშრალად შეინახა ყაზახეთის ნაკრების გოლკიპერმა **დავით ლორიამ** - 0:0. ტურში **ზვიად ჯელაძის** "ვოსტოკი" შინ 0:2 დამარცხდა "ჟეტისუსთან", ხოლო **გიორგი გოგიაშვილის** "კაისარი" "ტობოლს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ჯელაძემ სრულად ითამაშა, გოგიაშვილმა კი - ბოლო 6 წუთი. "შახტიორი" 6 ქულით მეშვიდეა, "კაისარი" ხუთი ქულით მეცხრე, "ეკიბასტუზეცი" 4 ქულით მეათე, რთულად აქვს საქმე ზვიად ჯელაძის "ვოსტოკს", რომელიც ერთი ქულით ბოლო, მე-16 ადგილზეა.

# მაღრაძე ფინალს მიღმა

ქსანთიში საბერძნეთის თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გაიმართა, "შკოდამ" "პანათინაიკოსს" უმასპინძლა. პირველი მატჩი თებერვალში 0:0 დასრულდა, რაც პროვინციულ კლუბს თასის ფინალში გასვლის კარგ შანსს აძლევდა. თუმცა თამაშის მეხუთე წუთზე პანათინაიკოსელი **ციოლისის** გოლი გადამწყვეტი გამოდგა ამ ორი კლუბის დაპირისპირებაში. ქსანთის "შკოდას" 30 წლის ნახევარმცველი **ლევან მაღრაძე** სასტარტოში იყო და შეუცვლელად ითამაშა, მან 70-ე წუთზე მსაჯისგან ყვითელი ბარათი მიიღო.



მარცხნივ ლევან მაღრაძე

იტალია. სერია A. XXII გამოტოვებული ტური

# შეშლილი ინტერი, ჩაშლილი ზეიმი



ინტერი-რომა. ტოტიმ და რომამ ზეიმი ჩაშალა

შეხვედრა, რომელიც "ინტერის" გაჩემპიონებითა და ზეიმით უნდა დამთავრებულიყო, "ინტერის" პირველი წაგებით დამთავრდა, 1:3. "რომამ" მისია შეასრულა – ზეიმის ჩასაშხამებლად ჩავიდა "სან სიროზე" და ეს საქმე დიდებულად გააკეთა. Pazza Inter (შეშლილი ინტერი) – ასე ჰქვია "ინტერის" ჰიმნად ქცეულ სიმღერას და კარგად გამოხატავს ამ გუნდის არსს, გაუგებარს, გამოუცნობს, ალოგიკურს. წელს "შავლურჯებმა" ისე რიხინ-რიხინით გაიარეს ჩემპიონატი, რომ იტალიაში წერდნენ, აღარ არის ის "პაცა ინტერი", აქამდე რომ იყო, ახლა ძალიან სოლიდური და მომაკვდინებელიაო. გუშინ გამოჩნდა, რომ ისევ არის. პირთამდე გავსებული "სან სირო" დიდი ზეიმის მოლოდინში იყო: გამარჯვება მილანელებს სკუდეტოს არითმეტიკულად უნაღდებდა. თანაც გამარჯვება მეორეადგილოსან "რომასთან" და არა ვილაც პროვინციულ გუნდთან. სწორედ ეს გარემოება სძენდა თამაშს განსაკუთრებულობას, თორემ სკუდეტო, სასწაული თუ არ მოხდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად მოვა (თქვა კიდეც ნამატჩევს **მანჩინიმ**, ზეიმის გადადება პრობლემა არ არისო). ოთხშაბათი იყო, სამუშაო დღე, თამაში ადგილობრივი დროით 17:30-ზე იწყებოდა, რაც მაგრამ ვის ახსოვდა სამსახური - ყველა სტადიონზე. მართალია, იძახდნენ, არანაირ ზეიმს არ ვგეგმავთ და თუ იქნება, მხოლოდ იმპროვიზებულიო, მაგრამ ამას მხოლოდ იძახდნენ, ცრურწმენის გამო, სინამდვილეში კი ყველაფერი მზად იყო: 18-წლიანი მოლოდინის შემდეგ "ინტერს" მე-15 სკუდეტო უნდა ეზეიმა. საპატიო ტრიბუნა ზეპურ და ბობოლა ინტერისტებს შეევსოთ, შავ-ლურჯ ფერებში მორთულ დასავლეთ ტრიბუნაზე დიდად ეწერა 15. მაგრამ ყველაფერი გადაიდო, სავარაუდოდ ორი ან მეტი კვირით: სხვაობა ახლა 13 ქულაა, სათამაშო ექვსი ტურია...

შეიძლება, ასეთი დიდი მოლოდინის ბრალი იყო, რომ "ინტერს" თავიდანვე ფეხები გაუშეშდა და პირველი ტაიმი პირწმინდად წააგო, ანგარიშითაც და თამაშითაც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მილანელების ბოლო თამაშებში რალაც ისე ვერ იყო. "ნერაძურიმ" ჯერ რეჯოკალაბრიაში ითამაშა 0:0, კვირას კი შინ "პალერმოსთან" პირველ ტაიმს 0:2-ზე აგებდა და შესვენების შემდეგ შეძლო ქულის გადარჩენა. აფრთხილებდა კიდეც რობერტო მანჩინი თავისიანებს, თუ ისე ვითამაშეთ, როგორც "პალერმოსთან" პირველ ტაიმში, ზეიმი უკან მოგვრჩებაო. გამართლდა მწვრთნელის შიში. განსხვავება ის იყო, რომ კვირას ინტერელებს უყურადღებობით დაემართათ ყველაფერი ცუდი, ამჯერად ნერვიულობით. ასეთების დასჯა კი **სპალეტის** "რომას" სპეციალობაა. დაიწყო თამაში და პირველ 15 წუთში უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ "ინტერი" ემოციით იყო პარალიზებული: შეტევაში წასვლა უნდოდა, 70 ათასი კაციც ამხნევებდა, მაგრამ წინ მაინც არაფერი გამოსდიოდა, თითქოს ვერ ბედავდა: გრძელი გადაცემები ყველასგან მოწყვეტილ **ადრიანოსა** და **იბრაჰიმოვიჩზე**, გაგრძელების გარეშე. "რომა" კი ისე თავისუფლად და რაც მთავარია, შინაარსიანად თამაშობდა, რომ სულ არ ჰგავდა იმ გუნდს, ერთი კვირის წინ მანჩესტერში საცოდავად რომ აბურთავეს. სტუმრების დაცვა უზადო იყო, **მექსე** იბრაჰიმოვიჩს გასაქანს არ აძლევდა, ნახევარდაცვა სოლიდურად მოქმედებდა, ექსინტერისტა **პისარო** ძველი ანგარიშების გასწორებას ცდილობდა, ცენტრფორვარდის ადგილზე მოთამაშე **ტოტის** ზურგს **პეროტა** უმაგრებდა, მხარს კი - მარცხნიდან **მანსინი** და მარჯვნიდან **ვილჰელმსონი** (დაშავებული **ტადეის** მაგივრად მოთამაშე). რომაელები თავის საუკეთესო რეპერტუარს აჩვენებდნენ: მოკლე, ერთი შეხებით გაკეთებული პასები, ბურთის გამუდმებული ტრიალი, რომელიც მასპინძლებს თავბრუს ახვევდა. ამ ყველაფერს ლოგიკურად მოსდევდა სახიფათო მომენტები: მანსინის დარტყმის შემდეგ ბურთი კარს სულ ოდნავ ასცდა, მერე ტოტიმ შორიდან დასცხო, **ჟულიო სეზარმა** მოიგერია და მიწაზე გაშხლართული დარჩა, დამატებაზე პირველი პეროტა გაჩნდა და თითქოს გოლიც უნდა გასულიყო, მაგრამ ბურთი ბედად **მაიკონს** მოხვდა და კუთხურზე გავიდა. სტუმრებს კიდევ ორი კარგი მომენტი ჰქონდათ, "ინტერის" პასუხი კი **სტანკოვიჩის** შორეული დარტყმა იყო, რის შემდეგაც ბურთი ზედა ძელს მოხვდა. ზანტად და უკბილოდ მოთამაშე მასპინძლებს "რომა" არც ამ მხრივ ჩამორჩა და ახლა მანსინიმ გაარტყა ხარიხას. ასე მოვიდა 44-ე წუთი: **კივუ** მარცხნიდან საჯარიმოს სიღმეში შევიდა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, იქ კი უმეურვეოდ დარჩენილმა პეროტამ ბურთს ფეხი უბრალოდ მიარტყა და გაიტანა, 0:1.

გაბრაზებულმა "ინტერმა" მეორე ნახევარი ომახიანად დაიწყო. ახლა უკვე სტუმრების საჯარიმოში ცხელოდა. "რომამ" მთელი ძალები დაცვაზე გადაიტანა და კონტრშეტევებზე თამაშს ცდილობდა, თუმცა ცენტრს იქით ვერ გადადიოდა. 52-ე წუთზე იბრაჰიმოვიჩმა გონივრული, გამჭოლი პასით მოძებნა მეკარის საჯარიმოში შეჭრილი ადრიანო, რომელსაც **დონი** ფეხებში ჩაუვარდა და... წააქცია თუ ბრაზილიელი თვითონ წაიქცა, გამეორებაზე კარგად არ ჩანდა. ასე იყო თუ ისე, **ტრეფოლონიმ** 11-მეტრიანი დანიშნა და **მატერაციმ** ის გოლად აქცია,1:1. შემდგომმა ნახევარმა საათმა "ინტერის" გამუდმებულ შეტევებში ჩაიარა, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ერთი იყო, როცა ადრიანოს თავურის შემდეგ ბურთი დონის ხელიდან ძელს მოხვდა. ბოლო წუთებში "ნერაძურიც" დაიღალა და თითქოს ფრეზე თანახმა იყო, მაგრამ "რომა" სხვანაირად ფიქრობდა. 89-ე წუთზე მასპინძლების კარში ჯარიმა დაინიშნა: ტოტიმ ძლიერად დაარტყა, ბურთი კედელში მდგომ მილანელს მოხვდა და კარში რიკოშეტით შევარდა, 1:2. დამატებულ წუთებზე **კრუსმა** სცადა გათანაბრება, მაგრამ გოლი ისევ საპირისპირო კარში გავიდა: **დე როსიმ** სამი მცველი ჩამოიშორა და **კასეტის** გადააწოდა, იმან კი დაბალი დარტყმით საბოლოო წერტილი დასვა, 1:3.

ასეთი შედეგის მიუხედავად, საჩემპიონო ინტრიგაზე საუბარი მაინც უადგილოა, აი მესამე-მეოთხე ადგილებისთვის კი ინტრიგა მართლაც დიდია. "მილანმა" ასკოლიში გაინავარდა, მეოთხე ადგილი განიმტკიცა და ძნელად წარმოსადგენია, რომ ამიერიდან ვინმეს დაუთმოს. ის კი არა, უკვე მესამე ადგილზეც შეუძლია ფიქრი, მაინც, ყოველი შემთხვევისთვის. გასაკვირიც არ იქნება: "როსონერიმ" თავისი თამაში იპოვა და არავის ინდობს. "ლაციომ" კი თავისი მოსაგები ეტყობა მოიგო: ზედიზედ რვა გამარჯვების შემდეგ **დელიო როსის** გუნდმა ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა გაჭირვებულ "კიევოსთან" და მეორე ადგილზე წესით აღარც უნდა იოცნებოს.

**ანჩელოტის** კრებულმა აუტსაიდერი "ასკოლის" განადგურება მე-3 წუთიდან დაიწყო: **ზეედორფის** გრძელი გადაცემის შემდეგ, **რონალდომ** გამჭოლი პასით მოსძებნა **ჯილარდინო**, რომელმაც ასე 10 მეტრიდან მძლავრად დასცხო და ანგარიში გახსნა. 24-ე წუთზე ასკოლელებმა საჯარიმოში რონალდო მოცელეს. 11-მეტრიანი **კაკამ** მეორე გოლად აქცია. ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ამას მესამეც მოჰყვა: **იანკულოვსკიმ** მარცხნიდან ჩააწოდა და ჯილარდინომ უზადო თავური დარტყმით დუბლი გაიფორმა, 3:0. ასეთი თავბრუდამხვევი დასაწყისის შემდეგ სტუმრები ცოტათი მოეშვნენ და ვეტერანმა **დი ბიაჯომ** 11-მეტრიანით ერთი ბურთი გაქვითა. 34-ე წუთზე კაკამ საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად გაისროლა და 4:1 გახადა. მე-40 წუთზე "ასკოლის" ახალგაზრდა ფორვარდი **გუბერტი** მილანელ მცველებს სისწრაფეზე გაექცა და **კალაჩს** (**დიდა** დაშავებულია) შორეულ კუთხეში გაუტანა. თუკი პირველ ტაიმში დაცვა არც ერთ და არც მეორე მხარეს არ არსებობდა, შესვენებაზე მცველები გონს მოეგნენ და მეორე ნახევარი უფრო ყურადღებით ჩაატარეს. თამაშიც უინტერესო გახდა, ფეხბურთელები ზრდილობის გულისთვის დარბოდნენ. შედეგად, მხოლოდ ერთი გოლი გავიდა: 75-ე წუთზე **ზეედორფი** მასპინძლებს თამაშგარის ზღვარზე დაუსხლტა, ბურთი დაამუშავა და წინ გამოსულ მეკარეს თავზე გადააველო, 5:2.

ორტურიანი პაუზის შემდეგ "ემპოლიმ" ისევ მოიგო და მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითებულ "პალერმოს" ქულებით გაუთანაბრდა. ემპოლელებს განსაკუთრებული პრობლემები არ შეხვედრიათ, "ატალანტამ" მთელი მეორე ტაიმი 10 კაცით ჩაატარა. ბერგამოელებს ვერც **კრისტიან ვიერიმ** უშველა. ერთწლიანი უფეხბურთობის შემდეგ, ბობო მოედანზე 71-ე წუთზე შევიდა და ორი მეტნაკლებად სახიფათო დარტყმის მეტი არაფერი გაუკეთებია. "ლივორნომ" "კალიარის" მოუგო და უკან ჩამოიტოვა. გოლი, რაღა თქმა უნდა, **ლუკარელიმ** გაიტანა. ტოსკანელთა კაპიტანი ტიფოზებზე გაბრაზებულია და სეზონის ბოლოს მიდის, თუმცა პირობა აქვს დადებული, გატანას გავაგრძელებ და გუნდს დარჩენაში დავეხმარებიო. ლუკარელი სიტყვის კაცია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "რეჯინამ" გამარჯვების გემო გაიხსენა და სამხრეთულ დერბიში "მესინა" დაამარცხა. სიცილიური გუნდი გავარდნისთვის განწირული ჩანს. "უდინეზემ" **იაკუინტას** შედეგიანი 11-მეტრიანით ზედიზედ მეორედ მოიგო, "სამპდორიისთვის" კი ეს ზედიზედ მეორე მარცხი იყო კვირას "რომასთან" 0:4-ზე განადგურების შემდეგ.

მოგვიანებით **რანიერის** "პარმამ" **ჯუზეპე როსის** დუბლით "ფიორენტინა" 2:0-ზე დაამარცხა, "კიევოს" წამოეწია და გადარჩენის შანსებიც გვარიანად გაიუმჯობესა. "ტორინომ" სიენაში ცხოვრება ხელახლა გაირთულა.

**მომდევნო ტური**

21 აპრილი. სამპდორია-მესინა, მილან-კალიარი. 22 აპრილი. კატანია-ასკოლი, ლაციო-ფიორენტინა, სიენა-ინტერი, კიევო-ლივორნო, პალერმო-პარმა, ატალანტა-რომა, ემპოლი-ტორინო, რეჯინა-უდინეზე.

**ინტერი-რომა 1:3**

**ინტერი**: ჟულიო სეზარი-6.5, მატერაცი-6.5, გროსო-5.5 (61. დაკური-6), კორდობა-6, მაიკონი-6, ხ. ძანეტი-6, სტანკოვიჩი-6.5, კამბიასო-6 (90. რეკობა-შ.გ), ფიგუ-6.5, ადრიანო-6 (61. კრუსი-5), იბრაჰიმოვიჩი-6.5.

**რომა**: ა. დონი-7, მ. ფერარი-6.5, კივუ-7, მექსე-6, პანუჩი-6, მანსინი-6 (78. ვუჩინიჩი-5), დე როსი-6.5, პეროტა-6.5, ვილჰელმსონი-7 (74. კასეტი-6.5), პისარო-6.5, ტოტი-6.5 (90. ტონეტო-შ.გ).

**გოლები**: 0:1 პეროტა (43), 1:1 მატერაცი (52-პენ), 1:2 ტოტი (89), 1:3 კასეტი (90)

**გაფრთხილება**: 5-3; **კუთხური**: 2-1; **ჯარიმა**: 18-13; **თამაშგარე**: 5-3; **კარში დარტყმა**: 17-17 (8-8); **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

**მაყურებელი**: 67 700

**ლაციო-კიევო 0:0**

**ლაციო**: პერუცი-6, ძაური-5, ბონეტო-5.5, სივილია-6.5, ხიმენესი-5.5 (46. ბელერი-6), მანფრედინი-5.5 (84. ტარე-შ.გ), ბეჰრამი-4, მუდინგაი-6, ლედესმა-6, როკი-6, პანდევი-6 (62. მაკინვა-5.5).

**კიევო**: სკუიცი-6.5, მანტოვანი-6.5, მარკეზე-5.5 (84. რიკლერი-შ.გ), მანდელი-6.5, მალაგო-6, სემიოლი-6 (60. ბოგდანი-5.5), სამარკო-5, ლუსიანო-6, იტალიანო-5.5, პელისიე-5.5, ობინა-5 (47. ტროიანო-6).

**გაძევება**: ბეჰრამი (45. ლაციო), სამარკო (45. კიევო), ძაური (90. ლაციო)

**გაფრთხილება**: 1-4; **კუთხური**: 5-1; **ჯარიმა**: 24-21; **თამაშგარე**: 5-4; **კარში დარტყმა**: 14-5 (5-2); **ბურთის ფლობა**: 63%-37%.

**მაყურებელი**: 18 000

**ასკოლი-მილანი 2:5**

**ასკოლი**: ელეფთეროპულოსი-6, მელარა-5, პეშე-5.5, დი ბიაჯო-6 (46. ფინი-5.5), კორალო-5.5, ლომბარდი-6, ბუდიანსკი-5, ფოლიო-5.5, გუბერტი-7, სონჩინი-5 (46. პერული-5.5), პაოლუჩი-6.5 (72. მ. დელვეკიო-შ.გ).

**მილანი**: კალაჩი-6, ნესტა-6, ბონერა-6, ოდო-5.5, იანკულოვსკი-6, ზეედორფი-6, კაკა-7 (46. გატუზო-6), პირლო-6, ამბროზინი-6.5, ჯილარდინო-7 (79. გრიმი-შ.გ), რონალდო-6.5 (67. ოლივეირა-5.5).

**გოლები**: 0:1 ჯილარდინო (3), 0:2 კაკა (25-პენ), 0:3 ჯილარდინო (27), 1:3 დი ბიაჯო (33-პენ), 1:4 კაკა (35), 2:4 გუბერტი (41), 2:5 ზეედორფი (75)

**გაფრთხილება**: 5-2; **კუთხური**: 8-7; **ჯარიმა**: 22-18; **თამაშგარე**: 0-5; **კარში დარტყმა**: 9-13 (7-11); **ბურთის ფლობა**: 35%-65%.

**მაყურებელი**: 15 000

**ემპოლი-ატალანტა 2:0**

**ემპოლი**: ბასი-6, პრატალი-6, ლუკინი-6 (65. ტოსტო-6), ადანი-6, რაჯი-6, ალმირონი-6.5, ვანუკი-6.5, დ. მორო-6, საუდატი-6.5 (57. მატეინი-6/83. მარიანინი-შ.გ), ბუშე-6, პოცი-6.

**ატალანტა**: კალდერონი-5.5, ლორია-5.5, ბელინი-4.5, ტალამონტი-5.5, დეფენდი-5.5, ბერნარდინი-5.5 (46. რივალტა-5.5), არიატი-5.5, ბომბარდინი-5.5 (66. ტისონე-შ.გ), მილიაჩო-5.5, ვენტოლა-5 (71. ვიერი-6), დონატი-5.5.

**გოლები**: 1:0 საუდატი (35), 2:0 ალმირონი (54)

*69-ე წუთზე ალმირონმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება**: ბელინი (44. ატალანტა)

**გაფრთხილება**: 1-0; **კუთხური**: 4-5; **ჯარიმა**: 15-15; **თამაშგარე**: 1-3; **კარში დარტყმა**: 26-6 (16-4); **ბურთის ფლობა**: 63%-37%.

**მაყურებელი**: 5 000

**უდინეზე-სამპდორია 1:0**

**უდინეზე**: დე სანქტისი-6.5, ზაპოტოჩნი-6, მოტა-6, ნატალი-6, დოსენა-6, საპატა-6, მუნტარი-6.5, გ. დ'აგოსტინო-6 (79. ზივოკი-შ.გ), პინცი-6, დი ნატალე-6.5 (64. ბარეტო-6), იაკუინტა-6.5 (86. გიანი-შ.გ).

**სამპდორია**: ბერტი-6, აკარდი-6, ფალკონე-6, კ. ძენონი-6 (68. რომეო-6.5), კომანი-6 (46. დ. ფრანჩესკინი-5.5), მაჯო-6.5, პიერი-6, ვოლპი-6, პაროლა-6, კვალიარელა-6, ბაძანი-5 (73. პალომბო-შ.გ).

**გოლი**: 1:0 იაკუინტა (53-პენ)

**გაფრთხილება**: 5-3; **კუთხური**: 7-10; **ჯარიმა**: 29-15; **თამაშგარე**: 5-2; **კარში დარტყმა**: 14-12 (9-8); **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 13 350

**ლივორნო-კალიარი 2:1**

**ლივორნო**: ამელია-6.5, გალანტე-5.5 (60. კნეჟევიჩი-7), პასკუალე-6.5, პავანი-6, გრანდონი-6, ა. ფილიპინი-6, პასონი-6, სეზარ აპარესიდო-5 (72. პფერტცელი-6), ფიორე-6.5 (83. კოპოლა-შ.გ), მორონე-7, კ. ლუკარელი-6.

**კალიარი**: კიმენტი-7, ფერი-6, ბიანკო-5.5, დელ გროსო-6, ლოპესი-6, აგოსტინი-5.5 (46. მარკინი-6), ა. დ'აგოსტინო-6 (79. კაპონე-შ.გ), ბიონდინი-5.5 (46. ბუდელი-6), კონტი-6, სუასო-6.5, პეპე-6.

**გოლები**: 1:0 კ. ლუკარელი (5), 1:1 სუასო (61-პენ), 2:1 კნეჟევიჩი (67)

**გაფრთხილება**: 4-3; **კუთხური**: 5-4; **ჯარიმა**: 19-14; **თამაშგარე**: 8-3; **კარში დარტყმა**: 9-11 (6-5); **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

**მაყურებელი**: 10 000

**რეჯინა-მესინა 3:1**

**რეჯინა**: კამპანიოლო-6, ლანძარო-5, მოდესტო-6, არონიკა-6.5, ა. ლუკარელი-6.5, ჯაკ. ტედესკო-6, მესტო-6.5, ამერინი-6.5, ბიანკი-6.5 (60. ვიჯანი-6), ფოჯა-6 (79. ტონიოცი-შ.გ), ამორუზო-7.5 (88. ნარდინი-შ.გ).

**მესინა**: პაოლეტი-6.5, მორელო-5, ძანკი-6, კანდელა-5.5, იულიანო-5.5, ჯალომბარდო-5.5, მაზიელო-5 (69. პარიზი-შ.გ), ალვარესი-5.5 (73. ლავეკია-შ.გ), პესტრინი-6, ბაკაიოკო-5.5 (69. ფლოკარი-შ.გ), რიგანო-6.

**გოლები**: 1:0 ბიანკი (13), 1:1 რიგანო (27-პენ), 2:1 ამორუზო (54), 3:1 ამორუზო (71-პენ)

**გაძევება**: მორელო (70. მესინა), დ'ავერსა (79. მესინა. სათადარიგოთა სკამიდან)

**გაფრთხილება**: 1-5; **კუთხური**: 2-2; **ჯარიმა**: 19-25; **თამაშგარე**: 1-5; **კარში დარტყმა**: 16-9 (10-2); **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 20 000

**პარმა-ფიორენტინა 2:0**

**პარმა**: ბუჩი-6.5, კოლი-6, ფერნანდო კოუტუ-6.5, კონტინი-6.5, კასტელინი-6, პარავიჩინი-6 (81. გრელა-შ.გ), ჩიგარინი-6, დესენა-6.5, ჯ. როსი-7, ბუდანი-5.5 (65. პაჩი-6), მუსლიმოვიჩი-6 (77. მორფეო-5.5).

**ფიორენტინა**: ფრეი-6, პოტენცა-5.5 (74. რეჯინალდო-5.5), კროლდრუპი-6, დაინელი-5.5, პასკუალი-5.5, ბლაზი-5 (46. ლივერანი-6), კუჯმანოვიჩი-5.5 (60. პაცინი-6), მონტოლივო-5.5, იორგენსენი-6, ტონი-5, მუტუ-5.

**გოლები**: 1:0 ჯ. როსი (27), 2:0 ჯ. როსი (89-პენ)

**გაფრთხილება**: 3-3; **კუთხური**: 0-8; **ჯარიმა**: 21-23; **თამაშგარე**: 2-4; **კარში დარტყმა**: 11-15 (7-10); **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 17 000

**სიენა-ტორინო 1:0**

**სიენა**: მანინგერი-7, ბერტოტო-6, პორტანოვა-6, რინაუდო-6, მოლინარო-6, ალბერტო-6 (82. ნეგრო-შ.გ), კოდრეა-5.5 (56. ერიომენკო-6.5), ვერგასოლა-7, ანტონინი-6.5 (68. გალოპა-6), კიეზა-6, კორვია-6.

**ტორინო**: აბიატი-6, კომოტო-6, ო. ბრევი-6, ი. ფრანჩესკინი-5.5, ბალესტრი-5.5, ბარონე-6 (81. კონანი-შ.გ), არდიტო-5.5, როზინა-6, მუცი-5.5 (60. სტელონე-5.5), ლაზეტიჩი-5.5 (74. ფ. კოკო-შ.გ), აბრუსკატო-6.

**გოლი**: 1:0 ანტონინი (65)

**გაფრთხილება**: 4-1; **კუთხური**: 11-2; **ჯარიმა**: 17-22; **თამაშგარე**: 4-4; **კარში დარტყმა**: 11-15 (5-8); **ბურთის ფლობა**: 44%-56%.

**მაყურებელი**: 5 600

**XXII ტური. 2 თებერვალი**

**კატანია-პალერმო 1:2**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 32 | 25 | 6 | 1 | 66-28 | 81 |
| 2. რომა | 32 | 20 | 8 | 4 | 65-24 | 68 |
| 3. ლაციო | 32 | 17 | 9 | 6 | 54-26 | 57 |
| 4. მილანი | 32 | 17 | 10 | 5 | 50-29 | 53 |
| 5. პალერმო | 32 | 13 | 10 | 9 | 46-39 | 49 |
| 6. ემპოლი | 32 | 13 | 10 | 9 | 35-31 | 49 |
| 7. ფიორენტინა | 32 | 17 | 8 | 7 | 52-28 | 44 |
| 8. უდინეზე | 32 | 11 | 9 | 12 | 41-44 | 42 |
| 9. ატალანტა | 32 | 9 | 12 | 11 | 45-45 | 39 |
| 10. სამპდორია | 32 | 10 | 9 | 13 | 37-41 | 39 |
| 11. ლივორნო | 32 | 8 | 12 | 12 | 34-47 | 36 |
| 12. სიენა | 32 | 7 | 14 | 11 | 28-35 | 34 |
| 13. კალიარი | 32 | 7 | 13 | 12 | 27-35 | 34 |
| 14. კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38-61 | 33 |
| 15. ტორინო | 32 | 8 | 8 | 16 | 25-43 | 32 |
| 16. რეჯინა | 32 | 10 | 11 | 11 | 42-43 | 30 |
| 17. კიევო | 32 | 6 | 11 | 15 | 33-43 | 29 |
| 18. პარმა | 32 | 6 | 11 | 15 | 28-49 | 29 |
| 19. მესინა | 32 | 5 | 9 | 18 | 30-55 | 24 |
| 20. ასკოლი | 32 | 3 | 11 | 18 | 26-56 | 20 |

**ბომბარდირები**: 21 - ტოტი (რომა); 17 - ბიანკი (რეჯინა), კ. ლუკარელი (ლივორნო); 16 - ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), როკი (ლაციო); 14 - იაკუინტა (უდინეზე), მუტუ (ფიორენტინა); 13 - რიგანო (მესინა), სპინეზი (კატანია).

**სერია B**

XXII ტური

**იუვენტუსი-რიმინი 0:0**

**იუვენტუსი**: ბუფონი, ბირინდელი, ლეგროტალიე, კიელინი, ბალცარეტი, კამორანეზი, ჯანიკედა, მარკიზიო (46. ძებინა), ნედვედი, დელ პიერო (83. სალაიეტა), ტრეზეგე (75. პალადინო).

**გაძევება**: ბალცარეტი (48. იუვენტუსი)

**ჯენოა-ვიჩენცა 2:0**

**გოლები**: 1:0 კარობიო (33), 2:0 გასპარეტო (82)

**ვერონა-მოდენა 1:1**

**გოლები**: 0:1 პინარდი (21), 1:1 ფორნარი (60)

**გაძევება**: სფორცინი (90. მოდენა)

**ტრევიზო-ნაპოლი 0:3**

**გოლები**: 0:1 პია (4), 0:2 კალაიო (55), 0:3 მონტერვინო (90)

**პიაჩენცა-ბრეშა 1:2**

**გოლები**: 1:0 კაჩა (39), 1:1 ლიმა (67), 1:2 ჰამსიკი (73)

**ფროზინონე-ტრიესტინა 2:0**

**გოლები**: 1:0 დი ნარდო (1), 2:0 ლოდი (51)

**ბოლონია-პესკარა 2:1**

**გოლები**: 0:1 დე ფალკო (16), 1:1 ბრიოსკი (25), 2:1 მარაცინა (56)

**ბარი-კროტონე 2:1**

**გოლები**: 1:0 სგრინია (57), 1:1 ჯამპაოლო (68), 2:1 სგრინია (77)

**მანტოვა-არეცო 1:1**

**გოლები**: 1:0 გოდეასი (15), 1:1 ვინია (55)

**გაძევება**: გრაუზო (76. მანტოვა)

**ალბინოლეფე-ლეჩე 0:0**

**XXII ტური. 2 თებერვალი**

**ჩეზენა-სპეცია 1:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 33 | 22 | 9 | 2 | 63-21 | 66 |
| 2. ჯენოა | 33 | 18 | 7 | 8 | 52-34 | 61 |
| 3. ნაპოლი | 33 | 15 | 14 | 4 | 41-25 | 59 |
| 4. რიმინი | 33 | 14 | 12 | 7 | 43-26 | 54 |
| 5. მანტოვა | 33 | 12 | 17 | 4 | 40-26 | 53 |
| 6. ბოლონია | 33 | 15 | 8 | 10 | 39-32 | 53 |
| 7. პიაჩენცა | 33 | 15 | 5 | 13 | 43-41 | 50 |
| 8. ბრეშა | 33 | 12 | 10 | 11 | 35-37 | 46 |
| 9. ალბინოლეფე | 33 | 9 | 18 | 6 | 34-29 | 45 |
| 10. ჩეზენა | 33 | 12 | 9 | 12 | 43-48 | 45 |
| 11. ლეჩე | 33 | 12 | 6 | 16 | 41-44 | 42 |
| 12. ფროზინონე | 33 | 10 | 12 | 11 | 34-40 | 42 |
| 13. ვიჩენცა | 33 | 10 | 10 | 13 | 35-33 | 40 |
| 14. ტრიესტინა | 33 | 10 | 11 | 12 | 27-37 | 40 |
| 15. ტრევიზო | 33 | 9 | 12 | 12 | 33-36 | 39 |
| 16. ბარი | 33 | 9 | 12 | 12 | 28-32 | 39 |
| 17. ვერონა | 33 | 9 | 11 | 13 | 22-30 | 38 |
| 18. მოდენა | 33 | 8 | 9 | 16 | 28-37 | 33 |
| 19. სპეცია | 33 | 7 | 12 | 14 | 34-46 | 33 |
| 20. კროტონე | 33 | 6 | 11 | 16 | 27-50 | 29 |
| 21. არეცო | 33 | 5 | 14 | 14 | 25-37 | 23 |
| 22. პესკარა | 33 | 5 | 9 | 19 | 26-52 | 23 |

**ბომბარდირები**: 16 - დელ პიერო (იუვენტუსი); 14 - ბელუჩი (ბოლონია), კაჩა (პიაჩენცა); 12 - კალაიო (ნაპოლი), პაპა ვაიგო (ჩეზენა); 10 - ლოდი (ფროზინონე), მარაცინა (ბოლონია), ჟედა (რიმინი).

ევრო 2012

# უკრაინა და პოლონეთი!

## დიდი ფეხბურთი აღმოსავლეთ ევროპაში მიემგზავრება, ფინალურ სტადიაზე 24 გუნდი მინიმუმ 2016 წლამდე არ ითამაშებს...



კარდიფი. გადამწყვეტი მომენტი


ვარშავა. ხარობენ პოლონელი ფანები

2012 წლის ევროპის ჩემპიონატს უკრაინა და პოლონეთი უმასპინძლებენ. უეფამ არად ჩააგდო ფავორიტ იტალიის განაცხადი და 1976 წლის შემდეგ პირველად კონტინენტის პირველობა აღმოსავლეთ ევროპაში დანიშნა. ზუსტად 31 წლის წინ ჩემპიონატს იუგოსლავიამ უმასპინძლა. პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** გამარჯვებული უეფას აღმასკომის საგანგებო სესიაზე გამოაცხადა. სესიას უელსის დედაქალაქი კარდიფი მასპინძლობდა. მაღალი დონის თავყრილობას ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობა დაუთმეს. გამოცხადებას წინა უძღოდა აღმასკომის 12 წევრის დახურული თათბირი. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მიხალ ლისტკიევიჩმა** მისი ქვეყნისა და უკრაინის გამარჯვებას ორი სახელმწიფოს ისტორიაში გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენა უწოდა. კენჭისყრა სენსაციურად წარიმართა. უკრაინა-პოლონეთმა პირველსავე ტურში გაიმარჯვეს. მათ რვა ხმა ერგოთ იტალიელთა ოთხის წინააღმდეგ. უნგრეთისა და ხორვატიის არანაკლებ ამბიციური განაცხადი სულ მთლად უყურადღებოდ დარჩა. *"მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში უკრაინა ახალ სახელმწიფოს ააშენებს. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა,"* - ეს უკრაინული ფედერაციის ხელმძღვანელის **გრიგორი სურკისის** კომენტარი გახლავთ.

უკრაინამ და პოლონეთმა საკუთარი პროექტის წარმოსაჩენად ძალები არ დაიშურეს. სარეკლამო კამპანიაში აქტიურად ჩაერთნენ **ანდრეი შევჩენკო, იერჟი დუდეკი, ვიტალი კლიჩკო** და **სერგეი ბუბკა**. კენჭისყრის დღეს კარდიფში ჩავიდნენ პრეზიდენტები, **ვიქტორ იუშჩენკო** და **ლეხ კაჩინსკი** და საგანგებო პრესკონფერენციები გამართეს. *"ევროპა გვენდო. ბედნიერი ვარ. ყველაფერს მოვასწრებთ. უეფას გადაწყვეტილება საგრძნობლად დააჩქარებს ჩვენს ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებას,"* - თქვა ბუბკამ. უკრაინაში ევრო 2012-ს კიევი, დნეპროპეტროვსკი, დონეცკი და ლვოვი უმასპინძლებენ, პოლონეთში - ვარშავა, გდანსკი, პოზნანი და ვროცლავი. პრეზიდენტი იუშჩენკო დარწმუნებულია, რომ მსოფლიო უკრაინასა და პოლონეთში დაუვიწყარ სპორტულ სანახაობას ნახავს.

გამარჯვებამდე მათ პროექტს არა ერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. პოლონეთი საერთაშორისო ტურნირებიდან მოკვეთას გადაურჩა. ფიფამ იქაურ ფედერაციას კორუფციასა და ჩაწყობილ მატჩებთან არაეფექტური ბრძოლის გამო უსაყვედურა. პოლონურ სკანდალს დაახლოებით 70 ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა.

ორიოდ სიტყვას იტალიაზეც მოგახსენებთ. ამ ქვეყანას ევროპის ჩემპიონატიებიც (1968 და 1980) მიუღია და მუნდიალებიც (1938 და 1990), მაგრამ გუშინ დებიუტანტებთან პირწმინდად წააგო. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მიზეზი ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებული შარშანდელი სკანდალი და ძალადობის ბოლოდროინდელი ესკალაციაა. ერთი თვის წინ კატანიაში პოლიციელი მოკლეს. იტალიური დელეგაციის წევრი **ლუიჯი რივა** ამ მოსაზრებებს კატეგორიულად არ დაეთანხა: *"კალჩოპოლი დიდი ხნის წინ იყო. ის შოკი მუნდიალის წინ მივიღეთ და მან კარგა ხანია, გადაიარა. იმ ამბებს ევროპის ჩემპიონატთან საერთო არაფერი აქვს."* რივას მოსაზრებას დაეთანხმა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი **ჯოვანა მელანდრიც**: *"უეფამ გადაწყვიტა, ევროპის საფეხბურთო ოჯახი გააფართოვოს."*

საინტერესოა გამარჯვებულ კანდიდატთა საფეხბურთო მიღწევებიც. პოლონეთი 1974 და 1982 წლების მუნდიალების მესამე პრიზიორია, 1972 წელს ოლიმპიადა მოიგო, ხოლო 1976 და 1992 წლებში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლები. დამოუკიდებელი უკრაინის ყველაზე დიდი გამარჯვება შარშანდელი მუნდიალის მეოთხედფინალში თამაში იყო. საკლუბო დონეზე კიევის დინამომ ორჯერ გაიმარჯვა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში 1975 და 1986 წლებში. სხვადასხვა დროს სამი უკრაინელი ფეხბურთელი დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად: **ოლეგ ბლოხინი** 1975 წელს, **იგორ ბელანოვი** 1986 წელს და ანდრეი შევჩენკო 2004 წელს.

უეფას აღმასკომმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელა. გადაწყდა, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი 2016 წლამდე არ გაიზრდება. უკრაინელებსა და პოლონელებს კვლავ 16 გუნდის დაბინავებაზე მოუწევთ ზრუნვა. უეფას აღმასკომი კი საკითხის შესწავლას გააგრძელებს და დასკვნას მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრისათვის წარმოადგენს. იდეა შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციას ეკუთვნის. მას მხარი დაუჭირეს ირლანდიელებმა, შვედებმა და ლატვიელებმა. იდეის ავტორთა მტკიცებით, 24 გუნდი ტურნირს უფრო მიმზიდველს გახდის, გაზრდის ინტერესს შესარჩევი თამაშების მიმართ, გაიზრდება სპონსორებისა და ტრანსლაციების გაყიდვით მიღებული შემოსავლებიც. აქვე შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე 16 ნაკრები 1996 წლიდან ასპარეზობს. იქამდე ფინალურ სტადიაზე მხოლოდ 8 გუნდი გადიოდა.




სკანდალური ფოტოფაქტები

# ბერლუსკონი ისევ გამოიჭირეს

## სილვიოს ჰარემი: მილანის ბოსი და ყოფილი პრემიერი სიბერეს ილამაზებს

პოპულარულმა იტალიურმა ჟურნალმა "ოჯიმ" (Oggi - ანუ, "დღეს") სკანდალური ფოტოები დაბეჭდა. "მილანის" მფლობელი და პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** მავანმა პაპარაცმა სარდინიაზე, საკუთარ ვილა ჩერტოზაში, ახალგაზრდა მანდილოსნებთან ერთად გამოიჭირა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღშფოთებულია და მომხდარს პროვოკაციად მიიჩნევს. ბერლუსკონი დარწმუნებულია, რომ ამ ყველაფერში ბინძური პოლიტიკოსების ხელი ურევია. ადრე, ის მსგავს ფაქტებს ყურადღებას არ აქცევდა, ახლა კი გადაწყვეტილი აქვს, მართლმსაჯულებას მიმართოს.

*"ეს არა მხოლოდ ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევაა, არამედ კერძო საკუთრების ხელყოფაც"* - აცხადებს ბერლუსკონი და პირად ადვოკატ **ნიკოლო გედინის** სასამართლოში სარჩელის შეტანას ავალებს.




მოსალოდნელი ტრანსფერი

# უკვე 100 მილიონი

## ბერლუსკონის სენსაციური წინადადება: ასტრონომიულმა თანხამ ბარსელონა კუთხეში მიამწყვდია...

გუშინ იტალიურ და ესპანურ გაზეთებში სენსაციური სიახლე დაიწერა. თემა ძველია, მაგრამ ეს ბოლო ამბავი, მართლაც სენსაციურია. საქმე ისევ და ისევ "მილანსა" და **რონალდინიოს** შეეხება. მოგეხსენებათ, იტალიური გრანდი დიდი ხანია ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის ხელში ჩასაგდებად იბრძვის. "ბარსელონა" დუმდა და ამით გულშემატკივრებს უკიდურესად არისხებდა. ბოლოს კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებმა ხმა ამოიღეს და განაცხადეს, გაუჩოს ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტს შევთავაზებთო. რონალდინიოს ძმა და ამავდროულად მისი მენეჯერი **რობერტო დე ასისი** ბარსელონიდან ფრიად კმაყოფილი წავიდა. თავად ფეხბურთელმაც განაცხადა, "კამპ ნოუდან" აბარგება არ მსურსო. ამის შემდეგ ყველამ იფიქრა, რომ "მილანი" ფარ-ხმალს დაყრიდა და სხვა მიმართულებით დაიწყებდა მუშაობას. ვარაუდი არ გამართლდა...

საქმეში თვით **სილვიო ბერლუსკონი** ჩაერთო და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რონალდინიოს სანაცვლოდ არც მეტი, არც ნაკლები 100 მილიონ ევროს გადაიხდის. ძნელი სათქმელია ამ უპრეცედენტო წინადადებას "ბარსას" მესვეურები როგორ უპასუხებენ. ექსპერტების ვარაუდით, კატალონიურ გრანდს საუკეთესო მოთამაშის შენარჩუნება საკმაოდ გაუჭირდება. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ესპანურ მედიაში რონალდინიოს პატიოსნება ეჭვქვეშ დააყენეს. ჟურნალისტები აცხადებენ, გაუჩო სიმულანტობს, რომ მას ტრავმა არ აწუხებს და ამ ყველაფერს მოკლევადიანი არდადეგების მოწყობის მიზნით იგონებსო. რონალდინიოს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. სატრანსფერო სიახლეები

# ტონის მიუნხენში არ უნდა

## გერმანელებმა იტალიელს სასტუმრო და ვახშამი დაამადლეს...

**ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან გავარდნა და იმის ალბათობა, რომ რეკორდმაისტერი გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვერ იასპარეზებს (მიუნხენელები ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე არიან), ბავარიელებს ძალიან ძვირად უჯდებათ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ "ფიორენტინისა" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელ ლუკა ტონის "ბაიერნში" გადაბარგება არ სურს. დიახ, ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ იტალიელმა გოლეადორმა მიუნხენურ კლუბში გადასვლაზე უარი თქვა. სამაგიეროდ, "ბაიერნის" ხელმძღვანელები იერიშის გადატანას "ჰამბურგის" ფლეიმეიქერ რაფაელ ვან დერ ვაარტზე, "ვერდერის" დირიჟორ დიეგოსა და ამავე გუნდის ფორვარდ მიროსლავ კლოზეზე აპირებენ, მაგრამ ამ ფრონტებზეც წაგებები ემუქრებათ.**

### უარის მიზეზები

"ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** ამბობს, რომ **ტონისგან** ოფიციალური უარი ჯერ არ მიუღია, მაგრამ გამოცემა "ბილდი" ირწმუნება, რომ 29 წლის იტალიელი გოლეადორი ბავარიული კლუბის შეფებს უარს ცოტა ხანში შეუთვლის. "ბილდმა" საიდუმლო წყაროდან შეიტყო, რომ ტონი "ბაიერნს" უარს ეუბნება, რისი მიზეზიც ისაა, რომ რეკორდმაისტერი მას ვერ აძლევს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გარანტიას. ანუ მიუნხენური გიგანტის ბოსებს არ ეყოთ არგუმენტები, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ზებენერშტრასეზე გადასვლაზე დაეყოლიებინათ. მოკლედ, ტონი "ბაიერნს" უარს ეუბნება - კიდევ იმიტომ, რომ მისთვის მადრიდის "რეალი" და ტურინის "იუვენტუსი" იბრძვიან. არადა, ბავარიული გრანდის ბოსებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ტონი "ბაიერნით" მოეხიბლათ: შესთავაზეს ოთხწლიანი კონტრაქტი და შესანიშნავი პირობები (წლიურად 5 მილიონ ევროზე ოდნავ მეტი). ათი დღის წინ იტალიელი მეგობარ გოგონასთან ერთად მიუნხენშიც იმყოფებოდა, "ბაიერნის" ბაზა მოინახულა და ხელმძღვანელებთან ერთხმად ივახშმა.

ისე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ის, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები ტონის სასტუმროსა და ვახშმის ხარჯებს ამადლიან (?!). აი, რას წერს "ბილდი": *"ლუკამ ერთი ღამე ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გაატარა და მეორე დღეს ჰიონესსა და რუმენიგესთან ერთად პიცერია "ებოლიში" ივახშმა. ულიმ და კალემ ის რესტორან "კეფერშიც" წაიყვანეს და ბარ P1–შიც - ყველაფრის დანახარჯი "ბაიერნმა" გადაიხადა. მიუხედავად ამისა, ტონი მიუნხენურ კლუბს უარს ეუბნება!"* ნუთუ გერმანელ ჟურნალისტებს ჰგონიათ, რომ ტონის სასტუმროსა და რესტორნების დანახარჯების ანაზღაურება არ შეეძლო? ან იქნებ მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელი ერთიდან მეორე გუნდში პიცერიაში წაყვანის გამო გადავა?

### ვან დერ ვაარტი, დიეგო, კლოზე...

ამრიგად, ტონის უარის შემდეგ, ჰიონესსა და რუმენიგეს ისღა დარჩენიათ, რომ იერიში სხვა ფეხბურთელებზე მიიტანონ. სასურველი მოთამაშეების სიას სათავეში ჰოლანდიელი **ვან დერ ვაარტი**, ბრაზილიელი **დიეგო** და **მირო კლოზე** უდგანან. *"რაფაელი ის ფეხბურთელია, რომელიც "ბაიერნს" ყველაზე მეტად სჭირდება. ვფიქრობ, ჩვენ მის შეძენაზე უნდა ვიზრუნოთ,"* - ეს სიტყვები რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** ეკუთვნის და ეს განცხადება "კაიზერმა" "შპორტბილდისთვის" მიცემულ უახლეს ინტერვიუში გააკეთა. ბეკენბაუერის გარდა, ვან დერ ვაარტის გადაბირების სურვილი მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმაც** გამოხატა.

"ჰამბურგის" შეფებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ჰოლანდიელი არ იყიდება და როცა შეიტყვეს, რომ "ბაიერნი" ვან დერ ვაარტს თავს არ ანებებს, არაერთხელ ნათქვამი კიდევ ერთხელ გაიმეორეს. რაფაელს HSV-სთან კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული, თუმცა 2009 წელს ამ გუნდის დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეუძლია. ჩრდილოგერმანული კლუბის შეფებმა 24 წლის ნახევარმცველს ახალი ხელშეკრულების გაფორმება კი შესთავაზეს (2012) წლამდე, მაგრამ ფეხბურთელმა მოლაპარაკებების დაწყებაზე ჯერჯერობით უარი თქვა. მისმა მრჩეველმა **სიორენ ლერბიმ** კი, ჰიონესთან შეხვედრა მაისის ბოლოს დაგეგმა. ანუ, ფეხბურთელს ჯერ იმის ცოდნა სურს, დარჩება თუ არა გუნდი ბუნდესლიგაში. *"რაფაელი "ჰამბურგში" თავს შესანიშნავად გრძნობს და არაერთხელ უთქვამს, რომ ზაფხულში არსად წავა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას უნდა, მომავალში რომელიმე გრანდში ითამაშოს,"* - ამბობს ლერბი.

რაც შეეხება კლოზეს, სულაც არაა გამორიცხული, რომ ბრემენელმა მიუნხენში ამოყოს თავი. მართალია, მირო რეგულარულად იმეორებს, თუ "ვერდერიდან" წავალ, მაშინ გერმანიაში არ დავრჩებიო, მაგრამ ბოლო დროს მისით დაინტერესებული კლუბების რაოდენობამ იკლო. კლოზეს მოსურნე "ბარსელონამ" კონტრაქტი გაუფორმა სერბ **ნიკოლა ჟიგიჩს**, რაც იმას ნიშნავს, რომ კატალონიელები კლოზეს აღარ დაუმიზნებენ. "იუვენტუსიდან" და "ინტერიდან" კი ისევ არაფერი ისმის - როგორც ჩანს, ამ გუნდებს გერმანიის ნაკრების ბომბარდირის შეძენის სურვილი გაუნელდათ.

"ბაიერნი" იძულებულია, მინიმუმ ერთი უმაღლესი კლასის ფორვარდი შეიძინოს და რაკი მიუნხენელებმა ტონისგან უარი მიიღეს, თამამად შეუძლიათ, რომ კლოზეს დაუმიზნონ. რუმენიგე ამბობს, მირო ძალიან გვჭირდება და საკმარისია, ერთხელ თქვას, რომ ჩვენთან გადმოსვლა უნდა და ჩვენ მაშინვე გავაქტიურდებითო. ჰიტცფელდი კი კლოზეს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო და "ბაიერნისთვის" ზედგამოჭრილ თავდამსხმელს უწოდებს. სხვათა შორის, მიროს კოლეგამ გერმანიის ნაკრებში **ლუკას პოდოლსკიმ**, კლოზეს ზებენერშტრასეზე გადაბარგება ურჩია.

აი, დიეგოს შეძენა კი ბავარიელებს მართლა ძალიან გაუჭირდებათ. ეს რუმენიგემ და ჰიონესმაც კარგად იციან და ამიტომაცაა, "მუსიკოსთა" ბრაზილიელი გამთამაშებელი მხოლოდ სათადარიგო ვარიანტად რომ განიხილება (ვან დერ ვაარტის შემდეგ). იყო საუბრები **არიენ რობენზეც**, მაგრამ ბოლოს დროს ამ თემაზე არანაირი ინფორმაცია აღარ გაჟღერებულა.

### შვაინშტაიგერი ჰამბურგთან ითამაშებს?

როგორც იცით, **ბასტიან შვაინშტაიგერს** ობობის ნაკბენი გაუმიზეზდა და ბავარიული კლუბის ექიმები შიშობდნენ, ინფექცია არ ჰქონდესო. სამედიცინო შტაბის საბოლოო პასუხს თვითონ შვაინიც მოუთმენლად ელის. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ 22 წლის ნახევარმცველს მუხლში ანთება აქვს - საბოლოო დიაგნოზი ამ დღეებში გახდება ცნობილი. მაგრამ თვითონ ფეხბურთელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ ერთ კვირაში ვარჯიშის განახლებას შეძლებს. "შტუტგარტთან" შვაინი ვერ ითამაშებს - ეს გადაწყვეტილია, მაგრამ დიდი შანსია, რომ 29 აპრილს "ჰამბურგთან" იასპარეზოს. თუ რა თქმა უნდა, ინფექცია არ აღმოაჩნდა - ასეთ შემთხვევაში მისთვის სეზონი დასრულებულად გამოცხადდება.

*"აუცილებლად მალე უნდა დავბრუნდე, რათა გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში დავეხმარო. სეზონის ბოლომდე 5 მატჩია დარჩენილი და მინიმუმ სამ მათგანში მონაწილეობა უნდა მივიღო,"* - ამბობს შვაინშტაიგერი.

**გოტფრიდ ლენცი**





იურგენ კლინსმანი

ჩელსი. სპეკულაციები

# მაინც იურგენი?

## რომანმა თანხა გაზარდა, კლინსის შეუძლია, უმდიდრესი მწვრთნელი გახდეს...

"ჩელსის" **იურგენ კლინსმანთან** გარიგების იმედი არ დაუკარგავს. ამ ინფორმაციას ის "სანი" გვაუწყებს, რომელმაც გუშინ "არისტოკრატებისა" და გერმანელი სპეციალისტის მოლაპარაკებები დასრულებულად გამოაცხადა. იურგენმა წლიურ 6.5 მილიონიან ხელფასზე უარი თქვა და ოჯახთან ერთად ლოს ანჯელესში დარჩენა გადაწყვიტა. ლონდონელებმა თანხა 7 მილიონ გირვანქამდე გაზარდეს და კლინსის უკანასკნელად შეეხმიანნენ. თანხმობის შემთხვევაში, იურგენი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი საფეხბურთო მწვრთნელი გახდება. ჯერჯერობით უმდიდრესთა სიას **ჟოზე მოურინიო** ლიდერობს. პორტუგალიელმა ხელფასისა და პრემიების სახით გასულ სეზონში 6.8 მილიონი გირვანქა მოიხვეჭა.

კლინსმანის დანიშვნას მხარს უჭერს **ფრანც ბეკენბაუერი**. 2004 წელს იურგენი გერმანიის ნაკრებშიც კაიზერის დაჟინებული რეკომენდაციით დაინიშნა: *"არ ვიცი, რა გადაწყდება, მაგრამ იურგენის დანიშვნა შესაძლებლად მიმაჩნია. ის ინგლისში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. კლინსის გარდა, ვერც ერთი გერმანელი ვერ გახდებოდა პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელი (1995). იურგენი "ჩელსის" კარგად მოერგება, მაგრამ არაფერი გამოუვა, თუ განუწყვეტლივ ინგლისსა და ამერიკას შორის იფრენს. მას ლონდონში დასახლება მოუწევს. ფეხბურთის გარდა, არაფრისთვის დრო არ დარჩება. 20-გუნდიანი პრემიერლიგა, სადაც შობასა და ახალ წელსაც კი თამაშობენ, ორი სათასო ტურნირი და ჩემპიონთა ლიგა მთელ მის დროს ჩაყლაპავს. "ჩელსიში" გატარებული ორი სეზონი ისეთივე მომქანცველია, როგორც სხვაგან ოთხი წელი მუხლჩაუხრელად მუშაობა. მაგრამ როცა ასეთი შანსი ჩნდება, მას უნდა მოეჭიდო. იურგენი 42 წლისაა. ის ახალგაზრდაა და დიდ გუნდში სამუშაოდ მზად არის."*

მანჩესტერ იუნაიტედი

# ჰარგრივსი 18 მილიონად

## ევრაც დაიმტვრა, მსაჯებს კი ფერგის გაღიზიანება არ სურთ...

"მანჩესტერ იუნაიტედს" **ოუენ ჰარგრივსის** შესაძენად 18 მილიონი გირვანქა დასჭირდება. "ბაიერნი" გარიგებას დათანხმდა. გერმანელებმა აღიარეს, რომ ინგლისელი ნახევარმცველის შენარჩუნებას ვერ ახერხებენ. "მენიუსთან" მოლაპარაკებები "მილანთან" დამარცხების მეორე დღესვე განახლდა. **გლეიზერები** ტრანსფერის დასაფინანსებლად მზად არიან. **სერ ალექს ფერგიუსონმა** მათ შესახებ საგანგებო კომენტარი გააკეთა: *"ბოსები ღირსეულად იქცევიან. ისინი ჩემს საქმეში ერთხელაც არ ჩარეულან. საფეხბურთო საქმეებს დამოუკიდებლად ვუძღვებით. მათ გვითხრეს, დავურეკოთ, როცა რამე დაგვჭირდება..."*



ოუენ ჰარგრივსი

სამშაბათს "მანჩესტერმა" "შეფილდ იუნაიტედთან" გამოტოვებული მატჩი მოიგო, 2:0. გოლები **მაიკლ ქერიკმა** და **უეინ რუნიმ** გაიტანეს. ქერიკში თავდამსხმელმა გაილვიძა. ერთი კვირის წინ, "რომასთან" განმეორებით მეოთხედფინალში, მაიკლმა დუბლი შეასრულა. **კრისტიანო რონალდო** მხოლოდ საგოლე პასით დაკმაყოფილდა. შეფილდელთა თავკაცმა **ნილ უორნოკმა** ხუთი წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა. ის წაგებას შეგუებული იყო. მომავალ უქმეებზე კი "ჩარლტონთან" გადამწყვეტი მატჩი ელოდება. იმ თამაშს შეფილდელთათვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი მდგომარეობით, მათ გასავარდნი ზონისაგან ორი ქულა და ერთი ადგილი აშორებთ.

მანჩესტერელებს კიდევ ერთი მცველი დაუშავდათ. **მიკაელ სილვესტრის, ნემანია ვიდიჩის, რიო ფერდინანდის, ჯონ ოშისა** და **გარი ნევილის** შემდეგ **პატრის ევრამაც** შვებულება გამოინერა. მე-20 წუთზე ის **კოლინ კაზიმ-რიჩარდსმა** დაამტვრია. შეფილდელს ყვითელი ბარათი აუფრიალეს, ევრა კი დაუყოვნებლივ გაიყვანეს მინდვრიდან. გაუმართლებელი უხეშობის გამო გააფრთხილეს რუნიც, თუმცა მოგვიანებით მან სეზონის მე-20 გაიტანა. ეს უეინის საუკეთესო სეზონური მონაგარი გახლავთ.

მეორე ნახევარში არბიტრმა რობ სტაილზმა "იუნაიტედის" კარში 11-მეტრიანი არ დანიშნა. **გაბრიელ ჰაინცემ** მეტოქის თავდამსხმელი **ლუტონ შელტონი** წესების დარღვევით შეაჩერა, მაგრამ მსაჯმა არგენტინელის დაჯარიმება ზედმეტად მიიჩნია. ნამატჩევს უორნოკმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"სერ ალექსის განაწყენებას ყველა ერიდება. სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, არბიტრმა უხეშობა რომ ვერ დაინახა."* უორნოკის აზრით, ჰაინცე გასაგდები იყო. საკამათო ეპიზოდზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს ფერგისაც. მან მიუგო: *"როგორც მითხრეს, ჯარიმის დანიშვნა შეიძლებოდა, მაგრამ 11-მეტრიანებით არც ჩვენ გვანებივრებენ ხოლმე. დავიმსახურეთ და გაგვიმართლა."*

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაფა ბენიტესი

ლივერპული

# ბენიტესმა რეალი უარით გაისტუმრა

## ესპანური გრანდი ეშმაკების თავკაცს საოცარ პირობებს სთავაზობდა...

გუშინ **რაფა ბენიტესმა** ინგლისელი და ესპანელი ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. "ლივერპულის" დამრიგებელმა საზოგადოებას საინტერესო ამბავი გააცნო: *"აქამდე თავს ვიკავებდი, მაგრამ ახლა უკვე ოფიციალურად შემიძლია დავადასტურო, რომ მადრიდის "რეალის" შეთავაზება მივიღე. ჩემმა მენეჯერმა მათ მოახსენა, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგება არ მსურდა. ამის შემდეგ სამეფო კლუბის მესვეურებმა მცირე პაუზა აიღეს და მოგვიანებით კიდევ ერთხელ შემეხმიანნენ. ამჯერად მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული კონტრაქტი შემომთავაზეს. მადრიდელები მზად არიან, იმაზე გაცილებით მეტი გადამიხადონ, ვიდრე "ლივერპულში" მუშაობის სანაცვლოდ ვიღებ. გამოგიტყდებით, მაცდუნებელი წინადადება იყო, მაგრამ თანამემამულეებისთვის მოსაფიქრებელი დროც კი არ მითხოვია. ისინი უმალ უარით გავისტუმრე. მადრიდელებს გარკვევით მოვახსენე, რომ ლივერპულში ბედნიერად ვცხოვრობ და აქ ჯერაც ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. მოკლედ, მართლაც დიდებულ კონტრაქტზე ვთქვი უარი. რა თქმა უნდა, ამას არ ვნანობ. მჯერა, მომავალშიც არ ვინანებ. "ლივერპული" უზომოდ მიყვარს და მსურს, მას მრავალი წარმატება მოვუტანო. შესანიშნავი შანსი გვაქვს, მიმდინარე სეზონის მიწურულს საკუთარ თავსა და გულშემატკივრებს დაუვიწყარი საჩუქარი გავუკეთოთ. ამ საჩუქარს, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ჰქვია."*

"წითელი ეშმაკების" ხელმძღვანელობამ ბენიტესის მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა. ინგლისურ მედიაში წერენ, რომ დირექტორატი ესპანელი მწვრთნელისთვის ხელფასის გაზრდის საკითხზე მუშაობას შეუდგა. რატომაც არა, ერთგულება ადეკვატურად უნდა დაფასდეს.



ოლივერ ნოივილი

მიონხენგლადბახის ბორუსია

# ნოივილი განრისხდა

## ვეტერანი ფორვარდი მიიჩნევს, რომ მის ზოგიერთ თანაგუნდელს გლადბახის ბედი ფეხებზე ჰკიდია...

ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფი და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისთვის განწირული მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ვეტერანმა თავდამსხმელმა **ოლივერ ნოივილმა** თანაგუნდელები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. *"მიხარია, რომ გავარდნის შემთხვევაში რამდენიმე ფეხბურთელი გუნდს დატოვებს. ასეთ მოთამაშეებს "გლადბახში" არაფერი ესაქმებათ. ბოლო დროს სულ ისეთი განცდა მაქვს, რომ მათ ფეხებზე ჰკიდიათ, სად ითამაშებს გერმანიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, პირველ თუ მეორე ბუნდესლიგაში,"* - განუცხადა ნოივილმა "ბილდს" და იქვე დაამატა, - *"თუ გავვარდებით, ეს ათმაგად სამწუხარო იქნება, რადგან გულშემატკივრები მედგრად გვიჭერენ მხარს და სეზონის დასასრულის მოახლოვებას ძალიან განიცდიან".*

*"თუკი ზოგ-ზოგიერთები უკვე დანებდნენ, ეს მე არ მაინტერესებს. პირადად მე, ბოლო ტურამდე ვიბრძოლებ,"* - ეს კი ნახევარმცველ **მიხაელ დელურას** სიტყვები გახლავთ.

შეგახსენებთ, რომ დელურასთან ერთად, სეზონის ბოლოს კონტრაქტები მეკარე **კეისი კელერს**, ასევე **მიხაელ მელკას, ჰასან ელ ფაკირისა** და **ოლივერ კირხს** უმთავრდებათ. ცხადია, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების შემთხვევაში, მათთან ერთად გუნდს სხვა მოთამაშეებიც დატოვებენ. ნოივილი კი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც "ბორუსიას" ერთგულება აღუთქვა - გერმანიის ნაკრების ფორვარდი "გლადბახს" მეორე ბუნდესლიგაში მიჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ ქვედა ლიგაში ასპარეზობა ნოივილს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს, ფაქტობრივად, მოუსპობს, ოლივერი მაინც მიონხენგლადბახში რჩება. "ბორუსია" სამშვიდობო ზონას 7 ქულით ჩამორჩება, რის გამოც ერთობ არარეალურია, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე (ხუთი ტურია დარჩენილი) ელიტაში ადგილის შენარჩუნება შეძლოს.

მანჩესტერი

# ფერგის სარაგოსელი ფავორიტი

"დიარიო მარკას" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" სარაგოსელი **ხერარდ პიკეს** ტრანსფერითაა დაინტერესებული. აღსანიშნავია, რომ ბრიტანული კლუბის მოთხოვნით, ფეხბურთელის აგენტი "ოლდ ტრაფორდზე" იმყოფებოდა. **არტურო როსალესის** ინფორმაციით, **სერ ალექს ფერგიუსონი** მისი კლიენტით აღფრთოვანებას არ მალავს და ხელმძღვანელობას სთხოვს, "სარაგოსასთან" ინტენსიური მოლაპარაკება დაიწყოს. არაგონელებმა უმალ თავი დაიფასეს და "იუნაიტედის" ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, პიკეს ფასი 70 პროცენტით გაზარდეს. ესპანური კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ხერარდის შეძენის მსურველ ნებისმიერ კლუბს 12 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. მანჩესტერელებს პირენეელი კოლეგების სიხარბე, რა თქმა უნდა, არ ახარებთ. ისინი იმედს იტოვებენ, რომ მოლაპარაკებათა მაგიდასთან ყველა პრობლემატური საკითხის მოგვარებას შეძლებენ.



ხერარდ პიკე



ინტერი დეკუზე ნადირობას აცხადებს

ინტერი

# დეკუ უპირველესი სამიზნეა

## ნერაძური პორტუგალიელის გადაბირებას მიზერულ ფასად შეეცდება

"ინტერი" **დეკუს** შესაძენად სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. მილანური გრანდის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ "ბარსელონის" პორტუგალიელი ვარსკვლავი **ლუიშ ფიგუს** შესანიშნავი მემკვიდრე გახდება. "ლა გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "ნერაძურის" მესვეურები კატალონიელებს ექვს მილიონ ევროს სთავაზობენ. დაგვეთანხმებით, თანამედროვე ფეხბურთში ექვსი მილიონი ევრო მიზერული თანხაა, მით უმეტეს, ასეთი მაღალი დონის ნახევარმცველის კვალობაზე. თითქმის წარმოუდგენელია, "ბარსა" ამ ფულს დათანხმდეს. მიუხედავად ამისა, "ინტერის" შეფები იმედიანად არიან განწყობილები და აცხადებენ, რომ დეკუ მათი კლუბის უპირველეს სამიზნედ გამოცხადდა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ზე რობერტო დორტმუნდში?

## ბრაზილიელი მილანსა და იუვესაც სურთ...

მიუხედავად იმისა, რომ დორტმუნდის "ბორუსიას" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება (BVB-ს გასავარდნ ზონას მხოლოდ 2 ქულა აშორებს), გუნდის ხელმძღვანელები მაინც ტრანსფერებზე მუშაობენ. ვესტფალიელთა პრეზიდენტი **რაინჰარდ რაუბალი** იმედოვნებს, რომ მისი გუნდი ელიტიდან არ გავარდება. ამ უკანასკნელმა უკვე დაადასტურა ინფორმაცია, რომელიც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაავრცელეს: "დორტმუნდს" "ლევერკუზენისა" და "ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელის, ბრაზილიელი **ზე რობერტოს** გადაბირება სურს. ეს უკანასკნელი დღესდღეობით მშობლიურ "სანტოსში" თამაშობს, სადაც კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება.

*"დიახ, ჩვენ შევეხმიანეთ "სანტოსის" ხელმძღვანელებს და ვკითხეთ, შეიძლება თუ არა ზე რობერტოს შესახებ მოლაპარაკებების დაწყება და როდისთვის იქნება შესაძლებელი მისი ტრანსფერი ჩვენს გუნდში,"* - აცხადებს რაუბალი. გაირკვა, რომ თუ "ბორუსია" 32 წლის ნახევარმცველთან შეთანხმებას მიაღწევს, ბრაზილიური კლუბის შეფები მას BVB-ში აგვისტოში, ლიბერტადორესის თასის გათამაშების დასრულების შემდეგ გაუშვებენ და რაკი მას ხელშეკრულების ვადა ეწურება, დორტმუნდელებს ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევთ.

ზე რობერტოს ამასწინანდელი განცხადების მიუხედავად, გერმანიაში სიამოვნებით დაბრუნდებიო, რაუბალი მაინც პესიმისტურადაა განწყობილი, რადგან ზე "დორტმუნდთან" ერთად, "მილანსა" და "იუვენტუსსაც" სურთ. *"თუ "როსონერი" და "ბებერი ქალბატონი" მას მართლაც დაუკავშირდებიან, რა გასაკვირია, რომ ჩვენ პირშიჩალაგამოვლებულები დავრჩებით,"* - აცხადებს რაუბალი.



ზე რობერტო

### სავიოლა მონჟუიკზე?

"ესპანიოლმა" **ხავიერ სავიოლასთვის** ბრძოლა განაახლა. არგენტინელი ფორვარდის ტრანსფერის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც **ლუის გარსიამ** "ვალენსიაში" წასვლა გადაწყვიტა. კატალონიური გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა **სებასტიან ხავიერმა** არგენტინელი ფორვარდის მენეჯერები საქმის კურსში ჩააყენა. ის შეეცადა აგენტები დაერწმუნებინა, რომ "ესპანიოლი" "ბაჭიას" ჩინებულ პირობებს შეუქმნის. სავიოლამ სენიორ სებასტიანს დაინტერესებისთვის მადლობა შეუთვალა, თუმცა მოლაპარაკებების დაწყებისგან თავი შეიკავა. ცნობილია, რომ სამხრეთამერიკელს "ბარსელონაში" დარჩენა სურს. შეგახსენებთ, სავიოლას კატალონიურ გიგანტთან გაფორმებული კონტრაქტის ვადა მიმდინარე წლის 30 ივნისს ეწურება. მას იმედი აქვს, რომ **ჩიკი ბეგირისტაინი** საინტერესო წინადადებით მიმართავს და "ბარსასთან" ხელშეკრულების გახანგრძლივების შესაძლებლობას მისცემს. ხოლო თუ მოვლენები ფორვარდისთვის სასურველი სცენარით არ წარიმართება, "ესპანიოლის" წინადადების განხილვას მთელი სერიოზულობით შეუდგება.

### ლაპორტამ სეპარატისტები დაიცვა

რამდენიმე დღის წინათ პორტუგალიის ქალაქ ალგარვეში რვა წლის ბიჭუნების საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. რომ არა ერთი სკანდალური ფაქტი, ეს ტურნირი ჩვენს ყურადღებას, რა თქმა უნდა, არ მიიპყრობდა. საქმე ის არის, რომ "ბარსელონისა" და "ვალენსიის" საბავშვო გუნდების შეხვედრის დაწყებამდე ორგანიზატორებმა ესპანეთის ჰიმნი ააჟღერეს. "ბარსას" ბიჭუნები კი მოედანზე მხოლოდ მას შემდეგ გავიდნენ, რაც ჰიმნი დასრულდა. ბუნებრივია, არავის უფიქრია, რომ ეს სეპარატისტული გამოხდომა უშუალოდ ბავშვების მიერ იყო ორგანიზებული. ცხადია, აქ ხელმძღვანელების ხელი ერია. ესპანური საზოგადოება ამ ქმედებით უკიდურესად აღშფოთებული დარჩა. ჟურნალისტებმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ხოან ლაპორტას მიერ სულ სხვა თემასთან დაკავშირებით მოწყობილ პრესკონფერენციაზე კითხვა დასვეს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ყოვლად უმსგავსო იდეა. "ბარსელონის" პრეზიდენტმა ასეთი რამ განაცხადა: *"არანაირი სურვილი არ მაქვს, პოლემიკაში ჩავება და აჟიოტაჟი ავტეხო. როგორც ჩანს, ამაში თავად ხართ დაინტერესებულები. ბავშვებს ცხადია, კლუბის წარმომადგენლები ახლდნენ. მე მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. ის გააკეთეს, რაც საჭიროდ მიიჩნიეს. კარგი იქნება, თუ თქვენც პატივისცემით გაიმსჭვალებით."*

### მარსელმა პისარო მოინდომა

"ბაიერნის" პერუელ თავდამსხმელ **კლაუდიო პისაროს**, რომელსაც გერმანიის მოქმედ ჩემპიონთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, მარსელის "ოლიმპიკი" ეპატიჟება. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ ფრანგული კლუბის შეფებმა 28 წლის პერუელს კონტრაქტის 2011 წლამდე გაფორმება შესთავაზეს და ყველაფერს აკეთებენ, რომ ფორვარდი დაითანხმონ. *"პისარო უმაღლესი კლასის თავდამსხმელია. ჩვენ ასეთ ფორვარდს დიდი ხანია ვეძებთ და მოხარული ვიქნები, თუ ის ჩემი შეგირდი გახდება,"* - აცხადებს "მარსელის" მთავარი მწვრთნელი **ალბერ ემონი**.

### მანუელ ფრიდრიხი: მაინციდან ლევერკუზენში?

ლევერკუზენის "ბაიერის" ხელმძღვანელებმა "მაინცისა" და გერმანიის ნაკრების ცენტრალური მცველის, **მანუელ ფრიდრიხის** გადაბირება გადაწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ბოლო დროს საშინლად გამოიყურება, "ფარმაცევტები" მზად არიან, ახალგაზრდა და ნიჭიერი უკანახაზელისთვის იბრძოლონ. *"ჩვენ აუცილებლად გვჭირდება მცველი, მანუელი კი ძალიან საინტერესო და ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელია,"* - ამბობს "ლევერკუზენის" მენეჯერი **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი**. გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ბაიერმა" ფრიდრიხს უკვე შესთავაზა წლიური გასამრჯელო 1.7 მილიონი ევრო, თუმცა ჰოლცჰოიზერი ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს.

ინტერვიუ ხოაკინ სანჩესთან

# ჩელსის ბედმა გაუღიმა

## ვალენსიის ყველა დროის უძვირფასესი ფეხბურთელი პრიმერა დივიზიონის დარჩენილ რვა მატჩში გამარჯვებასა და ესპანეთის ჩემპიონობაზე ფიქრობს...


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხოაკინს "ვალენსიაში" გადაბარგების შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნა. "ღამურებს" ერთ-ერთი საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელის ტრანსფერი 25 მილიონი ევრო დაუჯდათ. ბუნებრივია, კლუბის პრეზიდენტს, ხუან ბაუტისტა სოლერს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ძვირადღირებული ახალწვეული "ვალენსიას" წარმატებებს მოუტანდა. როგორც იცით, ხოაკინს ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება ძალიან გაუჭირდა. თვეების განმავლობაში ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მხოლოდ შეცვლაზე შესვლას ახერხებდა. როგორც იქნა, ანდალუსიელი გარემარბი ფორმაში ჩადგა და მთავარი მწვრთნელის ნდობა მოიპოვა. კიკე ფლორესი ახლა მას ხშირად ათამაშებს. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხოაკინ სანჩესს ბედნიერი დღეები დაუდგა. მართალია, მესტალიელები ჩემპიონთა ლიგას გამოემშვიდობნენ, მაგრამ ფეხბურთელს ეს მოტივაციის დაკარგვას არ უქადის. "ვალენსიას" დაძაბული და პრინციპული პრიმერადივიზიონური დაპირისპირებები ელის. მომავალ ტურში "ღამურები" "სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის "რეალს" ესტუმრებიან. ფლორესის ბიჭები გამარჯვებას უმიზნებენ.**

**- ეს ესაა, "სევილიასთან" წარმოუდგენლად რთული პაექრობა მოიგეთ, მაგრამ ცხოვრება ამოსუნთქვისა და დასვენების საშუალებას არ გაძლევთ. რამდენიმე დღეში კიდევ უფრო ძნელი გამოცდის ჩაბარება მოგიწევთ. "ბერნაბეუზე" "რეალთან" დაპირისპირება მაქსიმალურ კონცენტრაციასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.**

- ეს ჩვენი ბედისწერაა. ცხოვრება რაოდენ რთული და დამღლელიც არ უნდა იყოს, მაინც მაქსიმალური მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. "ბერნაბეუზე" თამაში მართლაც რთულია, მაგრამ "ვალენსია" ნებისმიერ შემთხვევაში მოსაგებად იომებს. არ ვიცი სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ პირადად მე ფრეს წარუმატებელ შედეგად მვიჩნევ. სეზონი დასასრულს უახლოვდება, ამიტომ ქულების დაკარგვა დაუშვებელია. სამეფო კლუბთან შეხვედრამდე რამდენიმე დღე დარჩა. მჯერა, ამ დროს ნაყოფიერად გამოვიყენებთ და "სანტიაგო ბერნაბეუზე" კარგად მომზადებულები გავალთ.

**- სამეფო კლუბის დირექტორატმა სამსაჯო კომიტეტს ღია ბრძოლა გამოუცხადა. როგორ ფიქრობთ, ეს დაძაბულობა ცუდ სამსახურს ხომ არ გაგიწევთ? მიმომხილველების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მოახლოებული მატჩის მსაჯები ფსიქოლოგიურ წნეხში მოექცევიან და სტუმრებს დააზარალებენ.**

- თეორიულად არაფერია გამორიცხული, თუმცა ახლა არანაირი საფუძველი არ მაქვს იმისთვის, რომ მსაჯების კომპეტენციაში ეჭვი შევიტანო. ყოველთვის მათი პროფესიონალიზმის იმედი მაქვს. მერწმუნეთ, წინასწარ იმაზე საუბარი, რომ "რეალისა" და "ვალენსიის" მატჩს მიკერძოებული მსაჯები მოემსახურებიან არავის აძლევს ხელს. არბიტრებს ურთულესი ცხოვრება აქვთ. ერთია, როცა უშუალოდ მოედანზე ხარ და მეორე, როცა სატელევიზიო რეპორტაჟს ადევნებ თვალს. მსაჯს ეპიზოდის განმეორების ხილვის საშუალება არ აქვს, ამიტომ შეცდომის ალბათობა საკმაოდ დიდია. იმედია, შაბათის შეხვედრის მსვლელობისას ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, გულშემატკივრებმა საინტერესო ფეხბურთი იხილონ.

**- საინტერესოა, თქვენი თანაგუნდელები რას ფიქრობენ, ხომ არ ეშინიათ, რომ მსაჯი მასპინძელთა გავლენის ქვეშ მოექცევა?**

- არ ვიცი ვინ რას ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ თემაზე არ ვსაუბრობთ. ძალიან ბევრი საქმე გვაქვს და სისულელეებისთვის დრო არ გვრჩება.

**- თუ "ბერნაბეუზე" გაიმარჯვებთ, ესპანეთის ჩემპიონობის რეალური შანსი გაგიჩნდებათ?**

- ერთი რამ ვიცი, თუ ვერ მოვიგებთ, პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსს დავკარგავთ. ახლა უკვე თავად შეგიძლიათ განსაზღვროთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი თამაში გველის. "ვალენსიამ" შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოამჟღავნოს. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, მადრიდიდან სამი ქულის წამოღება უტოპია სულაც არ იქნება. "სევილიასთან" მოპოვებულმა გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენა ერთიორად გაგვიძლიერა. ასე რომ, დედაქალაქში თავაწეულები მივდივართ.

**- ამასწინათ, ფერნანდო მორიენტესმა "ვალენსია" ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად გამოაცხადა. მოროს ეს ქმედება კიკე სანჩეს ფლორესს არ მოეწონა და შეგირდს თავმდაბლობისკენ მოუწოდა. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?**

- მე ღრმად მწამს, რომ ჩემპიონობის შანსი სხვებთან ერთად "ვალესნიასაც" გააჩნია. მთავარია, იმედი არ დავკარგოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ ვიაროთ წინ. ახლა მხოლოდ "რეალის" დამარცხებაზე უნდა ვიფიქროთ. ამავდროულად, მინდა ვისურვო, რომ "ბარსელონა" და "სევილია" ქულებს დაკარგავენ. მოკლედ, წინ რვა ტური გველის. ეს კი საკმაოდ დიდი დროა. მართლაც უამრავი რამ შეიძლება შეიცვალოს.

**- ანუ, ხოაკინის ამოცანა პრიმერა დივიზიონში გამარჯვებაა?**

- რა თქმა უნდა. გეცოდინებათ, "ვალენსიამ" წინა წლებში ჩემპიონობა როგორ მოიპოვა. მაშინ სხვა გუნდებს შედარებით კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ჩემმა კლუბმა იმედი არ დაკარგა და ბოლო წამამდე იბრძოლა. შრომა შესანიშნავად დაფასდა. რატომ არ შეიძლება ახლაც იგივე მოხდეს?! სასიხარულოა, რომ უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ოპტიმისტურადაა განწყობილი.

**- როგორც იქნა, კარგად ათამაშდით. კიდევ რა გჭირდებათ იმისთვის, რომ საზოგადოებამ ნამდვილი ხოაკინი იხილოს?**

- "მესტალიაზე" გადმობარგების დღიდან ბევრი რამ შეიცვალა. პირველივე წუთიდან ვცდილობდი, ახალ გუნდში კარგად ჩავწერილიყავი. ადაპტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებთან ბრძოლას მოსალოდნელზე დიდი დრო დასჭირდა. გამოგიტყდებით, ვფიქრობდი, რომ ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება არ გამიჭირდებოდა. მწვრთნელი ხედავდა, რომ თავს არასოდეს ვზოგავდი. ზედმეტი ვარჯიში არ მეზარებოდა. ბოლოს და ბოლოს, გარჯა დამიფასდა და კიკე სანჩეს ფლორესმა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი მომცა. სხვა არც არაფერი მჭირდებოდა. ბედნიერი ვარ, რომ პრესა ჩემზე კარგად საუბრობს. რა თქმა უნდა, მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. მომავალშიც ბევრს ვიმუშავებ და შევეცდები, "ვალენსიას" დიდი გამარჯვებების მოპოვებაში დავეხმარო. პროგრესისთვის სიმშვიდე და შრომა მჭირდება. მჯერა, მომავალში გაცილებით უკეთ ვიასპარეზებ.

**- იქნებ, სწორედ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვიხილოთ ნამდვილი ხოაკინი?**

- სამეფო კლუბის გენიალური სტადიონი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის განსაკუთრებული სტიმულია. როგორც წესი, "რეალის" თამაშებს თითქმის მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. შემიძლია, გულშემატკივრები დავარწმუნო, რომ ხოაკინი მაქსიმუმს გაიღებს. დიდი იმედი მაქვს, რომ დედაქალაქიდან გახარებულები ჩამოვალთ. ამ თამაშს ჩვენი გუნდისა და ქომაგებისთვის მართლაც განსაკუთრებული ფასი აქვს.

**- არ შემიძლია, ჩემპიონთა ლიგაზე არ გკითხოთ. ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯი დაგაკლდათ. რა მოხდა "მესტალიაზე"? "ჩელსიმ" მაღალი კლასის წყალობით გაიმარჯვა, თუ უბრალოდ არ გაგიმართლათ?**

- კლასი არც ჩვენ გვაკლდა. "ჩელსი," რა თქმა უნდა, უდიდესი გუნდია, მაგრამ "ვალენსია" მას არაფრით ჩამოუვარდება. უბრალოდ, იღბალმა ზურგი გვაქცია. მთლიანობაში ოთხი ტაიმი ჩავატარეთ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ სამტაიმნახევარი ჩვენი უპირობო უპირატესობით აღინიშნა. ლონდონელებმა ფორტუნის წყალობით გვაჯობეს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დამწყდა გული, მაგრამ ახლა ჩემპიონთა ლიგაზე საუბრის დრო აღარ გვაქვს. ყველაფერი წარსულში დარჩა. მერწმუნეთ, ტყუილად არ ვამბობთ, რომ უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად წარუმატებელი წარსულის სასწრაფოდ დავიწყებაა საჭირო. ცუდ განწყობაზე მყოფი ფეხბურთელი ვერასოდეს შეძლებს, შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. თანამედროვე ფეხბურთში კი ცალი ფეხით ვერაფერს მიაღწევ. მოკლედ, "ჩელსისთან" ჩატარებული შეხვედრის გახსენება აღარ მსურს.

**- ბოლო კითხვა, მომავალ სეზონში "ვალენსიას" კიკე ფლორესი ან ამადეო კარბონი დატოვებს. ამ ინფორმაციას, ფაქტობრივად, ყველა სააგენტო ავრცელებს. რაშია საქმე, გუნდში შიდა ბრძოლები მძვინვარებს?**

- (იცინის) გსურთ, რომ სულელურ, უსაფუძვლო ჭორებზე სერიოზული ტონით ვისაუბრო?! არა სენიორ, საამისო სურვილი არ გამაჩნია. "ვალენსიაში" სამუშაო ატმოსფერო სუფევს და არავინ არავის ებრძვის. ჯობს, ჭორებს ნაკლები ყურადღება მიაქციოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**


კიკე სანჩეს ფლორესი

მოსალოდნელი სანქციები

# სასჯელები მიატოვიჩსა და კიკე ფლორესს?

## ვალენსიასა და რეალს ხუთი დღე მიეცათ იმისთვის, რომ მსაჯების საჩივარს კონტრარგუმენტები დაუპირისპირონ, პრეზიდენტი კალდერონი უკან იხევს...

პრიმერა დივიზიონის მსაჯთა პროფესიულმა გაერთიანებამ ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში საჩივარი შეიტანა. არბიტრთა კორპუსი აღნიშნულ ორგანოს **კიკე სანჩეს ფლორესისა** და **პრედრაგ მიატოვიჩის** მკაცრად დასჯას თხოვს. შეგახსენებთ, "ბილბაოსთან" მატჩში **მეხუტო გონსალესის** მსაჯობით აღშფოთებული ფლორესი მთავარ მსაჯს მიეჭრა და გინების კორიანტელით აიკლო. მიატოვიჩს კი კიდევ უფრო მძიმე ბრალდებას უყენებენ. "რასინგთან" მატჩში მართლაც ამაზრზენი მსაჯობა ვიხილეთ. **ტურიენსო ალვარესმა** სამეფო კლუბს ორი გამოგონილი პენალტით სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სამი ქულა დააკარგვინა. გარდა ამისა, მან **ივან ელგერა** და **მეხია** წითელი ბარათებით "გააბედნიერა". ამ ყოველივეს მნახველმა გენერალურმა დირექტორმა ემოციები ვერ მოთოკა და ტურიენსო ალვარესი მთელი ქვეყნის გასაგონად მიწასთან გაასწორა. ჩერნოგორიელმა ბასკს ქურდი და ყაჩაღი უწოდა. დაგვეთანხმებით, სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ ტურიენსო ალვარესი გვარწმუნებს, რომ მთავარი სიბინძურე ანონიმურ ზარებში მდგომარეობს. მსაჯს, ფაქტობრივად, ყოველ დღე ურეკავენ და ოჯახის წევრებთან ანგარიშსწორებით აშინებენ. ის დარწმუნებულია, ამ ზარების უკან მიატოვიჩი დგას. რა თქმა უნდა, არ ამტკიცებს, რომ თავად პრედრაგი რეკავს, მაგრამ ეჭვი არ ეპარება, რომ ჯერჯერობით უცნობი გარეწრები სწორედ გენერალური დირექტორის შეკვეთას ასრულებენ.

ტურიენსო ალვარესსა და მეხუტო გონსალესს კოლეგებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. მსაჯებმა საჩივრის ტექსტი ერთობლივად შეადგინეს და სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარის მისალებში ჩააბარეს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია "ვალენსიასა" და "რეალს" კონტრარგუმენტების წარსადგენად ხუთ დღეს აძლევს. ამის შემდეგ კი სადისციპლინო კომიტეტის წევრები სხდომას მოიწვევენ და გადაწყვეტილებას მიიღებენ...

როგორც ჩანს, მსაჯების სოლიდარობამ და ესპანური ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს კატეგორიულობამ **რამონ კალდერონი** გვარიანად შეაშფოთა. ჯერ კიდევ ერთი დღის წინათ სამეფო კლუბის პრეზიდენტი სენიორ ალვარესს ღიად უპირისპირდებოდა, მაგრამ ახლა სულ სხვა მოსაზრებებს გამოთქვამს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, მადრიდული გიგანტის უმაღლესი ხელისუფლის განცხადებას გაგაცნობთ: *"ყოველთვის მწამდა, რომ მსაჯებს ფეხბურთელების, გულშემატკივრების, მწვრთნელებისა და პრეზიდენტების დახმარება სჭირდებათ. მათ ურთულესი პროფესია აქვთ. შეცდომებს ყველა უშვებს, მსაჯები, მოსამართლეები, არქიტექტორები, ადვოკატები, მძღოლები... გასაგებია, რომ ხშირად ემოციების მოზღვავების გამო, უხეშები ვხდებით, მაგრამ ყოველ გაცოფებას დამშვიდება მოსდევს. ცივი გონებით გაანალიზების შემდეგ კი ვაცნობიერებთ, რომ არბიტრებს ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. ტურიენსო ალვარესის მუშაობით უკმაყოფილოები დავრჩით, თუმცა უშეცდომო არავინაა. სამეფო კლუბის პრეზიდენტი მთელი კოლექტივის სახელით აცხადებს, რომ ჩვენი მხრიდან ეს თემა ამოწურულია. ამიერიდან, ალვარესის წინაალმდეგ არ გავილაშქრებთ. სიმშვიდე ყველას არგებს, "რეალსაც" და მთლიანად ესპანურ ფეხბურთსაც."*

მიმომხილველები ფიქრობენ, რომ რამონ კალდერონის ეს განცხადება ხანძრის ჩაქრობას შეუწყობს ხელს. მათი აზრით, სადისციპლინო კომიტეტი შედარებით ლმობიერ გადაწყვეტილებას მიიღებს და ამით სიტუაციის შემდგომი ესკალაციის შესაძლებლობას მოსპობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

ფედერაციის თასი

## მოგება-წაგება და დღევანდელი ომი ბოსნიასთან

ფედერაციის თასის მატჩი საქართველოსა და ნორვეგიის ჩოგბურთელ ქალთა გუნდებს შორის ორი დღე გაიწელა და გუშინ დასრულდა. პირველ დღეს წვიმამ მავრიკეთის ქალაქ ფინიქსში შეხვედრა მაშინ შეწყვიტა, როცა საქართველოს ნაკრები 1:0-ს იგებდა. **ოქსანა კალაშნიკოვამ** აჯობა **იდუნ ჰერცბერგერს** - 6:1, 6:2. **მაკა ჩახნაშვილისა** და **კაროლინ სტეიროს** დაპირისპირება წვიმის გამო 5:5-ზე შეწყდა პირველ სეტში. გადამწყვეტი სწორედ ეს შეხვედრა იყო, გუშინ მაკამ ორი გეიმი მოიგო და პირველი სეტი დაასრულა, შემდეგ კი მეორეშიც იმარჯვა - 7:5, 6:4. მატჩში ანგარიში 2:0 გახდა, წყვილთა დაპირისპირებას აზრი დაეკარგა. გუშინ პორტუგალია-ბოსნიის მატჩიც განახლდა, **ფრედერიკა პიედადემ სანდრა მარტინოვიჩი** 6:1, 6:1 დაამარცხა და ანგარიში 2:0 გახადა პორტუგალიელთა სასარგებლოდ. A ჯგუფში საბერძნეთის ნაკრების ლიდერმა **ანა გერასიმუმ** ფინელ **პია სუომალაინენს** მოუგო - 6:3, 7:5, ანგარიში ამ მატჩშიც 2:0 გახდა.

დღის მეორე ნახევარში სრული შერცხვენა გველოდა. საქართველოს ნაკრები პორტუგალიის გუნდს ხვდებოდა. ჯერ მეორე ნომრები გავიდნენ კორტზე ოქსანა კალაშნიკოვა **ნეუსა სილვას** დაუპირისპირდა. სილვა მსოფლიოს 336-ე ჩოგანია და და 8 წლით უფროსია ოქსანაზე. სწორედ ის იყო ამ მატჩის ფავორიტი, თუმცა ოქსანას იმედი მაინც გვქონდა. 16 წლის ქართველმა თანაბარი ბრძოლა კი გაუმართა პორტუგალიელს, მაგრამ ორ სეტში წააგო - 5:7, 4:6.

ამის შემდეგ **მაკა ჩახნაშვილის** და **ფრედერიკა პიედადეს** შეხვედრა შედგა.პიედადე მსოფლიოს 281-ე ჩოგანია, თუმცა მასზე 140 საფეხურით წინ მდგომ ქართველს მაინც იოლად გაუმკლავდა - 6:2, 6:4. წყვილთა თანრიგის მატჩი ველარაფერს გადაწყვეტდა, ჩვენები 0:2-ს აგებდნენ. **ეკა გორგოძის** და **სოფიო ქვაცაბაიას** დუეტმა სამ სეტში წააგო **მაგალი დე ლატრეს** და **ანა ნოგეირას** წყვილთან - 4:6, 6:3, 3:6. საქართველო-პორტუგალია 0:3 მორჩა, მეორე მატჩში კი ბოსნიელებმა ნორვეგიელები გაანადგურეს - 3:0.

დღეს საქართველოს ნაკრებს ბოსნიელებთან გადამწყვეტი მატჩი აქვს, მხოლოდ მოგება გვჭირდება, რომ ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავოთ (პორტუგალია, რომ უმწეო ნორვეგიას მოუგებს, ეჭვი არავის ეპარება) და ევროპა-აფრიკის პირველი ზონის საგზურისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ. გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები საგზურისთვის ბრძოლაში A ჯგუფში პირველ ადგილზე გასულს შეხვდება. დღეს იმ ჯგუფში ერთმანეთს სამხრეთი აფრიკისა და საბერძნეთის ნაკრებები დაუპირისპირდებიან, გამარჯვებული ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

FedCup BNP PARIBAS

### ევროპა-აფრიკის II ზონა

**17-20 აპრილი. მავრიკის კუნძულები**

| A ჯგუფი |
|---|
| **საბერძნეთი-ფინეთი 2:0** |
| ანა კუმანტუ-ესი ლაინე 6:4, 7:5 |
| ანა გერასიმუ-პია სუომალაინენი 6:3, 7:5 |
| **სამხ. აფრიკა-ფინეთი 2:1** |
| ლიზან დუპლესი-ემა ლაინე 7:5, 6:1 |
| სურინა დე ბეერი-პია სუომალაინენი 6:1, 1:6, 1:6 |
| კელი ანდერსონი, სურინა დე ბეერი-ემა ლაინე, პია სუომალაინენი 6:4, 6:4 |
| დღეს: **სამხ. აფრიკა-საბერძნეთი** |

| B ჯგუფი |
|---|
| **საქართველო-ნორვეგია 2:0** |
| ოქსანა კალაშნიკოვა-იდუნ ჰერცბერგი 6:1, 6:2 |
| მაკა ჩახნაშვილი-კაროლინ სტეირო 7:5, 6:4 |
| **პორტუგალია-ბოსნია 2:0** |
| ნეუსა სილვა-დიანა სტოჟიჩი 6:3, 6:3 |
| ფრედერიკა პიედადე-სანრა მარტინოვიჩი 6:1, 6:1 |
| **საქართველო-პორტუგალია 0:3** |
| ოქსანა კალაშნიკოვა-ნეუსა სილვა 5:7, 4:6 |
| მაკა ჩახნაშვილი-ფრედერიკა პიედადე 2:6, 4:6 |
| ეკა გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია-ანა ნოგეირა, მაგალი დე ლატრე 4:6, 6:3, 3:6 |
| **ბოსნია-ნორვეგია 3:0** |
| დიანა სტოჟიჩი-იდუნ ჰერცბერგი 6:0, 6:2 |
| სანდრა მარტინოვიჩი-კაროლინ სტეირო 7:5, 6:7, 6:1 |
| ნადინა სეცერბეგოვიჩი, დიანა სტოჟიჩი-ჰელენ აუენსენი, ემა ფლუდი 6:3, 6:4 |
| დღეს: **საქართველო-ბოსნია, პორტუგალია-ნორვეგია** |




მაკა ჩახნაშვილი

## ტატიშვილმა მოგება გაიხსენა

17 წლის **ანა ტატიშვილმა** შეძლო ალაბამის შტატის ქალაქ დოტენში მიმდინარე 75-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა, ამისთვის მან სამი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან. ანამ ჯერ ავსტრალიელ **ნიკოლ კრიცს** (381) მოუგო - 6:1, 6:0, შემდეგ მეორე ნომრად განთესილ ამერიკელ **ანჯელა ჰეინესს** (217) აჯობა, რომელმაც მანამდე **სოფიო მელიქიშვილი** გამოთიშა ასპარეზობიდან - ანამ სამ სეტში იძია შური - 4:6, 6:4, 6:2. ბოლო საკვალიფიკაციო წრეში ტატიშვილი მე-6 ნომრად განთესილ არგენტინელ **ბეტინა ხოსამის** (238) ხვდებოდა, ანას პრობლემები არ შექმნია - 6:4, 6:0.

დოტენიც ტურნირის ძირითად ბადეში ანა ტატიშვილი რუს ჩოგბურთელ **ალა კუდრიავცევას** შეხვდება კუდრიავცევა 19 წლისაა, ის მსოფლიოს 118-ე ჩოგანია, წლის დასაწყისში კი მოწინავე ასეულშიც იყო.

## ანტიკური ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი

## ხასაიას მძიმე ხვედრი

სოფიაში უკვე მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში, თუმცა აქამდე მხოლოდ ქალები ასპარეზობდნენ, დღეს კი ტურნირში ანტიკოსები ჩაებმებიან და ჩემპიონატისადმი ჩვენი ინტერესიც გაიზრდება. დღეს ქართველთაგან **ირაკლი ჭოჭუა** (55), **მუხრან მაჭუტაძე** (66) და **ბადრი ხასაია** (84) იჭიდავებენ. დღესვე ტურნირში მძიმეწონოსნებიც ჩაებმებიან, თუმცა აქ მონაწილე არ გვეყოლება - ნაკრების ლიდერი **რევაზ ჭელიძე** მენისკნაოპერაციებია და ჯერ ვარჯიშები არ განუახლებია, **მირიან გიორგაძეს** აპენდიციტი ასტკივდა, **დიმიტრი ჯავახიშვილს** - მხარი. თუმცა ჭელიძე სოფიაში მაინც წაიყვანეს და განაცხადშიც იქნება, მაგრამ არ იჭიდავებს. საქმე ისაა, რომ ევროპაზე თუ რომელიმე წონაში მონაწილე არ გვეყოლება, იმავე წონაში მსოფლიოზე არ გვაჭიდავებენ. მწვრთნელებმა ჭელიძე ამიტომ წაიყვანეს ბულგარეთში.

გუშინ წილისყრა ჩატარდა და ჩვენებურთა მეტოქეებიც გაირკვნენ. ერთი შეხედვით, გაუმართლა ჭოჭუას, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით... იგი პირველ წრეში თურქთა დებიუტანტ **ჰუსეინ აიგუნს** შეხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში - გერმანელ **სერგეი სკრიპკას**. თუ ამასაც გასცდა, მეოთხედფინალში გადის, სადაც პოლონელ **მარიუშ ლოსსა** და უკრაინელ **ვუგარ რახიმოვს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. დღევანდელი წესებით, როცა ჭიდაობამ იმდენად დაკარგა აზრი, რომ ყველა მონეტის აგდებას ელოდება და როცა შეხვედრის ბედი დიდწილად სწორედ მონეტით წყდება, პროგნოზები ძალზე ძნელია, თუმცა ჭოჭუას ამ ბარიერების გავლა არ უნდა გაუჭირდეს. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ძლიერი მაინც უკრაინელი რახიმოვი გვგონია, მაგრამ არა დაუძლეველი.

და ვინ შეიძლება შეხვდეს ჭოჭუას ნახევარფინალში? აი, სწორედ იმ მხრიდან შეიძლება ამოუვიდეს ყველაზე სახიფათო მეტოქე, ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, მასპინძელი **ვენელინ ვენკოვი**. მასპინძელთან შეხვედრა რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული, იოლად მიხვდებით.

პირველ წრეში არც მუხრან მაჭუტაძე ისვენებს - შვედ **რობერტ როსენგრენს** ხვდება. ამათ შორის გამარჯვებულს დანიელ **ფრედერიკ ექსტრიომსა** და ფინელ **იუჰა ჰილტუნენს** შორის მოგებული ელის. მის ახლოსაა ანუ მეოთხედფინალში შეხვედრის კანდიდატია რუსი **სერგეი კოვალენკო**, ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი. ტიტულოვანთაგან ამავე ნახევარშია ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი, უკრაინელი **ალექსანდრ ხვოშიც**. რაც მთავარია, ამ წონაში არ ჭიდაობს სახელოვანი თურქი თურქი **სერეფ ეროღლუ**.



ბადრი ხასაია

ჩვენებიდან ყველაზე მეტად მაინც **ბადრი ხასაია** დაიჩაგრა. თავად განსაჯეთ, პირველ სამ წრეში მას შეიძლება, ევროპის შარშანდელი პირველობის სამ მედალოსანთან მოუწიოს ჭიდაობა. იგი პირველ წრეში **დენის ფოროვს** ხვდება, რომელიც შარშან რუსეთიდან სომხეთში წავიდა და ახალ სამშობლოს ევროპული ვერცხლი მოუტანა. მეორე წრეში მისი სავარაუდო მეტოქე თურქი ევროპის ორგზის და მსოფლიო ჩემპიონი **ნაზმი ავლუჯაა**, რომელიც ბოლო წლებში ტურნირიდან უმედლოდ არ ბრუნდება. მან შარშან ევროპაზე ბრინჯაო, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა. ხასაია თუ ამასაც დაამარცხებს, შესაძლოა, მეოთხედფინალში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **არტურ მიხალკევიჩი** შეხვდეს. ცხრილის ამავე ნახევარშია რუსი ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **ალექსეი მიშინიც**, რომელიც მოვლენათა ლოგიკური განვითარების შემთხვევაში, აქედან გასულს ნახევარფინალში შეხვდება!

**ირაკლი თავაძე**




## პეჟო ქართულ ჩოგბურთში

გუშინ იან ჰომერის სახელობის ჩოგბურთის კორტებზე კომპანია "ქართული ჩოგბურთის" პრეზიდენტმა **დავით ლანჩავამ** პრესკონფერენცია გამართა. ახალი საჩოგბურთო ცენტრი წლევანდელ სეზონს ხსნის - დაგეგმილია მრავალი ტურნირის გამართვა, სადაც ჩოგბურთელებსაც და მაყურებელსაც სიურპრიზები ელით.

მთავარი სურპრიზი გუშინვე გაცხადდა: კომპანია "პეჟო" "ქართული ჩოგბურთის" პარტნიორი გახდა და სერიოზული ინვესტიციების ჩადებას აპირებს საქართველოში ჩოგბურთის განვითარებისთვის. პრესკონფერენციაზე "იბერია ბიზნესჯგუფის" პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** ბრძანდებოდა. სწორედ ეს ჯგუფი გახლავთ საქართველოში "პეჟოს" ოფიციალური დილერი.

პრესკონფერენცია დავით ლანჩავამ გახსნა და გვაუწყა, რომ 28-29 აპრილს იან ჰომერის კორტებზე მოყვარულთა შორის გაიმართება ტურნირი, რომელსაც "პეჟო" უპატრონებს. "პეჟოს" სახელობის თასის გათამაშებებიც ჩატარდება და ამ ეგიდით პირველი - 10-დან 16 წლამდე ტურნირი უკვე მიმდინარეობს.

დავით ლანჩავა: *"მსოფლიოში ცნობილ ამ ბრენდთან კავშირი ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რა რთულია სერიოზული კომპანიების დაინტერესება, "პეჟოს" კი განსაკუთრებული სტანდარტები აქვს და ვიდრე თანამშრომლობაზე წავლენ ამა თუ იმ ორგანიზაციასთან, წვრილად და ხანგრძლივი დროით სწავლობენ შესაძლო პარტნიორს. ფრანგები დარწმუნდნენ, რომ შეგვეძლო მაღალ დონეზე ტურნირთა ორგანიზება და ჩვენი ძირითადი მიზნების განხორციელება. ძირითადი მიზანი კი, საქარველოში ჩოგბურთის პოპულარიზაცია, მასობრივობის გაზრდა და ბავშვთა ჩოგბურთისადმი გამორჩეული ყურდალების მიქცევაა".*

ტარიელ ხეჩიკაშვილი: *- სპეციალურად ამ ტურნირისთვის მაყურებლებს, მონაწილეებსა და ჟურნალისტებისთვის იმოქმედებს 1000 ევროიანი ფასდაკლება "პეჟოს" მარკის ავტომობილზე. წყვილთა შორის გამარჯვებულებს კი წლევანდელ როლან გაროსზე გამგზავრება და ტურნირისთვის თვალის დევნების საშუალებას მივცემთ, - აბსოლუტურად ყველა ხარჯს კომპანია გაიღებს.*

*მოგახსენებთ, რომ ვიდრე თანამშრომლობაზე ფრანგები დასტურს გვეტყოდნენ, კარგად შეისწავლეს კომპანია "ქართული ჩოგბურთის" საქმიანობა. ისინი გაოცებულნი დარჩნენ იან ჰომერის კორტების ხარისხით და აქ არსებული საჩოგბურთო ინფრასტრუქტურით. საქართველო, პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ მეორე ქვეყანაა უკრაინის შემდეგ, რომელმაც დააკმაყოფილა კრიტერიუმთა მთელი წყება და ერგო პატივი ამ ბრენდის გამოყენებით ტურნირები გაემართა.*

*რახან ასეთი პატივი გვერგო ქართველებს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი ტურნრი მაღალ დონეზე ჩატარდეს; ამ საქმეში მასმედიის ყურადღებას და პროფესიონალიზმის იმედიც გვაქვს. საფრანგეთიდან ჩამოდის კომპანიის სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ მიადევნებს თვალს ტურნირს. მთავარია, ზეიმი შედგეს და გარწმუნებთ, ტურნირების რაოდენობაც მოიმატებს და უფრო მასშტაბურიც გახდება.*

დავით ლანჩავა: *"პეჟოს" დახმარებით წელს ქალთა ტრადიციული ტურნირი, რომელიც იან ჰომერის სახელს ატარებს, 25000-დოლარიანი გახდება: კაცთა ტურნირი კი - 15000-იანი იქნება. მე მჯერა, რომ ჩვენი თანამშრომლობა კარგ შედეგს გამოიღებს და ტურნირების საპრიზო ფონდიც თანდათან გაიზრდება.*

*სურპრიზებზე ვთქვით და აქვე მინდა წარმოგიდგინოთ თასი, რომელიც მიმდინარე ტურნირში გამარჯვებულებს გადაეცემათ. ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი თასი, რომელსაც სადმე მაღაზიაში, ბაზრობაზე ან სუპერმარკეტში შეიძენთ; ეს გახლავთ როლან გაროსის თასის მცირე ასლი. ასეთი საჩუქრები, დამერწმუნეთ, ჩოგბურთელებს დიდ სტიმულს გაუჩენს.*

*ამას გარდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა დაიწყოს ჩოგბურთის თამაში. თვის ბოლოს გასამართ ტურნირზე მოგახსენეთ და დავძენ, რომ მსურველებს, რეგისტრაციის შემდეგ ექნებათ შესაძლებლობა, ყოველდღე ერთი საათით უფასოდ ივარჯიშონ და გარკვეულწილად, მომზადებულები შეხვდეს ტურნირს.*

*და ბოლოს, მოგახსენებთ, რომ "ქართულ ჩოგბურთს" მინისა და მინერალური წყლების კომპანიაც" უდგას მხარში და ასევე გვყავს ახალი პარტნიორი - ფირმა "ლაკოსტა". ამ ფირმის მაისურები საკმაოდ ძვირადღირებულია, ამიტომ "პეჟოს თასის" გათამაშების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს პრიზის სახით დაურიგდებათ".*

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. სუპერლიგა. XXII ტური

# განხეთქილება



თსუ-სტუ. უტევს ბესიკ ლეჟავა

სტუ-ს დაპირისპირება გაარკვევს. სადღეისოდ ამ გუნდებს შორის ანგარიშია 2:2.

"დინამო" ბევრს ეცადა, მაგრამ ერთპიროვნულ ლიდერ "აზოტს" ვერაფერი დააკლო - 64:83 დაამარცხა. ეს კლუბები წელს გუნდური თამაშით ხასიათდებიან, რაც გუშინდელმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა - ორივე მხარეს ქულები თითქმის თანაბრად გადანაწილდა. ოღონდ, თუ 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ 2 დინამოელი ასცდა, 10 და მეტი ქულა ერთბაშად 5-მა აზოტელმა ჩააგდო.

ფარქვეშ სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო: რუსთაველებმა ბურთი 53-ჯერ მოხსნეს, მაშინ, როცა მასპინძლები 30 მოხსნას დასჯერდნენ. ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდები სიტუაციის გამოსწორებას პერიმეტრიდან ტყორცნებით შეეცადნენ, მაგრამ არც აქ გამოუვიდათ საქმე - 26-დან 6 სამიანი ჩააგდეს, მაშინ, როცა მეტოქემ 18 სროლიდან 9 გამოიყენა.

"ავიამშენ"-"მაკაბის" დაპირისპირებისას ქომაგ-მოთამაშეები უჩვეულო მოვლენის მომსწრენი გავხდით: მეთოთხმეტე წუთზე განხეთქილება მოხდა არბიტრებს **ხათუნა გაბედავასა** და **ზაზა მაჩალაძეს** შორის. ერთ-ერთ ეპიზოდში გაბედავამ ჩასტვინა და განზრახ ჯარიმა დააფიქსირა. მას არ დაეთანხმა მაჩალაძე - მთავარი მსაჯი მე ვარ და მეორის გადაწყვეტილებას ვცვლიო. კომისარმა **მურმან ქურიძემ** ხათუნა გაბედავას მხარე დაიჭირა, რასაც ზაზას პროტესტი მოჰყვა. ამის გამო, მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა.

გაოგნებულნი იყვნენ მოედანზე მყოფი კალათბურთელები, რომლებთაც თამაშის განახლება სურდათ, მაგრამ ამის საშუალებას არბიტრების არყოფნა არ აძლევდათ. საბოლოოდ კომისარმა გაბედავას გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და თამაშიც გაგრძელდა.

"ავიამშენი"-"მაკაბის" მატჩში მსაჯთა ამბავზე საინტერესო არაფერი მომხდარა - "ავიამ" ლიდერის, **გიორგი შერმადინის** გარეშე დარჩენილი მაკაბელები იოლად, 106:69 დაამარცხა. ტურის საუკეთესო მოთამაშედ გამარჯვებულთა სნაიპერი **ირაკლი ბერიშვილი** დასახელდა...

ტურის მოთამაშე. მართალია, ირაკლიმ წინა მატჩისგან განსხვავებით (15 ქულა, 10 პასი) ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა, მაგრამ აქამდე არც ბევრი დაკლებია - 17 ქულა, 8 პასი, 4 მოხსნა და 5 ჩაჭრა მიითვალა. მან ოქმს ჩახედა და თითი ერთ გრაფას დაადო - ჩემთვის მთავარი ესააო. გრაფაში რვიანი ეწერა...

- ჩემთვის მნიშვნელოვანი არა ქულები, არამედ პასებია. სწორედ შედეგიანი გადაცემებით ფასობს გამთამაშებელი.

**- დღეს მეტისმეტად იოლად გაიმარჯვეთ...**

- მეხუთე წრეს თამაშის დასალაგებლად ვიყენებთ, რადგან გვაქვს გარკვეული მინუსები და ვცდილობთ ფლეი ოფებამდე ყოველგვარი ნაკლოვანება აღმოვფხვრათ. ხვალ-ზეგ "აზოტთან" და თსუ-სთან მატჩები გველის და სწორედ იქ გამოჩნდება, რამდენად მომზადებულები ვხვდებით ნახევარფინალებს.

**- ტრავმების მხრივ საქმე როგორაა?**

- მე არაფერი მაწუხებს, ფორმაშიც შევდივარ.

**- შენს ტყუპისცალს?**

- მას ფეხი ბოლომდე არ მოუშუშებია, მაგრამ სიტუაცია უკეთესობისკენ მიდის და ფლეი ოფებამდე დათოც მწყობრში ჩადგება.



დინამო-აზოტი. ბურთით ბოიან მალოშევიჩი

**18 აპრილი. ვერის პარკი**

**დინამო-აზოტი 64:83**

15:28, 11:17, 18:15, 20:23

დინამო: გულისაბედაშვილი (7 ქ), ბადრიძე (3 პ), ლაფანაშვილი (9 ქ. 3 პ), სიგუა (5 ქ. 3 ჩ), წერეთელი (6 ქ), მურჯიკნელი (4 ქ), გვიმრაძე (17 ქ. 8 მ), ფაიქრიძე, ნ. ნოზაძე (6 ქ. 3 პ), კოლუაშვილი (10 ქ. 8 მ. 4 პ)

აზოტი: ბეჟანიშვილი (11 ქ), ბოისა (11 ქ. 7 მ), დიდია (12 ქ), ცეკვავა (3 ქ. 7 მ. 3 პ), ტულუში (3 ქ. 5 მ), მარკოიშვილი (10 ქ. 5 მ), უგრეხელიძე (8 ქ. 8 მ), გოგობერიშვილი (4 ქ), ჭოჭუა (7 ქ), ბერძენიშვილი (2 ქ), მინაშვილი (2 ქ), მალოშევიჩი (10 ქ. 6 მ. 4 პ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

**თსუ-სტუ 87:99**

19:31, 22:21, 31:26, 15:21

თსუ: არწივიძე, ბ. ბერიშვილი (11 ქ), ფანჩულიძე (16 ქ. 6 ჩ), ლეჟავა (20 ქ. 5 მ), მარხვაშვილი (4 ქ), ვეფხვაძე (2 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), შანიძე (15 ქ), მ. ბერიშვილი (13 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), ტყეშელაშვილი (6 ქ)

სტუ: ეძგვერაძე, სეფისკვერაძე, ბერაია (16 ქ. 4 პ), კოხრეიძე (11 ქ. 3 პ), ძიძიგური (4 ქ), მაისურაძე (17 ქ. 7 მ. 4 პ), ახალკაცი (22 ქ. 11 მ. 6 პ), ბარბაქაძე (29 ქ. 6 მ. 7 პ), ლ. ნოზაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**ავიამშენი-მაკაბი 109:69**

26:16, 20:11, 27:20, 36:22

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (13 ქ), ბაბიაშვილი (15 ქ. 5 მ), მოსეშვილი (6 მ), ხოშტარია (14 ქ), ნიკოლაძე (14 ქ), ი. ბერიშვილი (17 ქ. 8 პ. 5 ჩ), კეიდია (11 ქ. 7 მ. 3 პ), როდუმტა, სუხიშვილი (14 ქ), კვიმსაძე (11 ქ. 3 პ)

მაკაბი: დოლიძე (6 ქ), ხორავა (2 ქ. 3 პ), ენუქიძე (2 ქ), ჯგერენაია (9 ქ), ვაშაკიძე (10 ქ. 4 პ), კორკოტაძე (3 ქ), ს. შერმადინი (26 ქ. 10 მ), პირველაშვილი (5 ქ. 7 მ. 3 პ), ბარსეგიანი, გამცემლიძე (6 ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 22 | 21 | 1 | 43 |
| 2. ავიამშენი | 22 | 16 | 6 | 38 |
| 3. თსუ | 22 | 14 | 8 | 36 |
| 4. დინამო | 22 | 6 | 16 | 28 |
| 5. სტუ | 22 | 6 | 16 | 28 |
| 6. მაკაბი | 22 | 3 | 19 | 25 |

მესამე წრეში სტუ-ელები ძალიან გააბრაზა "დინამოს" მიერ "ავიამშენის" ძლევამ. ტექნიკოსთა დაკვირვებით "ავიატორებმა" ძალები დაზოგეს და დინამოელებმაც ამიტომ გაიმარჯვეს. მას შემდეგ გავიდა ერთი თვე და იგივენაირად მოიგო სტუ-მ - გუშინ თსუ-ს მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** მოთამაშეები დაზოგა (**რიჩარდ მათიაშვილი** და **დავით იმნაძე** განაცხადში საერთოდ არ შეიყვანა, ხოლო კაპიტანი **ხეცურიანი** საერთოდ არ ათამაშა), რითაც ტექნიკოსებმა ისარგებლეს და სატურნირო ცხრილში "დინამოს" გაუთანაბრდნენ.

შეიძლება საქმეში ჩაუხედავს მოეჩვენოს, რომ საქმე გვაქვს გარიგებებთან. მაგრამ გარიგება ხომ თავისთავად გარკვეული თანხის სანაცვლოდ ამა თუ იმ შედეგის დაფიქსირებას გულისხმობს. "დინამოსა" და სტუ-ს კი თუნდაც ერთი მოგების სანაცვლოდ კაპიკის გაღება არ შეუძლიათ. არა აქვთ და იმიტომ... აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ შეიძლება ზემოთ ნახსენებ ორ მატჩს გარიგებული ვუწოდოთ. უბრალოდ, თსუ-მ და "ავიამშენმა" (რომელთათვისაც სატურნირო თვალსაზრისით თუნდაც 2-3 წაგება არაფერს ნიშნავს) თავი დაზოგეს.

საპირისპიროდ სტუ-ელებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ფლეი ოფში მოხვედრის შანსი შეენარჩუნებინათ. თავი გამოიდო **გიგი ბარბაქაძემ**, რომელმაც 29 ქულას 6 მოხსნა და7 პასი მიამატა. არანაკლებ შედეგიანი იყო გულივერ ახალკაცი, რომელმაც თსუ-ს წამყვანი ცენტრების არყოფნით ისარგებლა და ორმაგი დუბლი შეასრულა - 22 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება.

ფლეი ოფში გამსვლელი მეოთხე გუნდის ვინაობას შაბათს "დინამო"-

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## ვარსკვლავთა ხუთეულები დადგინდა

**"ყველა ვარსკვლავის" მატჩის სასტარტო ხუთეულების გამოსავლენი გამოკითხვა დასრულდა. გთავაზობთ საბოლოო შედეგებს.**

**დავით უსტიაშვილის გუნდი**

უკანა ხაზი: 1. კოტე ტულუში (აზოტი)-1976, 2. ლაშა გამყრელიძე (აზოტი)-1393, 3. რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი)-1109, 4. გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო)-927, 5. გიორგი დოლიძე (მაკაბი)-746, 6. ზურაბ ბადრიძე (დინამო)-272.

ფორვარდები: 1. გიორგი მარკოიშვილი (აზოტი)-1423, 2. ანატოლი ბოისა (აზოტი)-1222, 3. რევაზ დიდია (აზოტი)-1088, 4. ლექსო ლაფანაშვილი (დინამო)-919, 5. ვლადიმერ ბეჟანიშვილ (აზოტი)-808, 6. დავით გვიმრაძე (დინამო)-800, 7. ჟულივეტ ტუჯანი (აზოტი)-614.

ცენტრები: 1. დავით უგრეხელიძე (აზოტი)-1439, 2. გიორგი შერმადინი (მაკაბი)-1298, 3. ვიქტორ კოლუაშვილი (დინამო)-700.

**ლევან მოსეშვილის გუნდი**

უკანა ხაზი: 1. ბესიკ ლეჟავა (თსუ)-1459, 2. ნოდარ ბერაია (სტუ)-1175, 3. ბუბა ბერიშვილი (თსუ)-1102, 4. ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი)-850, 5. ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი)-812, 6. გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი)-760, 7. დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი)-716.

ფორვარდები: 1. შიო ხეცურიანი (თსუ)-1421, 2. ლუკა შანიძე (თსუ)-1136, 3. ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენი)-1062, 4. ირაკლი კეიდია (თბილავიამშენი)-982, 5. გიგი ბრაბაქაძე (სტუ)-868, 6. მიხეილ ბერიშვილი (თსუ)-829, 7. დავით იმნაძე (თსუ)-576.

ცენტრები: 1. **რიჩარდ მათიაშვილი** (თსუ)-1400, 2. ლუკა ნოზაძე (თსუ)-1065, 3. პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი)-972.

**უსტიაშვილის ხუთეული**

1. კოტე ტულუში (აზოტი)
2. გიორგი გამყრელიძე (აზოტი)
3. გიორგი მარკოიშვილი (აზოტი)
4. ანატოლი ბოისა (აზოტი)
5. ვლადიმერ უგრეხელიძე (აზოტი)

**მოსეშვილის ხუთეული**

1. ბესიკ ლეჟავა (თსუ)
2. ნოდარ ბერაია (თსუ)
3. შიო ხეცურიანი (თსუ)
4. ლუკა შანიძე (თსუ)
5. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ)

დანარჩენ 7-7 მოთამაშეს ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი მატჩამდე დარჩენილ დროში დაასახელებს. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელებს თავიანთი გუნდიდან სათადარიგოებში მხოლოდ 3-3 მოთამაშის შეყვანის უფლება აქვთ. ვარსკვლავთა მატჩი 27 აპრილს გაიმართება.



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა

# მარიამ ქევხიშვილი რეიტინგით მეხუთეა

ეს სასიხარულო ამბავი გუშინ შეგვატყობინა საქართველოს მძლეოსნობის ფედარაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ყარამან საბანაშვილმა**, რომელიც საქართველოს მძლეოსანთა ეროვნულ ნაკრებში მტყორცნელების, მათ შორის **მარიამ ქევხიშვილის** მწვრთნელია. როგორც ადრე ვწერდით, მარიამი თითქმის წელიწადია, აშშ-ში სწავლობს და ვარჯიშობს, წარმატებით გამოდის სხვადასხვა შეჯიბრებებში.

*"ეს-ესაა მარიამი ტელეფონით დამიკავშირდა. შტატების სტუდენტ მძლეოსანთა ასპარეზობაში ბირთვი 16.67 მ-ზე გადაუგდია და ოქროს მედალი მოუპოვებია ღია ცის ქვეშ სეზონის პირველ ასპარეზობაში. ამ მიღწევით ჩვენი მძლეოსანი აშშ-ში ქალთა შორის რეიტინგით ათეულში შევიდა, კონკრეტულად V ადგილზეა"*, - გვითხრა საბანაშვილმა.

დავძენთ, რომ მარიამ ქევხიშვილი ათენის ოლიმპიადის მონაწილეა. მაშინ მარიამმა ბადრო 15.6 მ-ზე ტყორცნა (34-ე ადგილი). როგორც ხედავთ, პროგრესი აშკარაა.



მარიამ ქევხიშვილი

## ხელბურთი



საქართველოს მარადი ჩემპიონი სტუ-შევარდენი სათამაშოდ თელავში გადადის

საქართველოს ჩემპიონატი

# შაბათს სტუ-თელავის ნათლობაა

**დღეს** დაიწყება საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის ბოლოსწინა ტური, რომელიც შაბათს დასრულდება. მართალია, კალენდრის თანახმად, ტური დღეს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ განრიგი იმან შეცვალა, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ოფიციალურად დაესვა წერტილი სტუ-"შევარდენის" "თელავთან" გაერთიანებას. გუშინ ვესაუბრეთ საქართველოს ხელბურთის ასოციაციის გენერალურ მდივან **ზურაბ კაკაბაძეს.**

- ჩვენ მუდამ მივესალმებით იმას, რომ ქართული ხელბურთი მხოლოდ თბილისით არ შემოიფარგლოს და რეგიონებიც მოვიცვათ. სტუ-"შევარდენისა" და "თელავის" გაერთიანებაზეც არ ვიყავით უარზე, მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ ოფიციალური საბუთებისა და დოკუმენტაციის გაფორმება ყოვნდებოდა. ახლა კი ყველა საბუთი მიღებული გვაქვს და შესაბამისად, საკითხი მოგვარებულად ჩაითვლება. ამიერიდან, სტუ-"შევარდენს" ეწოდება სტუ-"შევარდენი-თელავი". რაკილა ამხელა სახელის ოქმებში დაფიქსირება ტექნიკურად ცოტა რთულია, ამიტომ გუნდს ვუწოდებთ სტუ-"თელავს". წლევანდელი ჩემპიონატის დარჩენილ საშინაო მატჩებს ეს გუნდი თელავში გამართავს, რის გამოც კალენდარში ცვლილებების შეტანა მოგვიხდა. კონკრეტულად, 19 აპრილის მატჩი (სტუ-"თელავი" – "ქარიშხალა) გაიმართება 21 აპრილს, 26 აპრილის მატჩი (სტუ-იმედი) გადავიტანეთ 29-ში, ხოლო 3 მაისს დაგეგმილი შეხვედრა (სტუ-თბილისი) 6 მაისს გაიმართება. ყველა თელავური შეხვედრა 15 საათზე დაიწყება, ხოლო დანარჩენი მატჩების დრო და თარიღი უცვლელი დარჩება.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, 15 მაისიდან დავიწყებთ ფლეი ოფს. მესამე-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები ერთ მატჩში გადაწყვეტენ ბრინჯაოს მედლის მფლობელის ვინაობას. რაც შეეხება საჩემპიონო შეხვედრას, აქ ორ მატჩს გავმართავთ. თუკი ორივე გუნდი თითო მატჩს მოიგებს, მაშინ ჩემპიონის ვინაობას ბურთების უკეთესი შეფარდება გამოავლენს. და თუ აქაც თანაბარი ბალანსი იქნება, მაშინ პენალტებზე მიდგება საქმე.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გუშინ, შედგა ხელბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომა, სადაც "ქარიშხალას" მეკარე **გიგა ტორონჯაძისა** და სტუ-"თელავის" ხელბურთელ **გიორგი ქობელაშვილის** საკითხი განიხილეს. წინა ტურში, მსაჯებთან კამათის გამო, ორივემ წითელი ბარათი დაიმსახურა. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ ტორონჯაძე და ქობელაშვილი დისკვალიფიკაციით დაისჯებიან და ორ-ორ მატჩს გამოტოვებენ.

ამრიგად, დღეს, 16 საათზე, ასკ-ის დარბაზში ლიდერი "თბილისი" და გამოკვეთილი აუტსაიდერი "მამული" ითამაშებენ. შაბათს, 15 საათზე კი თელავის დარბაზში სტუ-"თელავის" ნათლობა შედგება - ქვეყნის 16-გზის ჩემპიონები "ქარიშხალას" უმასპინძლებენ.

**კობა ხატისაშვილი**

## პროფესიული კრივი

# მხოლოდ სარეიტინგოები

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაცია დღეს მორიგ სარეიტინგო ორთაბრძოლებს გამართავს. მართალია, წინ, ხუთშაბათის მსგავსად, დღესაც შესვენება იგეგმებოდა, მაგრამ კრივის ასოციაციის ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტა ორთაბრძოლების განახლება.

დღეს ოთხი შეხვედრაა დაგეგმილი და ყველა სარეიტინგო იქნება. როგორც იცით, უკვე გათამაშდა საქართველოს 4 ქამარი, დანარჩენ ორს კი შემდეგ ორ კვირაში უნდა გამოუჩნდეს პატრონი. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ქამრისთვის იჩხუბებენ **კობა ქარქაშაძე** და **გიორგი უნგიაძე**, ხოლო 79 კილოგრამში **ლევან ჯომარდაშვილს სანდრო სიფროშვილი** შეეცილება ტიტულს.

რაც შეეხება დღევანდელ ბრძოლებს, ისინი ვერის ბაღში მდებარე კრივის ასოციაციის დარბაზში 17 საათიდან დაიწყება. აქედან, სამი შეხვედრა ოთხრაუნდიანი იქნება, ერთი კი 6 რაუნდს გასტანს.

**კობა ხატისაშვილი**

**დღეს**

**54 კგ (4 რაუნდი)**

თეიმურაზ საგაშვილი (გორი) - ხვიჩა პაპიაშვილი (თბილისი)

**62 კგ (6 რაუნდი)**

ბექა საჯაია (თბილისი) - გიორგი ქურტანიძე (თბილისი)

დავით ინასარიძე (რუსთავი) - ბაჩო კვარაცხელია (გორი)

**72 კგ (4 რაუნდი)**

პაატა ვარდუაშვილი (ვარიანი) - გიორგი ზალკალიანი (თბილისი)

## თარიღი



გიორგი ვაზაგაშვილი

**გიორგი ვაზაგაშვილი.** დაიბადა 19.04.1974, ფლავი, გორი. ძიუდო (66 და 71 კგ). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1996, 97), მეორე (1995) და ორგზის მესამე (1999, 2000) პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1995) და ორგზის მესსმე (1993, 97) პრიზიორი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, ატლანტისა (1996, VII ადგილი) და ათენის (2004, დამარცხდა პირველ წრეში) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. დსთ-ის ჩემპიონი (1992), მსოფლიოსა (1994) და ევროპის (1993) ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1995). 2004 წლიდან გამოდის საბერძნეთის სახელით. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

**ზაზა ზოზიროვი.** დაიბადა 19.04.1972, გორი. თავისუფალი ჭიდაობა (58 და 68 კგ). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1993, 99) და მესამე პრიზიორი (1996), მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1997, 98), 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ჭაბუკთა შორის მსოფლიოსა (1990) და ევროპის (1989) ჩემპიონი, დსთ-ის ჩემპიონი (1992). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. 1994-99 წლებში გამოდიოდა უკრაინის სახელით.

## ძიუდო



კედელაშვილი, გუჯეჯიანი, ქევხიშვილი, ხერგიანი და ზაზა რაზიკაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ

# ვარსკვლავები ვარსკვლავში

დეველოპერულმა კომპანია „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" გუშინ ქართული სპორტის მხარდასაჭერი აქცია გამართა - ევროპის პირველობიდან წარმატებით დაბრუნებული ძიუდოისტთა ნაკრების წევრები დააჯილდოვა. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობაზე **ზაზა კედელაშვილი** (66) ჩემპიონი გახდა, **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (მძიმე) ვერცხლის მედლები მოიპოვეს, **ნესტორ ხერგიანი** (60) კი მესამეზე გავიდა. თუმცა მასპინძლებმა არც უმედლოდ დარჩენილებს - **გიორგი ბაინდურაშვილსა** (81) და **ლომერ ჟორჟოლიანს** (100) დასწყვიტეს გული და პრემია მათაც გადასცეს. სხვათაგან მხოლოდ ჩემპიონი კედელაშვილი გაარჩიეს, რომელმაც 2 000 დოლარი მიიღო, დანარჩენებს კი 1000 -1000 გადაეცათ.

როგორც კომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ზაზა რაზიკაშვილმა** განაცხადა, მათ შექმნის დღიდანვე მიზნად საჭიდაო სახეობების დახმარება განიზრახეს და მხოლოდ ძიუდოთი არ შემოიფარგლებიან - კონტინენტის პირველობასა თუ სხვა პირველხარისხოვან ტურნირებში წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში, პრემიებს ანტიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც მიიღებენ.

**ირაკლი თავაძე**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ინტრიგა ცოცხალია



ბაირონ დევისი დალასის ფარს უტევს

არიზონაში გამართული შეხვედრა მასპინძელი "ფინიქსისთვის" არაფერს ნიშნავდა, "კლიპერსისთვის" კი, ამ დაპირისპირებას სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. კალიფორნიელებისთვის სამწუხაროდ, მათმა გვიანმა გამოფხიზლებამ მხოლოდ ის მოიტანა, რომ რეგულარულის უკანასკნელი სათამაშო დღის წინ, მათი ფლეი ოფში გასვლის საკითხი მაინც სხვის ხელშია. ეს "სხვა" კი, **დონ ნელსონის** "გოლდენ სტეიტია", რომელიც, რამდენიმე გრანდს ("სპურსი", "მავერიქსი", "სანზი" და "ბულზი") თუ არ ჩავთვლით, ბოლო სამი კვირის განმავლობაში ყველაზე დამაჯერებელ და მოტივირებულ კალათბურთს თამაშობს.

**ჯეისონ ჰარტმა** ძირითადის დასრულებამდე 7.9 წამით ადრე, ორი საჯარიმო სროლა გამოიყენა და "ფინიქსს" გუნდის ისტორიაში სარეკორდო შედეგის - 62 მოგების გამეორების შანსი მოუსპო, თუმცა **სტივ ნეშისა** და მისი თანაგუნდელებისთვის ეს გადამწყვეტი ნამდვილად არ ყოფილა.

რეგულარულის ბოლო მატჩში, "კლიპერსი" შინ "ნიუ ორლეანს" ხვდება და წესით, უნდა მოიგოს კიდეც. აი, "გოლდენ სტეიტი" კი, ორეგონში ჩადის, სადაც უმოტივაციო "პორტლენდს" დაეჯახება.

*"როგორც გავიგე, "დალასმა" "გოლდენ სტეიტთან" ძირითადის რამდენიმე წევრი დაასვენა, "ფინიქსს" კი, დღევანდელ შეხვედრაში მოედანზე თავისი უძლიერესი შემადგენლობა ეყენა. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ "მავერიქსს" ფლეი ოფის პირველ წრეში "გოლდენ სტეიტთან" თამაში ურჩევნია, რადგან იცის, რომ "კლიპერსთან" პრობლემები შეექმნება"*, - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე "კლიპერსის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ დანლივი.**

არადა, ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ, **ელტონ ბრენდი** და მისი რაზმი მეშვიდე ადგილისთვის იბრძოდა და "ლეიკერსის" გადასწრების საკმაოდ რეალურ შანსსაც ფლობდა. მერე და მერე კი ყველაფერი აირია - **სემ კასელმა** ბებერი სხეული ველარ დაიმორჩილა და ტრავმა ტრავმაზე მიიღო, მის გარეშე კი ლოს ანჯელესის მკვიდრს ძალიან ბევრი დააკლდა. ბრენდს პასის დროულად მიმწოდებელი მოაკლდა, მთლიანად გუნდს კი - ქარიზმატული ლიდერი და ყველაზე გამოცდილი წევრი.

რაც შეეხება ნელსონის "უორიორზს", გუნდი არა მარტო ფლეი ოფში გასვლის, არამედ სულაც მეშვიდე ადგილამდე აღზევების შანსსაც ინარჩუნებს. თუ საშინელ ფორმაში მყოფი "ლეიკერსი" "საკრამენტოსთან" წააგებს, ხოლო "გოლდენ სტეიტი" თავის ჯახს მოიგებს ("კლიპერსი" ამ შემთხვევაში აქტუალური აღარ არის), მაშინ "მეომრები" მეშვიდეზე დაასრულებენ სეზონს და ფლეი ოფის პირველ წრეში არა **დირკ ნოვიცკის** "დალასს", არამედ "ფინიქსს" დაუპირისპირდებიან.

ზემოთ "დალასის" ლიდერების დასვენება იყო ნახსენები. გეტყვით, რომ "გოლდენ სტეიტთან" "მავერიქსის" თავკაცმა **ეივერი ჯონსონმა** ენერგიის აღდგენის საშუალება იმავე ნოვიცკის, **ჯერი სტექჰაუზს, ერიკ დემპიესა** და **ჯოშ ჰოვარდს** მისცა. **ჯეისონ ტერიმ** მხოლოდ 17 წუთი დაჰყო მოედანზე (5 ქულა, 2 პასი), ხოლო ზედ ფლეი ოფის წინ, დამატებულმა ბებერმა მგელმა, ცენტრმა **კევინ უილისმა** კი 9 წუთში 3 მოხსნა მოიმკო. მან თამაშიდან სამივე ტყორცნა არაზუსტად შეასრულა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**გ.სტეიტი–დალასი 111:82**

30:15, 25:16, 28:28, 28:23

**გოლდენ სტეიტი:** მ. პიეტრუსი (22 ქ. 6 მ), ბარნსი (19 ქ. 12 მ. 5 პ), ჯ. რიჩარდსონი (14 ქ. 7 მ. 2 დ), ს. ჯექსონი (13 ქ. 5 მ. 4 პ), ბ. დევისი (12 ქ. 4 პ. 2 ჩ), ელ ჰარინგტონი (11 ქ. 6 მ. 2 დ), მ. ელისი (11 ქ. 6 მ. 5 ჩ. 4 პ).

**დალასი:** აგერი (20 ქ. 6 მ), ბარეა (13 ქ. 10 მ. 3 პ), დ. ჰარისი (13 ქ), ჯორჯი (12 ქ. 5 მ).

**ფილადელფია–კლივლენდი 92:98**

25:26, 25:32, 20:17, 22:23

**ფილადელფია:** უ, გრინი (24 ქ. 4 მ), ჯო სმიტი (17 ქ. 13 მ), ბ. ჯოუნსი (13 ქ), ლ. უილიამსი (13 ქ. 7 პ), ა. მილერი (12 ქ. 7 პ. 5 მ), დალემბერი (11 ქ. 10 მ. 2 დ).

**კლივლენდი:** ჰიუზი (22 ქ. 5 პ. 3 ჩ), ლ. ჯეიმსი (18 ქ. 6 პ. 5 მ), ილგაუსკასი (14 ქ. 8 მ. 5 პ), გუდენი (12 ქ. 8 მ. 2 ჩ), ვარეჟაო (11 ქ. 8 მ), პავლოვიჩი (11 ქ).

**ატლანტა–ინდიანა 118:102**

41:23, 35:32, 14:25, 28:22

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (25 ქ. 13 მ. 5 პ. 4 დ. 2 ჩ), ლიუ (25 ქ. 8 პ), Mერვინ უილიამსი (23 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), შელდენ უილიამსი (21 ქ. 10 მ. 2 ჩ. 2 დ), ს. ჯოუნსი (14 ქ. 8 მ. 2 დ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია (ტრავმა).**

**ინდიანა:** დიოგუ (20 ქ. 7 მ), დ. გრეინჯერი (15 ქ. 2 დ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ. 9 მ), მაკლეოდი (11 ქ. 5 პ).

**ვაშინგტონი–ორლანდო 89:95**

27:30, 18:27, 28:12, 16:26

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (48 ქ. 9 მ), ჯ. ჰეიესი (15 ქ. 4 პ), ე. ტომასი (5 ქ. 9 მ. 6 დ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (26 ქ. 6 მ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 12 მ. 3 დ), გ. ჰილი (13 ქ. 2 დ).

**დეტროიტი–ტორონტო 100:84**

23:18, 38:19, 16:19, 23:28

**დეტროიტი:** რ. მიურეი (16 ქ. 4 პ), რ. ჰამილტონი (12 ქ), დელფინო (12 ქ. 5 მ), მაქსიელი (10 ქ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), მაკდაიესი (10 ქ. 6 მ), ბილაპსი (2 ქ. 10 პ).

**ტორონტო:** სლოკარი (18 ქ. 3 მ), პიტერსონი (14 ქ. 13 მ), ნესტეროვიჩი (11 ქ), დიქსონი (10 ქ).

**ფინიქსი–კლიპერსი 99:103**

20:21, 28:29, 26:21, 25:32

**ფინიქსი:** ბარბოსა (22 ქ. 8 მ), დიაო (17 ქ. 6 პ), რ. ბელი (17 ქ. 6 მ), ა. სტაუდმაიერი (16 ქ. 2 დ), მერიონი (10 ქ. 8 მ. 3 ჩ), ნეში (6 ქ. 12 პ).

**კლიპერსი:** ბრენდი (21 ქ. 9 მ. 4 პ. 3 დ), ტიმ ტომასი (18 ქ. 8 მ), ჰარტი (16 ქ. 4 პ), როსი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), მაგეტი (13 ქ. 11 მ. 3 პ), კასელი (11 ქ).

## სკანდალი

# ცოფიანი მსაჯი ვერ იმსაჯებს

პრინციპულმა და უკან არაფერზე დამხევმა **დევიდ სტერნმა** ლიგაში თავისი ზეკაცობის განმავლობაში პირველად დასაჯა რეფერი, რომლის არასტანდარტულმა ქმედებამ, დიდი გავლენა იქონია რამდენიმე დღის წინათ ჩატარებულ ერთ-ერთ შეხვედრაზე.

"დალასისა" და "სან ანტონიოს" მატჩი, რომელიც "მავერიქსმა" 91:86 მოიგო, მსაჯის, **ჯოუი კროუფორდისა** და სტუმართა ლიდერის - მშვიდი და პატიოსანი **ტიმ დანკანის** საქმემ გააუფერულა. კროუფორდმა დანკანი ორი ტექნიკურის გამო მოედნიდან მიაბრძანა, თუმცა ტიმის თქმით, იგი უდანაშაულო იყო და არათუ გაგდებას, პირველი ტექნიკურის მიღებასაც არ იმსახურებდა.

თანაგუნდელთან საუბარში გართული დანკანი, კროუფორდმა სულელური მიზეზის გამო გააგდო - აქაოდა, შენი და **ფაბრიციო ობერტოს** საუბარში ჩემი გვარი გავიგონე და მოედანი უნდა დატოვოო.

მოკლედ, სტერნმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო - კროუფორდი სეზონის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული, ხოლო ტიმს კი ორი ტექნიკურის მიღებისა და პირველ შემთხვევაში რეფერისთან საუბრის გაბმის გამო, 25 000 დოლარის გადახდა მოუწევს.

არადა, ჯოუი კროუფორდი დღევანდელ მსაჯებში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტულია და ფლეი ოფის მატჩების რაოდენობით პირველ ადგილზეც იმყოფება. რამდენიმე დღეში, რეფერი სტერნს მის ოფისში შეხვდება და მომხდარის შესახებ გაესაუბრება, თუმცა ცხადია, რომ ლიგის კომისარი თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის.

*"ყველამ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ, პირველ რიგში, ლიგის საერთო პრესტიჟსა და მომავალზე ვზრუნავთ და ვინც არ უნდა იყოს, თუ იგი დამნაშავეა, მომხდარის გამო ულაპარაკოდ დაისჯება. ჟოუი კროუფორდი ძალიან კარგი პიროვნება და გამოცდილი რეფერია, თუმცა მან შეცდომა დაუშვა და იმედი მაქვს, რომ ამ დისკვალიფიკაციის შემდეგ თავის საქმეს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება"*, - ნათქვამია სტერნის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.



კროუფორდი პოპოვიჩს ახსნა-განმარტებას აძლევს

კროუფორდამდე სტერნს დისკვალიფიკაციით ერთადერთი მსაჯი - **როდნი მოტი** ამა წლის 12 იანვარს დაუსჯია, თუმცა მოტს მხოლოდ 3 მატჩის გამოტოვება მოუხდა, კროუფორდს კი გაცილებით სერიოზული დისკვალიფიკაცია მიესაჯა.

ჯოუი კროუფორდი მსაჯების ოჯახიდანაა. მისი ძმა, **ჯერი,** ბეისბოლის პროფესიული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მთავარი მსაჯია, ხოლო მამამისი - **შაგი** კი, წლების განმავლობაში ასევე ბეისბოლისტთა ლიგას სჯიდა. ჯოუი კალათბურთის პროფესიულ ლიგაში უკვე 31-ე სეზონია მსაჯობს. რეგულარულში მას 2111 შეხვედრა ჩაუტარებია, ფლეი ოფში კი - 266. კროუფორდის ანგარიშზე ასევე სუპერფინალების 38 განსჯილი დაპირისპირებაა.

მომხდარს შემდეგი კომენტარი გაუკეთა "სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა**: *"ტიმი ბევრისთვის მისაბაძი მაგალითია და მისთვის ორი ტექნიკურის მიღება ნამდვილი შოკი იყო. დანკანს არ ვიცავ, მაგრამ უსამართლობას ვერ ავიტანთ. დევიდ სტერნმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ლიგის კომისარი ყოველთვის მართებულ გადაწყვეტილებებს იღებს."*

**ზურაბ თალაკვაძე**





ლუის ჰემილტონი

## ფორმულა 1

# ახალი ვარსკვლავი

ფორმულა ერთის ბრიტანელ ახალბედა **ლუის ჰემილტონისგან** სეზონის დაწყებამდეც სპეციალისტები ბევრს ელოდნენ, მაგრამ თუ სამი ეტაპის შემდეგ, ის ჩემპიონატის თანალიდერი იქნებოდა, ამის წარმოდგენა ალბათ ბევრს გაუჭირდებოდა.

ფორმულა ერთი 57 წელია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ახალბედა ავტომრბოლს პირველი სამი რბოლა კვარცხლბეკზე დაესრულებინოს. ჰემილტონმა ეს შეძლო - ავსტრალიაში მესამე იყო, მალაიზიასა და ბაჰრეინში კი - მეორე. ასეთი შესაშური სტაბილურობის წყალობით კი ის ჩემპიონატს პირად ჩათვლაში, თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოსთან** და "ფერარის" ფინელ **კიმი რაიკონენთან** ერთად, სათავეში მოექცა.

ბუნებრივია, ასეთ დასაწყისს ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ბრიტანელები სიხარულით ცას ეწიენ - როგორც იქნა, მათაც გამოუჩნდათ თანამემამულე, ვისაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის თავი აქვს. ბუნებრივია, თავისი პილოტისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს "მაკლარენის" მთავარი აღმასრულებელი **მარტინ უაიტმარში**.

*"ამ ეტაპზე შეიძლება ნაადრევია ამაზე საუბარი, მაგრამ ვფიქრობ, ლუისს ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ დიდი პრიზების ისტორიაში ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გახდეს"*, - ამბობს უაიტმარში, ვისაც თავის დროზე ისეთ სუპერვარსკვლავებთან უმუშავია, როგორებიც იყვნენ **აირტონ სენა** და **ალენ პროსტი**.

უაიტმარშმა კარგად იცის, რა განასხვავებს უბრალოდ კარგ და საშუალო პილოტებს საუკეთესოებისგან. და ჰემილტონში უკვე ამჩნევს იმ თვისებებს, რომელთა წყალობითაც, 22 წლის ბრიტანელს რეალური შანსი აქვს, ყველა დროის საუკეთესო პილოტი გახდეს.

ჰემილტონით აღფრთოვანებას არ მალავენ ფორმულა ერთის ისეთი გრანდები, როგორებიც არიან **სერ სტირლინგ მოსი** და **ჯეკი სტიუარტი**. შოტლანდიელის აზრით, ლუისს სამი სეზონიც არ დასჭირდება იმისთვის, რომ ჩემპიონი გახდეს. ამას ის მელბურნში ამბობდა, ახლა კი ამბობს, რომ არ გაუკვირდება, თუ დებიუტანტი ამ სეზონშივე იბრძოლებს პირველობისთვის. ასეთი ნიჭიერი პილოტი ადრე არასოდეს მინახავსო - ამბობს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სტიუარტი.

**ფრენკ უილიამსი** კი ამბობს, რომ დიდი პრიზების ცირკიდან **მიხაელ შუმახერის** წასვლის შემდეგ, განგებამ სპორტს გერმანელის დონის ახალი ვარსკვლავი მოუვლინა. *"დარწმუნებული ვიყავი, რომ მიხაელის დონის ვარსკვლავი ოდესმე აუცილებლად გამოჩნდებოდა, მაგრამ თუ ეს ასე სწრაფად მოხდებოდა, ამაზე ფიქრიც არ შემეძლო"*, - ამბობს უილიამსი.

"მაკლარენის" შეფი **რონ დენისი** უკვე ათი წელიწადია, ჰემილტონს პატრონობს. შარშან მან თავისი შავი ბრილიანტი გრანპრი2-ში გამოიყვანა, სადაც ლუისმა დებიუტისთანავე მოიპოვა ტიტული. დენისი ამბობს, რომ ახალბედებისთვის რბოლისას შეცდომების დაშვება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით, ფორმულა ერთში ჰემილტონის უხეში შეცდომა არავის უნახავს.

ჰოდა, ბაჰრეინის რბოლის შემდეგ, დენისმა და უაიტმარმა არ დააყოვნეს და განაცხადეს, რომ ჰემილტონს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ხელს არ შეუშლიან. ალბათ გახსოვთ, სეზონის დასაწყისში, დებიუტანტი ამბობდა, რომ ამ სეზონში მას ბევრი რამ ექნება სასწავლი და ბუნებრივია, ტიტულზე არც იფიქრებს. აქედან გამომდინარე, გუნდის პირველი ნომერი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ალონსო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ბაჰრეინის შემდეგ, "მაკლარენს" ორი პირველი პილოტი ეყოლება. რა თქმა უნდა, ეს ალონსოზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას გააძლიერებს. თუმცა, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ჰემილტონს თავისი წილი შეცდომები ჯერ არ დაუშვია.

მოკლედ, წინ საინტერესო სეზონი გველის...

**მერაბ ლორთქიფანიძე**



## ზემძიმე წონა

# ვიტალი კლიჩკო ბრიუსტერს შეხვდება

IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ზემძიმე წონაში, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკო** თავისი ტიტულის მორიგ დაცვას ამერიკელ **ლეიმონ ბრიუსტერის** წინააღმდეგ, 7 ივლისს გერმანიის ქალაქ კიოლნში გამართავს.

ამგვარად, უკრაინელ მოკრივეს, ტიტულის დაცვასთან ერთად, რევანშის შანსიც ეძლევა. შეგახსენებთ, რომ ეს ორი მოკრივე ერთმანეთს პირველად 2004 წელს შეხვდა, როცა კლიჩკო WBO-ის ჩემპიონი იყო. იმ ბრძოლის მეოთხე რაუნდში, უკრაინელმა შეძლო მეტოქის ნოკდაუნში გაგზავნა. ბრიუსტერი ნოკაუტისგან გონგმა იხსნა. მაგრამ მომდევნო რაუნდში, ყველასთვის მოულოდნელად, კლიჩკო ისე დაბეჩავდა, რომ რეფერიმ ბრიუსტერის სასარგებლოდ ბრძოლა შეწყვიტა.

*"დიდხანს ვოცნებობდი იმაზე, რომ ლეიმონს კიდევ ერთხელ შევხვედროდი. ახლა რევანშის შანსი მქავს და ყველაფერს ვილონებ იმისთვის, მას იმ წაგებისთვის სამაგიერო მივუზღო. თქმა არ უნდა, ის ძალიან სახიფათო მეტოქეა, მაგრამ ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. სხვა თუ არაფერი, რევანშის შანსი გამიჩნდა"*, - განაცხადა კლიჩკომ.

შეგახსენებთ, რომ მარტში კლიჩკომ (48-3, 43 ნოკაუტი) საჩემპიონო სარტყელი **რეი ოსტინთან** ბრძოლაში დაიცვა. უკრაინელმა პრეტენდენტი მეორე რაუნდში დააგდო. რაც შეეხება ბრიუსტერს (33-3, 29 ნოკაუტი), ბოლო ბრძოლა მან შარშან, აპრილში გამართა და ბელარუს **სერგეი ლიახოვიჩთან** ქულებით წააგო, რითაც WBO-ის ტიტულიც დათმო.

*"კლიჩკოს მეორედაც დავანოკაუტებ და მერე ვერავინ იტყვის, რომ ის პირველი გამარჯვება შემთხვევითობა იყო"*, - იმუქრება პრეტენდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. ფლეი ოფი. I წრე

# რეინჯერსის შოუ

### აღმოსავლეთი

**რეინჯერსი (6)–ატლანტა (3) 7:0**

3:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 ნიულანდერი-2 (იაგრი-2, მალიკი-1), 2:0 ნიულანდერი-3 (მარსელ ჰოსა-1, იაგრი-3), 3:0 მალიკი-1 (ნიულანდერი-3, იაგრი-4), 4:0 კელეჰანი-1 (ეივერი-2, ტიუტინი-5), 5:0 კელეჰანი-2 (მარა-1, ეივერი-3), 6:0 შენეჰანი-2 (კულენი-1, პოკი-1), 7:0 ნიულანდერი-4 (როჟსივალი-1, იაგრი-5).

**სერია 3:0**

ატლანტაში მოგებული ორი მატჩის შემდეგ, "რეინჯერსი" "მედისონ სკვერ გარდენში" სასტიკად გაუსწორდა მეტოქეს.

მასპინძლებმა 32-ე წამზე გახსნეს ანგარიში, რითაც "ატლანტას" მიანიშნეს, რომ მათ ამ მატჩში არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამ გოლს, ნიუიორკელებმა კიდევ ექვსი დაუმატეს და ერთი ნაბიჯილა აშორებთ ფლეი ოფის შემდეგ წრეში გასასვლელად.

სტენლის თასზე პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა შვედმა **მიკაელ ნიულანდერმა**, მისმა თანამემამულე მეკარემ - **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** 21 შაიბა მოიგერია და ფლეი ოფში პირველი შატაუტი შეასრულა.

ბრწყინვალედ ითამაშა "რეინჯერსის" პირველმა შემტევმა სამეულმა, სადაც ნიულანდერის გარდა, თავი ვეტერანმა ჩეხმა **იარომირ იაგრმა** გამოიჩინა, რომელმაც ოთხი საგოლე პასი შეასრულა.

დუბლი გააჩერხა დებიუტანტმა **რაიან კელეჰანმა,** ვისაც რეგულარულში მხოლოდ 14 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. ხოლო რუსმა მცველმა **ფიოდორ ტიუტუნმა,** ამ სერიაში მეხუთე საგოლე პასი მიითვალა, არადა, მთლიანად რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ 12 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.

"ატლანტას" საწვრთნელო შტაბი მეკარის არჩევაში შეცდა. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს კარში ახალგაზრდა **კარე ლეჰტონენი** დაებრუნებინათ, რომელმაც სერიის პირველ შეხვედრაში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა. გამოუცდელმა გოლკიპერმა ამჯერადაც ჩააგდო შეხვედრა.

დაბოლოს, ამ სერიაში "რეინჯერსის" უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ სამ მატჩში ნიუიორკელებმა მეტოქეზე 50-ით მეტი ზუსტი დარტყმა შეასრულეს.

**პიტსბურგი (5)–ოტავა (4) 1:2**

0:1, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 სპეცა-2 (რედენი-3, კორვო-4), 1:1 ჯ. სტაალი-3 (გარი რობერტსი-2, ულეტი-2), 1:2 ვოლჩენკოვი-1 (კომრი-1, შეფერი-3).

**სერია 1:3**

ახალგაზრდა პიტსბურგელმა ვარსკვლავებმა სტენლის თასის მოგება მინიმუმ ერთი წლით უნდა გადადონ. "ოტავა" გამოუცდელ "პიტსბურგზე" გაცილებით უკეთ გამოიყურება და სამართლიანად იგებს ამ სერიას.

შეიძლება ჩვენ მოვლენებს წინ ვუსწრებთ და "პინგვინზის" ჩამოწერას ვჩქარობთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "ოტავას" არასოდეს წაუგია სერია, როცა 3:1 მიჰყავდა საერთო ანგარიში. "პიტსბურგს" კი, ასეთი ჩამორჩენა მხოლოდ ერთხელ აქვს გაბათილებული - 1995 წელს "ვაშინგტონთან" სერიაში.

ამჯერად ჩრდილში მოექცა "პინგვინების" ლიდერი **სიდნი კროსბი,** რომელმაც ქულის გარეშე დატოვა ყინული. კვლავ უგოლოდ აგრძელებს თამაშს რუსი **ევგენი მალკინი.** ხოლო მასპინძლების მეკარე **მარკ-ანდრე ფლერიმ,** ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა და თავისი გუნდი აშკარად დაალალატა.

გამარჯვების გოლი რუსმა **ანტონ ვოლჩენკოვმა** შეაგდო, რომელსაც რეგულარულის 78 მატჩში ერთადერთი შაიბა ჰქონდა გატანილი. საერთოდაც, ამ ჰოკეისტს NHL-ის 229 შეხვედრაში მხოლოდ 9-ჯერ გამოუჩენია თავი.

### დასავლეთი

**კალგარი (8)–დეტროიტი (1) 3:2**

0:0, 1:1,2:1

გოლები: 1:0 ლამბარდი-1 (ტანგეი-1, მოსი-1), 1:1 დრეიპერი-1 (კლირი-1), 1:2 დრეიპერი-2 (კლირი-2), 2:2 ჯორდანო-1, 3:2 იგინლა-1 (პრიმო-1, ამონტე-1).

**სერია 1:2**

როგორც იცით, სერიის პირველ ორ მატჩში, "დეტროიტმა" საკუთარ მოედანზე ორივეჯერ იოლად მოუგო კანადურ კლუბს. თუმცა, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ამ დაპირისპირებაში მაინც ნაადრევი იყო "რედ უინგზის" იოლი გამარჯვების პროგნოზირება, რადგან "კალგარიმ", რეგულარულში ყველაზე მეტი საშინაო მატჩი მოიგო.

"ფლეიმზმა" საკუთარი კედლების უპირატესობა მესამე შეხვედრაში გამოიყენა და ურთულეს ბრძოლაში მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა სერიაში.

სტუმრებს ვეტერანი **ტოდ ბერტუცი** დაუბრუნდათ, თუმცა ამ ფორვარდს გუშინ თავი არაფრით გამოუჩენია. სამაგიეროდ, სერიაში პირველი გოლი (თანაც გამარჯვების) გაიტანა "კალგარის" ლიდერმა **ჯერომ იგინლამ,** რომელსაც ბევრს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ პირველ ორ მატჩში, მხოლოდ 2 (!) საგოლე დარტყმა შეასრულა. მესამე პერიოდის შუაში, 2:2-ზე, იგინლამ ჯერ გამოცდილი **ნიკლას ლიდსტრიომი,** შემდეგ კი, **დომინიკ ჰაშეკი** დაიბრიყვა და თავის გუნდს გაამარჯვებინა.

"კალგარის" მცველებმა ცოტათი ამოსუნთქვის საშუალება მისცეს თავიანთ მეკარე **მიკა კიპრუსოფს,** რომელსაც პირველ ორ მატჩში 97 დარტყმის მოგერიება მოუწია. ამჯერად, ფინელი გოლკიპერი 28-ჯერ ჩაება თამაშში.

**მინესოტა (7)–ანაჰაიმი (2) 4:1**

0:0, 1:1, 3:0

გოლები: 0:1 პრონგერი-1 (გეტცლაფი-3, ს. ნიდერმაიერი-1), 1:1 ბუშარი-1 (ბოგაარდი-1, შულტცი-1), 2:1 გაბორიკი-2 (როლსტონი-1, დემიტრა-2), 3:1 როლსტონი-1 (დემიტრა-3), 4:1 პერიში-1 (ნუმელინი-1).

**სერია 1:3**

"მინესოტა" სერიის მეოთხე მატჩს თითქმის უიმედო მდგომარეობაში შეხვდა, რადგან "ანაჰაიმს" წინა სამი მატჩი მოგებული ჰქონდა.

მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჟაკ ლემერმა** შემადგენლობაში კარდინალური ცვლილება განახორციელა. კლუბის სამი საუკეთესო ბომბარდირი - **ბრაიან როლსტონი, მარიან გაბორიკი** და **პავოლ დემიტრა** ერთ სამეულში გააერთიანა და შედეგმაც არ დააყოვნა. ორი გოლი სწორედ ამ ტრიოს ანგარიშზეა.

ამჯერად, "ანაჰაიმი" ვერ გადაარჩინა რუსმა მეკარემ - **ილია ბრიზგალოვმა,** რომელიც სერიის წინა სამ მატჩში საშუალოდ 1.34 შაიბას უშვებდა. საბოლოოდ, ბრიზგალოვი მატჩის ბოლოს **ჟან-სებასტიან ჟიგერით** შეცვალეს, რომელიც გუნდს დაუბრუნდა და სავარაუდოდ, სერიის მეხუთე მატჩში სწორედ ის დაიცავს "იხვების" კარს.



რეინჯერსი ნიულანდერის ჰეთ-თრიკს ზეიმობს

მიუხედავად ამ მოგებისა, ძნელი სავარაუდოა, რომ "მინესოტა" სერიის გადარჩენას შეძლებს. სტენლის თასის ისტორიას მხოლოდ ორი შემთხვევა ახსოვს, როცა გუნდი 0:3-დან ახერხებდა სერიის მოგებას. ასეთი გმირობა 1942 წელს "ტორონტოს", ხოლო 1975 წელს - "აილენდერსს" აქვთ ჩადენილი.

**დალასი (6)–ვანკუვერი (3) 1:2**

0:0, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 ოლუნდი-2 (სმოლინსკი-2, პიატი-2), 1:1 სიდორი-1 (ნადი-1), 1:2 ლინდენი-1 (მიტჩელი-1, პიატი-3).

**სერია 1:3**

"დალასმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ ის, რომ "სტარზისთვის" ფლეი ოფში საკუთარ მოედანზე წარმატებული თამაში დიდ პრობლემად იქცა. დალასელებმა სტენლის თასზე ზედიზედ მეექვსე საშინაო მატჩი წააგეს.

მატჩის გმირი "ვანკუვერის" მეკარე **რობერტო ლუონგო** გახდა, რომელმაც 26 დარტყმა მოიგერია, მათ შორის, სამი ურთულესი ბოლო 30 წამში, როცა მასპინძლებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ.

## სხვი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ბლეკბერნი-უოტფორდი | 3:1 |
| ლივერპული-მიდლსბრო | 2:0 |
| ვესტ ჰემი-ჩელსი | 1:4 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ბარსელონა-ხეტაფე | 5:2 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| ბორდო-ნანსი | 3:0 |
| ლიონი-რენი | 0:0 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მარსელი-ნანტი | 3:0 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| აიაქსი-ვაალვიკი | 3:1 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| გენტი-ბრიუგე | 3:1 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| სპორტინგი-ბეირა მარი | 2:1 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | 2:2 |
| ბრონდბიუ-ვიბორგი | 3:1 |
| ოდენსე-ესბერგი | 0:0 |
| რანდერსი-ოლბორგი | 1:1 |
| სილკებორგი-ვეილე | 1:1 |
| ნორდსილანდი-კოპენჰაგენი | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| ტიროლი-შტურმი | 0:2 |
| გრაცერი-აუსტრია | 2:1 |
| პაშინგი-ალტახი | 1:1 |
| ზალცბურგი-რიდი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| არაუ-იანგ ბოიზი | 1:1 |
| შაფჰაუზენი-გრასჰოპერსი | 1:1 |
| ტუნი-ლუცერნი | 2:1 |
| ციურიხი-სიონი | 2:1 |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ლოკარნო-ლოზანა | 2:0 |
| ბოლმსი-იუვენტუსი | 1:1 |
| კონკორდია-სერვეტი | 3:2 |
| კრიენსი-დელემონი | 1:1 |
| ლუგანო-ბელინცონა | 3:1 |
| ქსამაქსი-კიასო | 2:0 |
| ვინტერტური-ვილი | 1:3 |
| ვოლენი-ფონდსი | 2:2 |
| ივერდონი-ვადუცი | 4:2 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-ერგოტელისი | 2:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ქსანთი-პანათინაიკოსი | 0:1 |
| იანინა-ლარისა | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 2:0 |
| ბანიკი-მოსტი | 1:0 |
| სლავია-პლზენი | 0:1 |
| ტეპლიცე-პრშიბრამი | 1:0 |
| ქლინი-ბოლესლავი | 0:2 |
| **რუსეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| კრილია-მოსკოვი | 0:2 (2:3) |
| დინამო (მ)-როსტოვი | 0:0 (2:1) |
| ლოკომოტივი-დინამო (მ) | 4:0 (0:1) |
| სპარტაკი-ზენიტი | 1:1 (2:1) |
| **უკრაინის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მეტალისტი-დინამო | 0:1 |
| შახტარი-ტავრია | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| არკა-ოდრა | 0:1 |
| გურნიკი-ზაგლემბე | 0:3 |
| ლეხი-პოგონი | 3:0 |
| ლკს-კრაკოვია | 2:1 |
| ვისლა-ლეჩნა | 2:1 |
| ბელჩატოვი-გროძისკი | 1:0 |
| **ხორვატია** | |
| პაიდუკი-კამენი | 4:0 |
| შიბენიკი-სლავენი | 0:0 |
| ზაგრები-მედიმურიე | 1:1 |
| ვარტექსი-პულა | 2:2 |
| დინამო-სიბალია | 4:0 |
| რიეკა-ოსიეკი | 0:2 |
| **სერბეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ვოივოდინა-ბანატა | 1:0 |
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-გრანადა | 77:72 |
| ტაუგრესი-ბრუესა | 82:71 |
| რეალი-ხირონა | 83:72 |
| ფუენლაბრადა-ალიკანტე | 91:69 |
| გრან კანარია-ესტუდიანტესი | 79:54 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-კლერმონი | 93:75 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონაკო** | |
| ბერდიჩი-ბეკერი | 6:1, 6:2 |
| გონსალესი-ანდრეევი | 2:6, 6:2, 3:6 |
| ნადალი-ჩელა | 6:3, 6:1 |
| რობრედო-კლემანი | 6:3, 6:2 |
| ფერერი-ბენეტო | 6:1, 7:5 |
| მირნი-როიტმანი | 7:5, 6:4 |
| ფერერო-მასუ | 6:2, 6:0 |
| გასკე-ჰრბატი | 6:3, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-შტეპანეკი | 7:6, 7:6 |
| ნალბანდიანი-კოლშრაიბერი | 5:7, 1:6 |

## TV სპორტი

### 19 აპრილი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ჩელსი.
**14:10** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** ტოქ-შოუ - 90 წუთი.
**17:50** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-ხეტაფე.
**19:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:00** უიქენდის მატჩების ანონსი.
**20:10** ტოქ-შოუ - 2:1.
**20:55** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ალიანსა ლიმა (პერუ)-სან პაულუ (ბრაზილია).
**22:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:55** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო-სევილია (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:03** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-ბრაგა.
**08:50** სპორტინფორმი.
**09:04** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**10:00** სპორტინფორმი.
**10:15** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ბარსელონა-ხეტაფე.
**12:02** სპორტული ტანვარჯიში. გრან-პრი. მარიბორი. სლოვენია.
**15:07** იტალიის ჩემპიონატი. ასკოლი-მილანი.
**16:55** სპორტის სახეები.
**17:23** სპორტის ისტორია.
**17:33** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ალიანსა ლიმა (პერუ)-სან პაულუ (ბრაზილია).
**19:20** სპორტინფორმი.
**19:35** ჰოკეი. NHL სტენლის თასი. დასავლეთი კონფერენცია. 1/4 ფინალი. ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი. IV მატჩი.
**21:20** სპორტინფორმი.
**21:32** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო-სევილია (LIVE).
**00:25** ჰოკეი. NHL სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**01:12** პროფესიული კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**02:01** სპორტინფორმი.
**02:13** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**03:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ჰამბურგი.
**04:47** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო-სევილია.
**06:30** ჰოკეი. NHL სტენლის თასი. დასავლეთი კონფერენცია. 1/4 ფინალი. ანაჰაიმი-მინესოტა. IV მატჩი (LIVE).

#### EUROSPORT

**09:30** მულტისპორტი.
**10:00** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**10:30** სნუკერი.
**11:30** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 58 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**12:45** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. სტრასბური. საფრანგეთი.
**14:00** სნუკერი.
**16:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**17:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ფინეთის გრან-პრი.
**18:30** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 75 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** სუმო.
**21:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 69 კგ. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**23:00** პროფესიული კრივი. ზემძიმე წონა. ე. ჰოლიფილდი (აშშ)-ვ. მედელოუნი (აშშ). აშშ.
**01:00** ბრძოლა წესების გარეშე.

#### EUROSPORT-2

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** ექსტრემალური სპორტი.
**13:00** ახალი ამბები.
**15:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. I მატჩი. ფლენსბურგი (გერმანია)-ვალიადოლიდი (ესპანეთი).
**16:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ფილადელფია.
**17:00** ექსტრემალური სპორტი.
**19:00** ახალი ამბები.
**19:30** სნოუბორდი.
**20:30** მულტისპორტი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ავსტრალიური ფეხბურთი.
**22:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხირონა.
**00:00** ახალი ამბები.
**00:15** არმრესტლინგი.
**00:45** მულტისპორტი.
**01:15** ახალი ამბები.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:30** ახალი ამბები.

კალათბურთი

## გარნეტი დალასში?

"დალას მავერიქსის" ყოფილი ვარსკვლავი **დერეკ ჰარპერი** და Dallas Basketball ერთდროულად იტყობინებიან, რომ კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად განიხილავს მინესოტელი **კევინ გარნეტის** ტრანსფერს.

"ტიმბერვულვზის" ვარსკვლავის სანაცვლოდ, დალასელები მზად არიან, "მინესოტაში" გაუშვან **ჯოშ ჰოვარდი** და **ჯერი სტეკჰაუსი**.

დაუზუსტებელი ცნობებით, ამ სავარაუდო ტრანსფერის შესახებ "მავერიქსის" მთავარი მწვრთნელი **ეივერი ჯონსონი**, მფლობელი **მარკ ქიუბანი** და გენერალური მენეჯერი - **დონი ნელსონი** ბჭობდნენ.

## სიეტლი ჰალპერინით დაინტერესდა

ისრაელის ჩემპიონატის ბოლო ტურში, თელ-ავივის "მაკაბის" მატჩს დაესწრნენ "სიეტლ სუპერსონიქსის" სკაუტები. მათ სურდათ, საქმეში ეხილათ ისრაელის ჩემპიონის ერთ-ერთი ლიდერი - მცველი **იოთამ ჰალპერინი**.

"სონიქსის" სკაუტმა **დევიდ პენდეგრატმა** მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ჰალპერინმა მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი თქმით, ახალგაზრდა კალათბურთელს აქვს იმის პოტენციალი, რომ მსოფლიო საუკეთესო საკალათბურთო ლიგაში ითამაშოს.

პენდეგრატმა ისიც დაამატა, რომ ახლა ბევრი რამ კალათბურთელის აგენტებსა და მის მშობლებზე იქნება დამოკიდებული.

## რეალი ვუიაჩიჩს ყიდულობს

მადრიდის "რეალი" თელ-ავივის "მაკაბისა" და ხორვატიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელის - **ნიკოლა ვუიაჩიჩის** შეძენით არის დაინტერესებული.

ამ კალათბურთელს ისრაელის ჩემპიონთან 2008 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ ესპანური კლუბი მზად არის, სოლიდური კომპენსაცია გადაიხადოს.

როგორც იცით, წელს მადრიდის "რეალმა" ULEB-ის თასი მოიგო, რითაც გაისად ევროლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა. სხვათა შორის, 2008 წელს, ამ ტურნირის "ოთხთა ფინალი" სწორედ ესპანეთის დედაქალაქში გაიმართება.

ვუიაჩიჩის გარდა, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას სურს, "ხუვენტუდიდან" ესპანეთის ნაკრების შემტევი მცველი - **რუდი ფერნანდესი** გადაიბიროს. ამ ტრანსფერზე მოლაპარაკებები იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ფერნანდესი 2007 წლის დრაფტზე არ წამოაყენებს თავის კანდიდატურას.

## ჟალგირისი რიგაში ითამაშებს?

ლიტვური პრესის ინფორმაციით, შესაძლოა 2008-09 წლების სეზონში, კაუნასის "ჟალგირისმა" თავისი საშინაო მატჩები ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩაატაროს.

საქმე ისაა, რომ 2009 წლიდან, ევროლიგას საკალათბურთო არენებთან მიმართებაში ახალი მოთხოვნები ექნება, ხოლო კაუნასის ლეგენდარული დარბაზი - "სპორტჰალე" ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.

როგორც "ჟალგირისის" შეფები აცხადებენ, კლუბის ახალი არენის მშენებლობა, შესაძლოა დროში გაიწელოს. ამიტომაც არის თადარიგში რიგის ვარიანტი.

ჩოგბურთი

## ფილიპუსისი ბრუნდება

ვეტერანი ავსტრალიელი ჩოგბურთელი **მარკ ფილიპუსისი** კორტს უბრუნდება. მარკი უკვე ოთხი თვეა არ გასულა კორტზე, რადგან სეზონის სტარტზე, ჰოფმანის თასის გათამაშებაში ტრავმა მიიღო.

თუმცა, ფილიპუსისი არა ATP-ის ტურში, არამედ ვეტერანთა ტურნირზე აპირებს თამაშს. მისი დაბრუნება ათენის კორტებზე მოხდება, სადაც ვეტერანები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. სხვათა შორის, საბერძნეთის დედაქალაქში ლეგენდარული ამერიკელი - **პიტ სამპრასიც** ითამაშებს.

*"მარკისთვის საშობაო არდადეგები სავალალოდ დასრულდა. ჩვეული კონდიციების დასაბრუნებლად მან ძალიან ბევრი იშრომა და ახლა, თავისი ძალების შემოწმება სწორედ ათენის ტურნირზე სურს"*, - განაცხადა "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჩოგბურთელის მენეჯერმა **რობ აივათოგლუმ**.

ათენის ტურნირის შემდეგ, ფილიპუსისი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებასა და ATP-ის შეჯიბრებებში მონაწილეობას აპირებს.

## ფედერერი დიდ ტურნირებს იცავს

სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რომ მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) აღმასრულებელ დირექტორსა და პრეზიდენტს - **ეტიენ დე ვილიეს** შეხვდება.

როგორც იცით, 2009 წლიდან, ATP აპირებს მონტე კარლოს მასტერსი და სხვა დიდი ტურნირები რანგით დაბალ შეჯიბრებებში გადაიყვანოს. სწორედ ამას არ ეთანხმებიან მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები. როგორც ფედერერი ამბობს, მომავალ შეხვედრაზე ხორვატი **ივან ლუბიჩიჩი** და ესპანელი **რაფაელ ნადალიც** იქნებიან.

ჩოგბურთელები, აგრეთვე აპირებენ წამოჭრან საკითხი დევისის თასის კალენდარში ცვლილებების შეტანაზე.

ფორმულა 1

## რონ დენისი პირველ ორ ადგილს გეგმავს

ახალ სეზონში "მაკლარენის" წარმატებული სტარტის შემდეგ, ამ გუნდის შეფ **რონ დენისს** ოპტიმიზმი მოემატა.

Autosport-თვის მიცემულ ინტერვიუში, დენისმა ამ სეზონში თავისი საჯინიბოს გეგმებზე ისაუბრა: *"მანქანის დახვეწაზე მუშაობას ვაგრძელებთ. ესპანეთის გრან-პრის მოუთმენლად ველოდები, რადგან მინდა, გულშემატკივრებმა რაც შეიძლება მალე ნახონ ჩვენი მუშაობის შედეგი. ამ სეზონში ჩვენი მიზანია, ჩემპიონატში პირველი და მეორე ადგილის დაკავება. "მაკლარენში" ირიცხება ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა პილოტი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. ორივეს ჩემპიონობის თანაბარი შანსი აქვს. გუნდისთვის ძალიან ცუდი იქნება, თუ ისინი მხოლოდ პირად შედეგებზე იფიქრებენ. მაგრამ ეს მათ ხასიათში არ ზის, ამიტომაც, მომავლის იმედი მაქვს".*

კრივი

## ტაისონი სახლს ყიდის

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **მაიკ ტაისონი** იძულებულია, საკუთარი სახლი გაყიდოს, რათა ადვოკატებს ჰონორარი გადაუხადოს. როგორც იცით, ნარკოტიკების მოხმარებასა და შენახვაში ეჭვმიტანილი მოკრივე მალე კიდევ ერთხელ წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ტაისონის სახლი ფინიქსში მდებარეობს და ის 2.3 მილიონ დოლარად არის შეფასებული. "რკინის მაიკს" მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება ადვოკატების ვალის გადახდა, თუ ის ამ სახლს გაყიდის.

თავის მომავალ ცხოვრებაზე ტაისონს მეტად პესიმისტური განწყობა აქვს: *"სავსებით ცხადია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერი ველარ ვიქნები. ჩემი ცხოვრება ტკივილითა და შეცდომებით არის სავსე, ჩემი ისტორია კი, ნაღვლიანი და სამწუხაროა".*



ტურნირები

# ძნელი გამარჯვება

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** როლან გაროსისთვის მზადება მონტე კარლოს მასტერსზე გამოსვლით დაიწყო. აქ მან ასპარეზობა მეორე წრიდან დაიწყო და მეტად მძიმე გამოცდა ჩააბარა საკვალიფიკაციო ეტაპგამოვლილ იტალიელ **ანდრეას სეპისთან** შეხვედრაში, რომლის მოსაგებადაც ორი ტაიბრეიკი დასჭირდა.

მოკლედ, ინდიან ველსისა და მაიამის მასტერსებზე ნაგემი ორი მარცხის შემდეგ, ფედერერმა "გონს მოსვლა" შეძლო და ახლა, მონტე კარლოს მასტერსის მესამე წრეში, კორეელ **ჰიუნგ-ტაიკ ლისთან** ექნება საქმე, რომელმაც ორ სეტში აჯობა რუს **მიხაილ იუჟნის**.

ყველასთვის მოულოდნელად, პირველ სეტში ფედერერმა სეპის დასაწყისშივე ბრეიკის აღების საშუალება მისცა, თუმცა იქვე დაუბრუნა ხურდა, რის შემდეგაც, ორივე ჩოგბურთელი ახერხებდა თავის სერვისზე ქულების აღებას. სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც უფრო ძლიერი ნერვების წყალობით, შვეიცარიელმა მაესტრომ შეძლო მოგება.

მეორე სეტმა კი უფრო "მშვიდობიანად", ყოველგვარი ბრეიკების გარეშე ჩაიარა, თუმცა სეპის ორჯერ ჰქონდა მეტოქის სერვისზე ქულის აღების შანსი. ამჯერადაც, ტაიბრეიკი დაინიშნა, სადაც ისევ ფედერერმა ივარგა და მომდევნო წრეშიც ასე გაჭირვებით გავიდა.

*"ძალიან გამიჭირდა. დიდი ხანია, თიხაზე არ მითამაშია, ანდრეა კი საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოდის და გასაგებია, რომ სოლიდური პრაქტიკაც დაუგროვდა. ერთადერთი დადებითი, რაც ამ შეხვედრაში მქონდა, ტაიბრეიკების მოგებაა. თუმცა, რა დასამალია, ძალიან განბილებული ვარ იმის გამო, რომ მისი დამარცხება ტაიბრეიკების გარეშე ვერ შევძელი"*, - განაცხადა ფედერერმა.

ფედერერმა რომ მოიგო, ცოტა ხანში, ტურნირს გამოეთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, რუსი **მარატ საფინი**. მას სამ სეტში აჯობა ბელგიელმა **კრისტოფ ვლიგენმა**.

პირველი სეტი რუსმა მშრალად მოიგო და ისე ჩანდა, რომ შეხვედრასაც მალე თავის სასარგებლოდ დაასრულებდა, მაგრამ მეორე სეტში ვლიგენმა ოთხი მატჩ პოინტი მოიგერია და სეტი ტაიბრეიკზე გადაიყვანა, სადაც თავად მიაღწია გამარჯვებას. გადამწყვეტი სეტის მეათე გეიმში, ვლიგენმა საფინის სერვისზე შეძლო ქულის აღება და ამ ბრეიკით, შეხვედრაც მოიგო.

ვლიგენის მომდევნო მეტოქეს გაარკვევს მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელას** დუელი. ეს შეხვედრა გუშინ გვიან უნდა ჩატარებულიყო. შეგახსენებთ, რომ ნადალს თიხის კორტებზე ზედიზედ 62 შეხვედრა აქვს მოგებული.

მოსაგებად სამი სეტი დასჭირდა ფრანგ **რიშარ გასკესაც**, რომელმაც ტურნირი ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს** დაატოვებინა. გასკემ მეორე სეტში ხუთი მატჩ პოინტი გაანიავა და ეს სეტი ტაიბრეიკზე დათმო. თუმცა, გადამწყვეტ სეტში, ისევ ტაიბრეიკზე, უფრო კარგად ითამაშა და ცაცია ესპანელს გუდა-ნაბადი ააკვრევინა. გასკეს მომდევნო მეტოქე იქნება სლოვაკი **დომინიკ ჰრბატი**, რომელმაც ორ სეტში კიდევ ერთ ესპანელს - **ალბერტ პორტასს** აჯობა.

მეორე წრეშივე, შვედმა **რობინ სოდერლინგმა** სამ სეტში მოუგო ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ რუს **ნიკოლაი დავიდენკოს**. მესამე წრეში სოდერლინგის მეტოქე იქნება ბელარუს **მაქს მირნისა** და არგენტინელ **სერხიო როიტმანს** შორის მოგებული.

სოდერლინგმა პირველი სეტი მოიგო და მეორეშიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ორი მატჩ პოინტი გაანიავა და სეტი ტაიბრეიკზე დათმო. გადამწყვეტ სეტში შვედმა კიდევ ორი მატჩ პოინტი ვერ გამოიყენა, თუმცა მომდევნო შანსი ქულად აქცია და შეხვედრაც მოიგო.

საინტერესო შეხვედრა გაიმართა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და საფრანგეთის ღიას ყოფილ ჩემპიონს, არგენტინელ **გასტონ გაუდიოს** შორის. 19 წლის სერბმა პირველ სეტში მეტოქეს ოდენ 11 ქულის აღების საშუალება მისცა, მაგრამ მეორეში ყურადღება მოადუნა და მის მიერ დაშვებული შეცდომები შესანიშნავად გამოიყენა გაუდიომ, რომელმაც სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა და გადამწყვეტი სეტის დასაწყისშიც ბრეიკის შანსი მიიღო. მაგრამ სერბი დროულად გამოერკვა, ჯერ ბრეიკ პოინტები გაანეიტრალა, შემდეგ კი ინიციატივასაც დაეუფლა და ეს სეტიც ისევე იოლად მოიგო, როგორც პირველი.

### ATP

მონაკოს მასტერსი
მონტე კარლო. თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 2 082 500 დოლარი

**I წრე**

**ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 10)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 5:0 ალმაგროს უარი; **რიშარ გასკე (საფ, 11)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 7:5, 6:7 (12), 7:6 (3); **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:3, 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:2, 5:7, 6:4; **ნიკოლას მასუ (ჩილ)**-ფილიპო ვოლანდრი (ესპ) 4:6, 7:5, 6:3; **დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ)**-ალბერ პორტასი (იტა) 7:6 (3), 7:5; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:6 (7-4), 6:2; **სერხიო როიტმანი (არგ)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6, 6:1, 6:4.

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:6 (4), 7:6 (6); **ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 13), 6:4, 6:3; **კრისტოფ ვლიეგენი (ბელ)**-მარატ საფინი (რუს) 0:6, 7:6 (8), 6:4; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:4, 1:6, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16)**-ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:2, 6:0; **ტომი რობრედო (ესპ, 5)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 6:2; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 10)**-ბენიამინ ბეკერი (გერ) 6:1, 6:2; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 3) 6:4, 6:7(6), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6)**-გასტონ გაუდიო (არგ) 6:1, 3:6, 6:1



როჯერ ფედერერი

სპორტული გაზეთი
ლელო

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა